დ. კიკნაძე

ალექსანდრეს მოქმედების საქმისათვის

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1971

ნაშრომში განხილულია ადამიანის მოქმედების პრობლემის აქტუალური საკითხები; გამოთქმულია მთელი რიგი ახალი მოსაზრებები ადამიანთა მოქმედების მექანიზმის, მოქმედების აღმძვრელი და წარმმართავი ფაქტორების, უნარის, მოთხოვნილების, ინტერესის, მოტივის, რწმენის, დამოკიდებულების და სხვათა შესახებ. ამ საკითხთა მეცნიერულ გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღზრდის თეორიასა და პრაქტიკაში, საზოგადოების მართვის მეცნიერული ორგანიზაციის საქმეში.

რედაქტორისაგან

ადამიანის მოქმედება მრავალი ბუნებრივი და სოციალური მოვლენითაა განპირობებული, რომელთა კვლევა მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის საგანს წარმოადგენს.

ადამიანის მოქმედების პრობლემა საუკუნეების განმავლობაში მუშავდებოდა, მაგრამ მთელ რიგ პრინციპულ საკითხებზე დღესაც არ არის ერთიანი შეხედულება. ამასთან, ზოგიერთი მკვლევარი ადამიანის მოქმედების განმსაზღვრელი და წარმმართავი ფაქტორების შესახებ მარქსიზმის კლასიკოსების მიერ გამოთქმულ ძირითად დებულებათა არასწორი ინტერპრეტაციის ტენდენციას ავლენს. ხშირად ადამიანის მოქმედებასა და აღზრდაში მეტ როლს ანიჭებენ იდეურ ფაქტორებს, ვიდრე მათ წარმომშობ და განმსაზღვრელ გარემოს, ცხოვრების რეალურ პირობებს, რომლებიც, გარკვეული კანონზომიერების საფუძველზე, მიმართულებას აძლევენ ინდივიდთა მოქმედებას და აყალიბებენ პიროვნებას.

ადამიანის მოქმედების პრობლემის აქტუალობა, მრავალმხრივობა და სირთულე საყოველთაოდ ცნობილია. ცნობილია მისი გადაწყვეტის დიდი მნიშვნელობაც კომუნისტური მშენებლობის თეორიასა და პრაქტიკაში.

ეს ნაშრომი წარმოადგენს ავტორის ცდას თავისი მოსაზრებები გამოთქვას მოქმედების პრობლემის ზოგიერთ საკითხზე. ამისთვის იგი ეყრდნობა მარქსიზმის ფუძემდებლების მიერ შემუშავებულ დებულებებს და შეეცდებისდაგვარად ცდილობს მათ გააზრებას თანამედროვე ვითარებასთან კავშირში. ამასთან, ავტორი პრეტენზიას არ აცხადებს დასმული პრობლემის ამომწურავ განხილვაზე. ამ ნაშრომის მიზანია მკვლევართა და მკითხველთა ყურადღება მიაპყროს ადამიანის მოქმედების პრობლემის ზოგიერთ ასპექტს და გამოთქმული მოსაზრებებით ხელი შეუწყოს მათ შემდგომ კვლევას.

წიგნში შემდგომი განვითარება პოვა ავტორის ზოგიერთმა იმ შეხედულებამაც, რომლებიც მას გამოთქმული ჰქონდა ნაშრომებში: Потребности как фактор поведения человека (ჟურნ. «Вопросы философии», 1965, № 12); Роль потребностей в развитии общества и индивида (ჟურნ. „მაცნე", 1967, № 1); Die Bedürfnisse als Faktor des menschlichen Verhaltens (ჟურნ. «Sowjetwissenschaft, Gesellschaftswissenschaftliche Beitrage», Berlin, 1966, № 4); Потребности, Поведение. Воспитание, М., 1968 და სხვ.

აქ ჩამოყალიბებულმა შეხედულებებმა მკვლევართა ყურადღება მიიპყრეს როგორც საბჭოთა კავშირში, ისე ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ (იხ. ჟურნ. «Вопросы философии», 1969, № 7, გვ. 170; ჟურნ. «Правоведение», 1970, № 4, გვ. 108, 109; Ю. Н. Сафронов, Общественное мнение и религиозные традиции, 1970, გვ. 100; Ю. Е. Еремин, О противоречии между производством и потребностями, 1968, გვ. 20; «Философская энциклопедия», ტ. 4, გვ. 329; В. Г. Афанасьев, Научный коммунизм, 1966, გვ. 350; М. О. Антонян, Соотношение объективных условий и субъективного фактора при социализме, 1967, გვ. 118 და სხვ.).

ნაშრომი Потребности. Поведение. Воспитание დასახელებულია კომუნისტური აღზრდისა და პიროვნების ფორმირების საკითხებზე გამოქვეყნებულ იმ შრომებს შორის, რომლებმაც უკანასკნელი წლების განმავლობაში გარკვეული როლი შეასრულეს მარქსისტულ-ლენინური სოციალ-ფილოსოფიური აზრის განვითარებაში. (იხ. ჟურნ. „Вопросы философии», 1971, № 3, გვ. 3).

თ ა ვ ი I

მოქმედების აღმძვრელი და წარმმართავი ფაქტორები

1. ადამიანის მოქმედების ფორმალური და შინაარსობრივი მხარე

როგორც ცნობილია, ადამიანის ყოველი მოქმედება საზოგადოებრივი მოქმედებაა. მასში შეგვიძლია განვასხვაოთ შინაარსობრივი და ფორმალური მხარე. ფორმალური მხარეა მოქმედების მექანიზმი, ყოველი მოქმედებისათვის აუცილებელი ფაქტორებისა და ეტაპების ერთობლიობა, რომელიც უნდა გაიაროს მოქმედების აღმძვრელმა, რომ გარკვეული მიზნის მისაღწევად მოძრაობაში მოიყვანოს ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალები.

ისტორიული განვითარების პროცესში იცვლება ადამიანის მოქმედების შინაარსობრივი მხარე, რომლის ფაქტორებიც ყალიბდება გარემოსა და აღზრდის შედეგად, ხოლო ფორმალური მხარე ანუ მექანიზმი ჩამოყალიბდა ადამიანის, როგორც „მოაზროვნე გონის", გაჩენიდან და მას საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარების შედეგად არსებითი ცვლილებები არ განუცდია.

ადამიანის მოქმედების პირველ საფუძველს, მიზეზს გარემო წარმოადგენს. მაგრამ გარემო ავტომატურად და უშუ-

ალოდ არ იწვევს ადამიანის მოქმედებას. გარემომ რომ შესატყვისი მოქმედება გამოიწვიოს, ამისათვის აუცილებელია მან რაიმე მოთხოვნილება წარმოშვას.

მოქმედების აღმძვრელი ყოველთვის მოთხოვნილებაა. მოთხოვნილების გარეშე არ არსებობს ცოცხალი ორგანიზმის არავითარი აქტიურობა, მოქმედება, არ არსებობს წარმოება, ინდივიდისა და საზოგადოების განვითარება. მოთხოვნილება თავის მხრივ, გარკვეული პირობების გამო, წარმოშობს ინტერესს, სურვილს, მისწრაფებებს, მიდრეკილებებს, ვნებებს და ა. შ., რომლებსაც თან ახლავს შესატყვისი გრძნობები და ემოციები. მაგრამ ყველა მათგანი მოთხოვნილების სახესხვაობას ან მასთან დაკავშირებულ ფსიქიკურ მოვლენას წარმოადგენს.

ადამიანის მოქმედების მექანიზმში მოთხოვნილების შემდგომი ეტაპია მისი გადაქცევა მ ი ზ ნ ა დ. ადამიანს აქვს უამრავი მოთხოვნილება, ინტერესები, სურვილები, მისწრაფებები და ა. შ., მაგრამ თუ ისინი მიზნად არ იქცნენ, ისე ნებისმიერ მოქმედებას ვერ აღძრავენ. მ ი ზ ა ნ ი ა დ ა მ ი ა ნ ი ს მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ებ ი ს, რ ო გ ო რ ც მ ო ქ მ ე დ ებ ი ს ა ღ მ ძ ვ რ ე ლ ი ს, ა ხ ა ლ თ ვ ი ს ებ რ ი ო ბ ას წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს.

მიზანს, თავის მხრივ, გააჩნია მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თვისებები. იგი მხოლოდ მაშინ ჩნდება, როდესაც უკვე არსებობს მისი განხორციელებისათვის საჭირო პირობები როგორც ობიექტურად, ასევე სუბიექტურად. ამიტომაა, რომ ყოველი მოთხოვნილება არ იქცევა მიზნად. იგი შეიძლება ინტერესის, სურვილის, მისწრაფების და სხვა სახით დარჩეს ადამიანის მთელ სიცოცხლეში.

მიზანი ყოველთვის გულისხმობს ამა თუ იმ მოქმედებას, რომლის შედეგიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აკმაყოფილებს მის წარმომშობ მოთხოვნილებას.

ერთი და იგივე მიზანი შესაძლებელია სხვადასხვა მოქმედებით განხორციელდეს. თუ რომელ მოქმედებას აირჩევს ადამიანი მოცემულ სიტუაციაში, ეს დამოკიდებულია შემდგომ ეტაპზე — მ ო ტ ი ვ ა ც ი ი ს პ რ ო ც ე ს ზ ე, რომელშიც მოცემული კონკრეტული მოთხოვნილებისა და მიზნის გარდა მოტივაციის ფაქტორების სახით მონაწილეობენ სხვა მოთხოვნილებები, მიზნები, ინტერესები, სურვილები, მისწრაფებები. მიდრეკილებები, განწყობები, მოტივები და ა. შ.

ყველაზე არსებითი და გადამწყვეტი ეტაპი ნებისმიერი მოქმედების მექანიზმში მოტივაციის პროცესია. მასში, სუბიექტური ფაქტორების გარდა, მონაწილეობენ მისი აღმძვრელი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ობიექტური ფაქტორები. მოტივაციის პროცესში მონაწილე სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების მრავალმხრივი შეპირისპირებისა და ურთიერთზემოქმედების შედეგად წარმოიშობა ამა თუ იმ მოქმედების მოტივი. მოტივს აუცილებლობით მოჰყვება გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა, ხოლო გადაწყვეტილებას — გ ა ნ წ ყ ო ბ ა. განწყობა მოტივირებული მოქმედების განხორციელებისათვის ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალების შინაგანი მობილიზაციაა, რაც, თავის მხრივ, წარმოშობს მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა ს. მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა ი დ ე უ რ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს დ ა ს ა ს რ უ ლ ი და პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს დ ა ს ა წ ყ ი ს ი ა. ამიტომ მარქსი მას პრაქტიკულ მოთხოვნილებასაც უწოდებს.

პრაქტიკული მოთხოვნილება თვისებრივად განსხვავდება

იმ მოთხოვნილებისაგან, რომელიც იდეურ მოქმედებას ედება საფუძვლად. მათ შორის დგას მიზნის დასახვის, მოტივაციის, გადაწყვეტილებისა და განწყობის რთული ფსიქოლოგიური პროცესები, რომელთა დროსაც ადამიანი პირველად იდეურ სფეროში აკეთებს იმას, რაც შემდგომ პრაქტიკულად უნდა განახორციელოს.

მაშასადამე, იდეური მოქმედება წინ უსწრებს პრაქტიკულ მოქმედებას, ეს უკანასკნელი კი მთავრდება შედეგით, რომელიც მოქმედი სუბიექტის გონებაში წინასწარ უკვე იდეალურად იყო მოცემული. ამ ფაქტზე მიუთითებს მარქსი, როდესაც წერს: „შრომის პროცესის დასასრულს ვღებულობთ შედეგს, რომელიც ამ პროცესის დაწყებისას მუშის წარმოდგენაში, მაშასადამე, იდეალურად უკვე არსებობდა“.[1] მარქსის მიერ შრომის, როგორც მოქმედების, დახასიათება ადამიანის ყველა ნებისმიერ მოქმედებაზე ვრცელდება.

პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილება განწყობის შემდგომი ეტაპია, რომელიც შესატყვის სიტუაციაში უშუალოდ განიცდის რეალიზაციას მოქმედების სახით.

ამრიგად, ადამიანის მოქმედების ფორმალური მხარე, მექანიზმი სქემატურად ასეთ სახეს ღებულობს: გარემო—მოთხოვნილება — მიზანი — მოტივაცია — მოტივი — გადაწყვეტილება — განწყობა — მოქმედების მოთხოვნილება — მოქმედება.

ამ მექანიზმის თითოეული რგოლი ყოველთვის მონაწილეობს ადამიანის ნებისმიერ მოქმედებაში, მიუხედავად იმისა, თუ როგორია მისი შინაარსი და შედეგი. ყოველი შემ-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, 1954, გვ. 228.

დგომი ეტაპი ახალ თვისებრიობას წარმოადგენს წინა ეტაპთან შედარებით. წინა ეტაპები მასში მოხსნილიცაა და შემონახულიც.

ვიმეორებთ. მთელ ამ მექანიზმში გადამწყვეტ როლს გარემო ასრულებს. იგი განაპირობებს საწყისი მოთხოვნილების წარმოშობას, მიზნის დასახვას, მოტივის წარმოშობას, გადაწყვეტილების მიღებას, განწყობას, მოქმედების მოთხოვნილებას და თვით მოქმედებას.

ეს ეტაპები ადამიანის მოქმედების მექანიზმის ძირითად რგოლებს წარმოადგენენ, რადგან ყველა ნებისმიერი მოქმედების არსებით და აუცილებელ მომენტებს განასახიერებენ. მაგალითად, მოთხოვნილების გაცნობიერების შედეგად ისეთი მოვლენებიც წარმოიშობიან, როგორიცაა სურვილი, ინტერესი, მისწრაფება, გრძნობა, მიდრეკილება და ა. შ. მაგრამ თითოეული მათგანი მიზნად უნდა იქცეს, რათა ნებისმიერ მოქმედებას დაედოს საფუძვლად.

აღნიშნულ მექანიზმში მოთხოვნილება ორჯერ გვხვდება, მაგრამ ისინი არსებითად განსხვავებული მოვლენებია. პირველად იგი ვლინდება როგორც საგნობრივი მოთხოვნილება. მეორედ კი როგორც მოქმედების მოთხოვნილება. ეს უკანასკნელი მოთხოვნილების ახალ თვისებრიობას წარმოადგენს.

ასევე არსებითი განსხვავებაა განწყობასა და მოქმედების მოთხოვნილებას შორის. იდეური სიტუაციის საფუძველზე შემუშავებული განწყობა მოქმედების მოთხოვნილებას მხოლოდ შესატყვის ობიექტურ სიტუაციაში წარმოშობს. ამ უკა-

ნასკნელის გარეშე განწყობა შეიძლება არსებობდეს, მაგრამ მოქმედების მოთხოვნილებასა და მოქმედებაში არ გადაიზარდოს.

ამრიგად, ყველა ზემოთ აღნიშნული მოვლენა ერთი და იმავე მოქმედების არსებითად განსხვავებულ ეტაპებს წარმოადგენს. ადამიანის მოქმედების აღნიშნული მექანიზმი მუდმივმოქმედ ძირითად ფაქტორთა ერთი მთლიანი სისტემაა, რომლის თითოეულ ელემენტს, თავის მხრივ, წარმოშობის, განვითარებისა და ახალ თვისებრიობაში გადასვლის უამრავი ფაქტორი და საკუთარი კანონზომიერებანი გააჩნია.

მთელ ამ პროცესს მოთხოვნილების გაცნობიერებიდან მის დაკმაყოფილებამდე წარმართავს ადამიანის მიერ შეგნებულად დასახული მიზანი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალები, მისი ნებისყოფა, რაც, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, მოქმედების პროცესში ყურადღების სახით კლინდება.

როგორიც არ უნდა იყოს ადამიანის ცხოველმოქმედების პროცესში წარმოშობილი მოთხოვნილების შინაარსი, — საზოგადოებრივად სასარგებლო თუ საზიანო, პრიმიტიული თუ მაღალი ადამიანური ღირსებების გამომჭატველი, — ნებისმიერი მოქმედების გამოწვევისათვის მან მოძრაობაში უნდა მოიყვანოს აღნიშნული მექანიზმი, მისი ყველა რგოლი.

ადამიანის მოქმედება მისი ქცევის შემადგენელი ნაწილია. ადამიანი ქცევაში ავლენს თავის ნამდვილ ბუნებას, შინაგან სამყაროს. ცალკეული მოქმედებები მისი არსების გამოვლინებებია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ამიტომ ქცევის ახსნისათვის აუცილებელია პირველ რიგში აიხსნას მოქმედება.

2. მოთხოვნილება, ინდივიდი და საზოგადოება

ისტორიის მატერიალისტური გაგებისათვის მარქსიზმის აპოსავალს წარმოადგენს ცოცხალი, სხეულებრივი ადამიანი, რომელსაც გარესამყაროსთან დამოკიდებულება აქვს როგორც მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებასთან. საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აუცილებლობა საფუძვლად ედება წარმოებას. „მოთხოვნილების გარეშე არ არის წარმოება“ (კ. მარქსი). წარმოება, თავის მხრივ, საზოგადოების მთელ ცხოვრებას, მის შემდგომ განვითარებას განსაზღვრავს.

ამ წანამძღვრების საფუძველზე მარქსმა და ენგელსმა ისტორია საბოლოოდ გაათავისუფლეს იდეალიზმისა და რელიგიისაგან, ზებუნებრივი ძალების მეურვეობისაგან, მეცნიერულად დაასაბუთეს, რომ საზოგადოებრივი ისტორიის სუბიექტები თვით ადამიანები არიან, რომლებიც ქმნიან და ავითარებენ მას თავიანთი მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ. „ადამიანთა საზოგადოებრივი ისტორია, — წერს მარქსი, — ყოველთვის მხოლოდ მათი ინდივიდუალური განვითარების ისტორიაა, სულერთია, აქვთ მათ ეს შეგნებული თუ არა“[1]. მაგრამ როგორ აკეთებენ ადამიანები ისტორიას? როგორიც არ უნდა იყოს ისტორიის მსვლელობა, — წერს ენგელსი, — ადამიანები მას აკეთებენ ასეთნაირად: „თვითეული ადამიანი თავის საკუთარ, შეგნებულად დასახულ მიზანს მისდევს; მრავალი სხვადასხვა მიმართულებით მოქმედი მისწრაფება და მათი მრავალმხრივი ზემოქმედება გარესამყაროზე შედეგად ისტორიას იძლევა“[2].

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1950, გვ. 535.
[2] იქვე, გვ. 470.

ისმება კითხვა — როგორ წარმოიშობიან ეს მიზნები და მისწრაფებები, რომლებიც ადამიანებს ამოქმედებენ? ისტორიულად ეს საკითხი წყდებოდა ორგვარად — იდეალისტურად და მატერიალისტურად. ადამიანის მოქმედების ახსნისას იდეალიზმისათვის ამოსავალია აზროვნება, ცნობიერება მისი სხვადასხვა ფორმებით, ხოლო მატერიალიზმისათვის — მოთხოვნილებები, რომელთა არსებობა და შინაარსი განპირობებულია ადამიანის სხეულებრივი ორგანიზაციითა და სოციალური გარემოს პირობებით[1]. „ადამიანები, — წერდა ენგელსი, — მიეჩვივნენ იმას, რომ თავიანთი მოქმედება აზროვნებით აეხსნათ, ნაცვლად იმისა, რომ აეხსნათ თავიანთი მოთხოვნილებებით (რომლებიც ამასთანავე, რასაკვირველია, თავში აისახებიან, შეიცნობიან) და ამრიგად წარმოიშვა დროთა განმავლობაში ის იდეალისტური მსოფლმხედველობა, რომელიც სახელდობრ ანტიკური ქვეყნის დაღუპვის დღიდან დაეუფლა ადამიანთა გონებას“[2].

ამ საკითხზე შეიძლებოდა არც კი შევჩერებულიყავით, რომ ეს იდეალისტური შეხედულება გარკვეული ფორმით დღესაც არ ბატონობდეს და ზიანს არ აყენებდეს კომუნისტური მშენებლობის თეორიასა და პრაქტიკას.

მატერიალისტური დებულება იმის შესახებ, რომ ცოცხალი ორგანიზმის აქტიურობას მოთხოვნილება უდევს საფუძვლად, თუ საკითხი იმპულსურ მოქმედებას ეხება, მარქსისტებს შორის სადავო არ არის, მაგრამ ნებისმიერი მოქმედების ახსნა მოთხოვნილებით აზრთა დიდ სხვადასხვაობას იწვევს.

---

[1] იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ფოიერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა, 1968, გვ. 28-67.

[2] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1950, გვ. 180.

სინამდვილეში მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლები არაერთგზის მიუთითებდნენ, რომ ადამიანი არაფერს არ აკეთებს თავისი მოთხოვნილებების გარეშე, რომ ადამიანის მოქმედების ახსნისას უნდა გამოვიდეთ მისი მოთხოვნილებებიდან და არა ცნობიერებიდან, რომ წარმოება განსაზღვრავს ინდივიდებისა და საზოგადოების განვითარებას არა ავტომატურად და უშუალოდ, არამედ მოთხოვნილებების საშუალებით, და თვით „მატერიალური ცხოვრების ესა თუ ის ორგანიზაცია დამოკიდებულია, რა თქმა უნდა, ყოველთვის უკვე განვითარებულ მოთხოვნილებებზე, ამ მოთხოვნილებების წარმოშობა კი, ისევე როგორც მათი დაკმაყოფილებაც. თვით არის ისტორიული პროცესი".[1]

ადამიანის მოქმედება ზოგადად მატერიისა და მისი „უმაღლესი ყვავილის, მოაზროვნე გონის", ურთიერთზემოქმედების პროცესია. ეს პროცესი მოიცავს ცვლილებისა და მოძრაობის ყველა ფორმას — დაწყებული მარტივი ადგილგადანაცვლებიდან გათავებული აზროვნებით, თვალხილული ფიზიკური საგნებიდან უხილავი ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სულიერი მოვლენების ჩათვლით. ყველა აღნიშნული მოვლენა თავისებურად განსაზღვრავს ადამიანის მოქმედებას. თვით ეს განსაზღვრულობაც გარკვეულ ობიექტურ კანონზომიერებას ემორჩილება.

მარქსამდე და ენგელსამდე საზოგადოებრივი პროგრესის მთელ დამსახურებას აზროვნებას და მის ფორმებს მიაწერდნენ. სურვილებს, ინტერესებს, მისწრაფებებს, მიზნებს, თეო-

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ფოიერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა, გვ. 112.

რიებს, იდეებს, მოტივებს და სხვ. ადამიანთა უკანასკნელ მამოძრავებელ ძალებად მიიჩნევდნენ. მარქსიზმის ფუძემდებლების მიხედვით კი ამ „იდეალურ მამოძრავებელ ძალებს“ თავისი მამოძრავებელი ძალები გააჩნიათ მატერიალური ცხოვრების პირობებში, რაც პირველ რიგში მოთხოვნილებების სახით ვლინდება ადამიანთა ცნობიერებაში.

მოთხოვნილების გარეშე, გვასწავლის მარქსი, ადამიანს არაფრის გაკეთება არ შეუძლია. ყველაფერს, რისთვისაც მიუღწევია კაცობრიობას და რითაც შეუძლია იამაყოს, პირველ რიგში ის მოთხოვნილებას უნდა უმადლოდეს. მოთხოვნილება ბიძგს აძლევს ადამიანს ააშენოს ახალი და დაანგრიოს ძველი. მოთხოვნილება, მისი მაქსიმალური დაკმაყოფილება ადამიანთა საუკუნეობრივი ოცნების — კომუნიზმის მთავარი მიზანი და შინაარსია.

მიუხედავად ამისა, მოთხოვნილებას ჯერ კიდევ არა აქვს მინიჭებული მისი კუთვნილი ადგილი ადამიანთა მოქმედების განმსაზღვრელ ფაქტორთა სისტემაში. მის როლს აიგივებენ არა მარტო მისსავე საფუძველზე წარმოშობილ იდეურ ფაქტორებთან, არამედ უფრო მეტიც, ზოგჯერ მას ამ ფაქტორებზე დაბლაც აყენებენ, ადამიანის დამცირებადაც კი მიიჩნევენ მისი მოქმედების ახსნას მოთხოვნილებებით.

ადამიანის მოქმედებასა და ქცევაში მოთხოვნილების როლის შეუფასებლობის მიზეზი ის არის, რომ ადამიანურ მოთხოვნილებებს ყოველთვის არ განიხილავენ როგორც ცნობიერ დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ს მოთხოვნილების საგანთან და მას ფაქტიურად ცხოველთა მოთხოვნილებებთან აიგივებენ, მაშინ

როდესაც „ცხოველისათვის მისი ურთიერთობა სხვებთან არ არსებობს როგორც ურთიერთობა“[1].

მოთხოვნილება, როგორც გარკვეული დამოკიდებულება სამყაროსადმი, მხოლოდ ადამიანისთვისაა დამახასიათებელი. მოხმარების საგნებისადმი მოთხოვნილება მას გააჩნია მაშინაც, როცა იგი თავისუფალია მისი უშუალო, ფიზიკური გავლენისაგან[2]. ცხოველური მოთხოვნილება ქრება მისი დაკმაყოფილების შემდგომ, ხოლო მოხმარების საგანი ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს მისთვის. ადამიანური მოთხოვნილება კი, როგორც დამოკიდებულება, არ ქრება მისი დაკმაყოფილების შემდგომ და მოთხოვნილების საგანიც მისთვის კვლავ რჩება მოთხოვნილების საგნად. ამიტომ, თუ ცხოველი მოქმედებს და „აწარმოებს“ მხოლოდ უშუალო ფიზიკური მოთხოვნილების ზემოქმედების შედეგად, ადამიანი აწარმოებს მაშინაც, და ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი თავისუფალია ასეთი გავლენისაგან[3].

მოთხოვნილების, როგორც დამოკიდებულების, საფუძველზე ადამიანს უჩნდება შესატყვისი ინტერესები, სურვილები, მისწრაფებები, მიზნები და ა. შ., რომლებიც, თავის მხრივ, მნი-

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ფოიერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა, გვ. 50.

[2] ცნებებს — „ურთიერთობა“ და „დამოკიდებულება“ ჩვენ სხვადასხვა მნიშვნელობით ვხმარობთ. დამოკიდებულებაში ვგულისხმობთ ადამიანის შინაგან პოზიციას ურთიერთობაში მყოფი საგნებისა და მოვლენებისადმი. ადამიანთა ერთი და იმავე ურთიერთობაში განსხვავებული დამოკიდებულებები არსებობს, მაგალითად, ადამიანებს შორის, შრომისადმი, სოციალისტური საკუთრებისადმი და ა. შ.

[3] იხ. К. Маркс и Ф. Энгельс. Из ранних произведений. გვ. 566.

შვნელოვან როლს ასრულებენ ადამიანის ქცევასა და მოქმედებაში.

ადამიანის მოქმედების განმსაზღვრელი ფაქტორები ორ ჯგუფად იყოფა. ესენია სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები. ობიექტურ ფაქტორებს მიეკუთვნება ადამიანის მოქმედებისა და ქცევის გარემო, ხოლო სუბიექტურს — მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებები და მის საფუძველზე წარმოშობილი ინტერესები, სურვილები, მისწრაფებები, მიზნები, (ნობები, მოტივები, განწყობები და სხვა.

მარ ლია, ეს უკანასკნელნი (ე. ი. სუბიექტური ფაქტორები) საბოლოოდ ობიექტური ფაქტორებით განისაზღვრებიან, მაგრამ წარმოშობის შემდეგ შეფარდებით დამოუკიდებლობას იძენენ და მის წარმომშობ მიზეზზე უკუზემოქმედების საკუთარი კანონზომიერებით ხასიათდებიან.

მოთხოვნილება ცოცხალი ორგანიზმის ყოველგვარი აქტიურობისა და მოქმედების შინაგანი წყაროა — დაწყებული ამების უბრალო ადგილგადანაცვლებიდან, გათავებული ადამიანის მიერ კოსმოსზე იერიშის მიტანით.

ყოველგვარი პროგრესი ადამიანთა განვითარებაში მოთხოვნილებასთანაა დაკავშირებული. მოთხოვნილებამ შექმნა ადამიანის ახალი ფუნქციები — მეტყველება და აზროვნება. თვით მაიმუნის ადამიანად გარდაქმნის პროცესში მოთხოვნილება დაედო საფუძვლად იარაღის გამოყენებას და ადამიანთა შრომით საქმიანობას. მოთხოვნილების გარეშე არ არსებობს წარმოება, არ არსებობს ისტორია — ინდივიდისა და საზოგადოების განვითარება.

მოთხოვნილება ცოცხალი ორგანიზმის არსებობის წესია. მის გარეშე არ არსებობს ნივთიერებათა ცვლა, ხოლო ამ უკა-

ნასკნელის გარეშე — სიცოცხლე. ნივთიერებათა ცვლის აუცილებლობა საფუძვლად უდევს ყოველი ცოცხალი ორგანიზმის აქტიურობას, მათ შორის ისეთ აქტიურობასაც, როგორიცაა ადამიანის შრომითი საქმიანობა.

რა დონესაც უნდა მიაღწიოს ინდივიდისა და საზოგადოების განვითარებამ, ნივთიერებათა ცვლა ადამიანსა და ბუნებას შორის მუდმივ აუცილებლობად დარჩება. ადამიანის აქტიურობის წყაროც მუდამ მოთხოვნილებები იქნება. „როგორც ველური ადამიანი იძულებულია ბუნებას ებრძოლოს, რათა თავისი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს და რათა თავისი ცხოვრება შეინარჩუნოს და კვლავ აწარმოოს, ისე ცივილიზებულმა ადამიანმაც უნდა იბრძოლოს, და მან ეს უნდა ქნას ყოველ საზოგადოებრივ ფორმაში, ყოველი შესაძლებელი წარმოებინ წესის პირობებში"[1].

მოთხოვნილება არის სუბიექტის მდგომარეობა წარმოშობილი გარემოს მიერ გამოწვეული ცვლილებებით. ეს ცვლილებები იწვევენ სუბიექტის გაწონასწორებული მდგომარეობის დარღვევას. მოთხოვნილების დაკმაყოფილება კი ამ დარღვეული წონასწორობის აღდგენაა, რისთვისაც საჭიროა აქტიურობა.

ადამიანის მოთხოვნილება გარემოსთან ურთიერთობის პროცესში მომხდარი ცვლილებების საფუძველზე წარმოიშობა. ეს ცვლილებები არსებითად განსხვავდება ცხოველური წარმოშობის ცვლილებებისაგან. ცხოველებში ცვლილებებს იწვევს გარემოს უშუალო ფიზიკური ზემოქმედება, მაშინ როდესაც ადამიანზე ზემოქმედებას ახდენს არა მარტო ის გარემო, რომელიც ამჟამად და უშუალოდ ფიზიკურადაა მოცემული, არა-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, გვ. 448—449.

ნედ სოციალური გარემოც, რომელიც ინდივიდის ცნობიერებაშია ასახული. ამასთან, ადამიანში ცვლილებებს იწვევს და აქტიურობის შესატყვის ფორმას წარმოშობს არა მარტო ის მდგომარეობა, რომელიც ამჟამად არსებობს, არამედ ის მდგომარეობაც, რომელსაც ადამიანი მომავალში მოელის. ადამიანისათვის როგორც წარსული, ასევე მომავალი სუბიექტურად აწმყოში არსებობს და მისი ცნობიერების შინაარსს შეადგენს. ი დ ე ო ლ ო გ ი უ რ ი ზ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ც ა დ ა მ ი ა ნ ზ ე ს ა ბ ო ლ ო ო დ ს ხ ვ ა ა რ ა ფ ე რ ი ა, თ უ ა რ ა გ ა რ ე მ ო ს ზ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ი თ.

ადამიანის ყოველგვარი აქტიურობა გარკვეულ გარემოსა და სიტუაციას გულისხმობს. გარემო ადამიანის არა მარტო არსებობის, არამედ ფორმირების საფუძველია. გარემოსთან ურთიერთობა წარმოშობს ადამიანის ყოველგვარ მოთხოვნილებას. თავის მხრივ, ადამიანი გარემოსთან, გარეგან სამყაროსთან დამოკიდებულებაშია როგორც თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებასთან. ეს დამოკიდებულება პირველ რიგში პრაქტიკულია. ამ პრაქტიკულ დამოკიდებულებაში ადამიანები ცვლიან ბუნებას, გარემოს და ამით ცვლიან თავიანთ თავსაც.

ცოცხალი ორგანიზმის დამოკიდებულება ბუნებასთან მისი ბიოლოგიური არსებობითაა განპირობებული. ადამიანის დამოკიდებულება ბუნებასთან გაშუალებულია სოციალურად. მხოლოდ ბიოლოგიური, ფიზიკური ადამიანი არ არსებობს. ადამიანი სოციალური არსებაა.

ადამიანის სოციალური ნიშანი, სპეციფიკა მოცემულია პირველ რიგში მის მოთხოვნილებებში. რეალური ადამიანი ზუს-

ტად ისეთია, როგორიცაა მისი მოთხოვნილებების შინაგანი სისტემა, მისი დამოკიდებულებანი გარესამყაროსთან. ადამიანის შინაარსი უდრის მისი უნარების, მოთხოვნილებებისა და დამოკიდებულებების შინაარსს.

ყოველი ადამიანის მოთხოვნილებების შინაარსი მთლიანად დამოკიდებულია საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტულ პირობებზე — საწარმოო ძალების განვითარების დონეზე, საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, პირველ რიგში წარმოებით ურთიერთობებზე. მაშასადამე, **მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ებ ებ ის შ ი ნ ა ა რ ს ის გ ა ნ მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი, გ ა დ ა მ წ ყ ვ ე ტ ი ფ ა ქ ტ ო რ ი ს ა ბ ო ლ ო ო დ წ ა რ მ ო ე ბ ა ა.** თავის მხრივ, მოთხოვნილებები თვით წარმოადგენენ მატერიალური და სულიერი ცხოვრების ამა თუ იმ ორგანიზაციისა და განვითარების აუცილებელ პირობას.

მოთხოვნილებების ისტორიული განვითარება გავლენას ახდენს არა მარტო ადამიანის შრომითი საქმიანობის ფორმებზე, მის დამოკიდებულებაზე ბუნებასთან, არამედ ადამიანთა შორის გარკვეული ურთიერთობების ფორმირებაზეც, საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, რომლებიც ყალიბდებიან მოქმედებებისა და უნარების ურთიერთგაცვლის საფუძველზე. როგორც მარქსი მიუთითებს, სამოქალაქო საზოგადოების წევრთა კავშირის საფუძველია მოთხოვნილებით გამოწვეული მოქმედებისა და მისი შედეგების ურთიერთგაცვლის აუცილებლობა, რაც ინტერესის სახით ვლინდება.

წარმოებისა და წარმოებითი ურთიერთობების გარკვეული ფორმები, „მატერიალური ცხოვრების ორგანიზაცია“, თავის მხრივ, ზემოქმედებას ახდენენ მოთხოვნილებების ჩამოყალიბებაზე; უფრო მეტიც, ეს ურთიერთობანი წარმოადგენენ გა-

დამწყებტ პირობას მათი ფორმირებისათვის. მაგალითად, მატერიალური ცხოვრების სოციალისტური ორგანიზაციის პირობებში წარმოიშობიან თვისებრივად სხვაგვარი მოთხოვნილებები, ვიდრე კაპიტალიზმის დროს, მიუხედავად იმისა, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შესაძლებელია დაახლოებით ერთნაირიც იყოს.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ადამიანის მოთხოვნილებები არ შეიძლება ერთნაირი იყოს თვით ერთი და იმავე საზოგადოებრივ გარემოშიც კი. მათი შინაარსი დამოკიდებულია ცალკეული ინდივიდების ცხოვრების უშუალო პირობებზე, კონკრეტული მიკროგარემოს თავისებურებებზე, რომლებშიც პიროვნება ყალიბდება. სოციალისტური საზოგადოება ერთნაირ შესაძლებლობას იძლევა ყველა ინდივიდის განვითარებისათვის, მაგრამ იგი წარმოადგენს მაკროგარემოს, რომელიც ინდივიდის ფორმირებაზე გავლენას ახდენს მიკროგარემოს საშუალებით. პრაქტიკულად ადამიანი პირველ რიგში ყალიბდება მიკროგარემოს საშუალებით, რომელშიც ამა თუ იმ სახით განსახიერებას პოულობს მაკროგარემო.

გარდა ამისა, კონკრეტული ადამიანის მოთხოვნილებები გარკვეულად განპირობებულია მისი როგორც ბიოლოგიური, ასევე ფსიქოლოგიური ხასიათის მემკვიდრეობითი თვისებებით. უნარებით, მიდრეკილებებით, ტემპერამენტით და სხვ.

ამრიგად, ყოველი ინდივიდის მოთხოვნილებები განისაზღვრება საზოგადოებრივი ყოფიერებით, სოციალური პირობებით, გარემოს საშუალებით და პიროვნების თანდაყოლილი ინდივიდუალური თავისებურებებით.

მართალია, საზოგადოებრივი განვითარების ყოველ საფეხურზე ადამიანი არსებობს პირველ რიგში როგორც ბიოლოგიური არსება, რომელსაც ყოველთვის ჰქონდა და ექნება ბიოლოგიური მოთხოვნილებები, მაგრამ საზოგადოებრივი განვითარების შედეგად ეს უკანასკნელნიც ვითარდებიან და სოციალურნი ხდებიან. ვითარდება და იცვლება მათი შინაარსი, დაკმაყოფილების ფორმა და მეთოდები. „შიმშილი შიმშილია, — წერს მარქსი, — მაგრამ ის შიმშილი, რომელსაც მოხარშული, დანა-ჩანგლის დახმარებით შეჭმული ხორცით იკმაყოფილებენ, სხვა შიმშილია, ვიდრე ის შიმშილი, რომელიც ადამიანს აიძულებს უმი ხორცი ხელების, ფრჩხილებისა და კბილების დახმარებით ჩაყლაპოს"[1].

ბიოლოგიური მოთხოვნილებები, მათი დაკმაყოფილების წესი და ფორმები გარდაქმნა-განვითარებას განიცდის სოციალური მოთხოვნილებების ზეგავლენით. ამ საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებს ის გარემოება, რომ თითოეული მოთხოვნილება ცალკე კი არ არსებობს, არამედ შინაგან კავშირსა და ურთიერთგანპირობებულობაშია სხვა მოთხოვნილებებთან, ხოლო „შინაგანი კავშირი სხვადასხვა მოთხოვნილებას, — წერს მარქსი, — ერთ ბუნებრივად აღმოცენებულ სისტემად აყალიბებს"[2].

ადამიანის მოქმედება ყოველ კონკრეტულ პირობაში წარმოადგენს მისი, როგორც ფსიქო-ფიზიკური მთლიანობის მოქმედებას, რასაც გარკვეულ მიმართულებას აძლევს გარემო და მოთხოვნილებათა შინაგანი სისტემა. გარემოს ყოველგვარი ზე-

---

[1] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 268—269.

[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 452.

მოქმედება, ყოველგვარი მატერიალური თუ მორალური ფაქტორი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცნობიერებაში გადატყდება მხოლოდ მოთხოვნილებათა შინაგანი სისტემის საშუალებით. გამოიწვევს თუ არა ამა თუ იმ გარეგანი ზემოქმედების შედეგად წარმოშობილი მოთხოვნილება მოქმედებას, ან სახელდობრ როგორს, ეს დამოკიდებულია არა მარტო სიტუაციაზე, არამედ იმაზეც, თუ რა რეაგირებას ახდენს ჩამოყალიბებულ მოთხოვნილებათა შინაგანი სისტემა გარეგან ზემოქმედებაზე.

ადამიანი ცხოველებისაგან განსხვავებით გარეგან სამყაროსთან ურთიერთობაშია როგორც შეგნებული, ცნობიერი არსება. ეს ურთიერთობა ყოველთვის გაშუალებულია საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკით. ადამიანის მოთხოვნილებები გარკვეული პირობების შედეგად თავიანთ სუბიექტურ გამოხატულებას პოულობენ ცხოვრებაში ინტერესების, სურვილების, მისწრაფებების, მიზნების, ვნებების, ემოციებისა და სხვათა სახით, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ყოველი კონკრეტული მოქმედების მოტივაციის პროცესში, მოქმედების მოტივის ჩამოყალიბებაში.

მოთხოვნილებების აღიარება ადამიანის მოქმედების ძირითად წყაროდ სრულებით არ ამცირებს მათ საფუძველზე წარმოშობილი სულიერი ცხოვრების იმ მოვლენების როლს ადამიანის მოქმედების გამოწვევაში, რომლებზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. მაგრამ ისინი მოქმედების გამომწვევ ფაქტორებად ხდებიან იმიტომ, რომ მათ საფუძვლად უდევს ესა თუ ის მოთხოვნილება.

მოთხოვნილებებში მოცემულია ადამიანის სოციალური განსაზღვრულობა, მისი არსება. რაც შეეხება ადამიანის მოქმე-

დებას, იგი მხოლოდ ამ არსების გამოვლინებაა კონკრეტულ გარემოში, სიტუაციაში. მოთხოვნილების გარეშე არავითარი ადამიანური არსების გამოვლინება არ ხდება.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი აკრიტიკებდნენ წინამორბედ მატერიალისტებს, რომ ისინი იდეურ მოტივებს თვლიდნენ ადამიანის მოქმედებისა და საზოგადოებრივი მოვლენების საბოლოო მიზეზებად და არ იკვლევდნენ, როგორია ამ მამოძრავებელი ძალების ნამდვილი „მამოძრავებელი ძალები“.

ადამიანს თავისი მრავალგვარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის მოქმედებაში მოჰყავს საკუთარი ფიზიკური და სულიერი ძალები. მაგრამ ყოველ მოქმედებას საფუძვლად მოთხოვნილება უდევს. „არავის არ შეუძლია გააკეთოს რაიმე, — წერდა კ. მარქსი, — ისე, თუ მას არ აკეთებს თავისი რაიმე მოთხოვნილების და ამ მოთხოვნილების ორგანოსათვის“[1].

მარქსიზმის ფუძემდებლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მოთხოვნილებებს ადამიანის მოქმედებისა და ჩამოყალიბების, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების ორგანიზაციისა და შემდგომი განვითარების საქმეში. ისინი ადამიანის მთელ სიმდიდრეს მისი მოთხოვნილებების სიმდიდრესა და მრავალფეროვნებაში ხედავდნენ.

მარქსიზმისათვის აქსიომაა, რომ ადამიანი მოქმედების დროს მოთხოვნილებებს ემყარება. მაგრამ ამ საკითხს გააჩნია მეორე მხარეც: როგორია შინაარსი იმ მოთხოვნილებებისა, რომლებიც ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში ადამიანის აქტიურობას წარმართავენ? ადამიანის განვითარების მაჩვენებელია ის, თუ როგორია მისი მოთხოვნილებების შინაარსი. მისი პირადი მოთხოვნილებები ამასთანავე გამოხატავენ თუ არა საზო-

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 3, гз. 245.

გადოებრივ მოთხოვნილებებს; რამდენად ჯანსაღი და გონივრულია ისინი საზოგადოების განვითარების მოცემულ ეტაპზე, ე. ი. რამდენად რეალურია და ხელს უწყობს მათი დაკმაყოფილება როგორც ინდივიდის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას, ასევე მთელი საზოგადოების წინსვლასა და განვითარებას. ინდივიდებს ყოველი, მათ შორის საზოგადოებრივად სასარგებლო მოქმედება შეუძლიათ შეასრულონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი მოქმედება წარმოადგენს მოთხოვნილებას ან რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას.

ჩვენს ლიტერატურაში გავრცელებულია არასწორი შეხედულება იმის შესახებ, თითქოს ადამიანი საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას მოვალეობის შეგნების შედეგად ასრულებს. თანაც მოვალეობის შეგნება ხშირად გაიგივებულია აზროვნებასთან, ცნობიერებასთან. არ არის გათვალისწინებული მოვალეობის შეგნების ორგანული კავშირი მოთხოვნილების შინაგან სისტემასთან. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს საკმარისია ადამიანს გავაცნოთ ავი მოვალეობა და ისიც აუცილებლად შეასრულებს მას. მაგრამ, როგორც პრაქტიკული ცხოვრება ადასტურებს, ეს ასე არ ხდება. ჩვენს გვერდით ცხოვრობენ ადამიანები, რომლებსაც შესანიშნავად ესმით თავიანთი როგორც მოქალაქეობრივი, ასევე თანამდებობრივი მოვალეობა, მაგრამ ხშირად არღვევენ მას. დამნაშავეთა დიდ ნაწილს ჩადის, მაგრამ მხოლოდ ამისი შეგნება, როგორც ვხედავთ, არ არის საკმარისი დანაშაულის აღსაკვეთად.

როდესაც ადამიანის მოქმედება საზოგადოებრივად სასარგებლოა და ამით იგი საზოგადოებრივ მოვალეობას ასრულებს,

ადამიანი გამოდის არა მოვალეობის ცოდნიდან, მისი გაცნობიერებიდან, არამედ მოთხოვნილებებიდან. ყოველ მოქმედება წარმოადგენს მოთხოვნილებას ან რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას. „...თუ ჩვენ გვინდა რაიმეთი დავეხმაროთ რომელიმე საქმეს, — წერდა ფ. ენგელსი. — იგი აირველად უნდა გახდეს ჩვენ საკუთარ, ეგოისტურ საქმედ. მაშასადამე, ჩვენ ამ აზრით რაიმე მატერიალური მოსაზრებების გარეშეც, უბრალოდ ეგოისტური მისწრაფებით, წარმოვადგენთ კომუნისტებს და სახელდობრ ეგოისტური მისწრაფებით გვინდა ვიყვეთ ადამიანები და არა მხოლოდ ინდივიდები"[1].

ადამიანური მოქმედება არასოდეს არ გამოდის მხოლოდ იდეებიდან, აზრებიდან. ეს უკანასკნელნი თვით გამოდიან მოთხოვნილებათა სფეროდან, მოთხოვნილებათა შინაგანი სისტემიდან. კომუნისტური მოღვაწეობის, მოქმედების საბოლოო მიზეზია არა კომუნისტური თეორიების ცოდნა, როგორც იდეალური ფაქტორი, არამედ კომუნისტური შეგნება ჯანსაღი და გონივრული მოთხოვნილებების სახით.

ხშირად აიგივებენ ცნობიერებასა და შეგნებას, რაც არასწორია. შეგნება გულისხმობს დამოკიდებულებას, შინაგან პოზიციას ზნეობრივი და სხვა ნორმებისადმი, ხოლო ცნობიერება — ყველაფერს, რაც აზროვნების შედეგია — ცოდნას, ურთიერთობებსა და დამოკიდებულებას.

ადამიანის მოქმედება, ემთხვევა თუ ეწინააღმდეგება კომუნისტური ზნეობის ნორმებს, ორივე შემთხვევაში წარმოადგენს ცოცხალი ინდივიდის, როგორც მთლიანობის, მოქმედებას, რო-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 27, გვ. 11—12.

შელიც მოქმედების დროს ყოველთვის გამოდის თავისი თავიდან, თავის მოთხოვნილებათა სისტემიდან.

როგორც ითქვა, არსებობს ყალბი შეხედულება ადამიანის მოქმედების შესახებ, თითქოს რიგ შემთხვევებში ადამიანი მოქმედებს თავისი მოთხოვნილებების კარნახით, ხოლო რიგ შემთხვევებში — ცნობიერების, შეგნების ხელმძღვანელობით; თითქოს მოთხოვნილების სფერო და ცნობიერების სფერო ხშირად ერთიმეორეს ეწინააღმდეგებიან. აკრიტიკებდნენ რა შტირნერს ერთსა და იმავე ინდივიდში მოთხოვნილებებისა და ცნობიერების, ეგოიზმისა და ალტრუიზმის ურთიერთდაპირისპირების გამო, კ. მარქსი და ფ. ენგელსი წერდნენ, რომ ინდივიდები ყოველთვის გამოდიოდნენ და არც შეეძლოთ არ გამოსულიყვნენ თავიანთი თავიდან. ამიტომაც შტირნერის მიერ აღნიშნული ორივე მხარე ინდივიდების პირადი განვითარების მხარეებია, ორივე თანაბარი ზომით წარმოშობილია მათი ცხოერების ემპირიული პირობების გამო, ორივე არსებითად მხოლოდ გამოხატულებაა ადამიანების ერთი და იმავე პირადი განვითარებისა და ამიტომაც ერთიმეორის მიმართ მხოლოდ მოჩვენებით წინააღმდეგობაში იმყოფებიან[1].

ბრძოლა ეგოიზმის როგორც ინდივიდუალიზმის წინააღმდეგ. ადამიანის კომუნისტური აღზრდა მხოლოდ იდეებით, თეორიებით, განათლებითა და ა. შ. არაეფექტურია, თუ მას საფუძვლად არ უდევს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისადმი მოთხოვნილებების აღზრდა ან ამ საქმიანობის გადაქცევა რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებად. მარქსს მომავალი კომუნისტური საზოგადოება წარმოდ-

---

[1] იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 3. გვ. 235.

გენილი აქვს საზოგადოებად, რომლის დროსაც ადამიანის მოთხოვნილებები შეზღუდული იქნება პირად მოთხოვნილებებად ქცეული საზოგადოებრივი მოთხოვნილებებით და არა ცნობიერებით.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი უარყოფითად ახასიათებენ ეგოიზმს როგორც ინდივიდუალიზმს, რომლის მოთხოვნილებათა შინაარსი არ სცილდება პირადი სარგებლობის საგნებს, ხოლო ადამიანი, რომლის პირადი მოთხოვნილებანი და ინტერესები ამავე დროს გამოხატავენ საზოგადოების მოთხოვნილებებსა და ინტერესებს, პირიქით, საზოგადოების განვითარების ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენს[1].

ამრიგად, ადამიანის განვითარების მაჩვენებელია ის, თუ როგორია მისი მოქმედების გამომწვევ მოთხოვნილებათა შინაარსი. ამ მოთხოვნილებით გამოწვეული მოქმედება ან მხოლოდ პირად სარგებლობას ითვალისწინებს, ან პირად სარგებლობასთან ერთად ემთხვევა საზოგადოებრივ მოთხოვნილებებსა და ინტერესებს. ეგოიზმისა და ალტრუიზმის პრობლემა სწორედ ამ ასპექტში უნდა გადაწყდეს და არა იმის მიხედვით, წარმოადგენდა თუ არა ესა თუ ის მოქმედება სუბიექტის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებას.

ეგოიზმის წინააღმდეგ ბრძოლაც ნიშნავს არა იმას, რომ ადამიანებს ავუკრძალოთ თავიანთი მოთხოვნილებების მიხედვით მოქმედება, არამედ იმას, რომ ადამიანის პირადი მოთხოვნილებანი ამასთან ერთად საზოგადოებრივ მოთხოვნილებებსა და ინტერესებსაც გამოხატავდეს. „...კომუნისტები, — წერენ

[1] იხ. К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 27, გვ. 12.

მარქსი და ენგელსი, — არ აყენებენ ეგოიზმს თავდადების წინააღმდეგ, არც თავდადებას — ეგოიზმის წინააღმდეგ და თეორიულად არც აღიქვამენ, არც ხედავენ ამ წინააღმდეგობას... ისინი პირიქით ხსნიან მის მატერიალურ საფუძვლებს, რომელთა გაქრობასთან ერთად ისიც თავისთავად გაქრება"[1].

ამრიგად, მატერიალისტური გაგება მოითხოვს ადამიანის მოქმედების ახსნას არა ადამიანის ცნობიერებით, აზროვნებით, არამედ მისი მოთხოვნილებებით, ხოლო მოთხოვნილებების წარმოშობა და დაკმაყოფილება უნდა განვიხილოთ როგორც ისტორიული პროცესი. ამ პროცესში იცვლება მხოლოდ მოთხოვნილებების შინაარსი; რაც შეეხება თვით მოთხოვნილებას, როგორც აქტიურობის წყაროს, იგი უცვლელია ყველა დროისა და ეპოქისათვის. მოთხოვნილება ადამიანის მოქმედების მექანიზმის აუცილებელი რგოლია. ამ რგოლის სწორად შეფასებაზეა დამოკიდებული ადამიანის მოქმედების მატერიალისტური თუ იდეალისტური გაგება.

საჭიროა განვასხვაოთ პირადი მოთხოვნილება პირადი სარგებლობისაგან. ყოველი მოთხოვნილება არ დაიყვანება პირად სარგებლობაზე.

მოთხოვნილება უფრო ფართო ცნებაა. ის გამოხატავს ინდივიდის მდგომარეობას, მის დამოკიდებულებას რაიმესადმი. რაიმეს საჭიროებას, რაც შეიძლება იყოს: პირადი, საზოგადოებრივი ან ერთობლივი საჭიროება. კომუნისტურ საზოგადოებაში საზოგადოებრივი სარგებლობა, საზოგადოებრივი მოთხოვნილება და ინტერესი ამასთანავე პირად ინტერესად, პირად მოთხოვნილებად იქცევა. კლასობრივ ანტაგონისტურ სა-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 3, გვ. 236.

ზოგადოებაში ადამიანს ისე არ შეუძლია პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, თუ სხვების ინტერესები და მოთხოვნილებები არ დაარღვია. კომუნისტურ საზოგადოებაში კი, პირიქით, საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ამავე დროს ობიექტურად ნიშნავს პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასაც, ისევე როგორც პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ამავე დროს საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასაც გულისხმობს.

სოციალისტური რევოლუცია, რომელიც გარდაქმნის წარმოების წესსა და საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ღრმა ცვლილებებს იწვევს ადამიანის მოთხოვნილებებშიც. ახდენს რა კერძო საკუთრების, ექსპლუატატორული კლასების ლიკვიდაციას, იგი ბოლოს უღებს ერთის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას სხვების ხარჯზე. მოთხოვნილებების დაკმაყოფილება დამოკიდებული ხდება შრომის რაოდენობასა და ხარისხზე, რის შედეგადაც ისპობა გაბატონებული კლასების პარაზიტული მოხმარება. წარმოიშობა მთელი საზოგადოებრივი მასშტაბით ახალი მომხმარებელი, რომელიც ამასთანავე მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა შემქმნელია. სოციალიზმი გამორიცხავს მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების გათიშვას.

სოციალისტური საზოგადოება სპობს დაპირისპირებას გონებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის, სულიერ მოთხოვნილებებს ერთი მუჭა პრივილეგიური ადამიანების კუთვნილებიდან მშრომელთა ფართო მასების კუთვნილებად აქცევს. აქ თვით მშრომელთა განკარგულებაშია სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ყველა საშუალება — პრესა, რადიო, ტელევიზია, მუზეუმი, კინო, ბიბლიოთეკა და ა. შ. ხალხთა ინტერესებს

ემსახურება ზოგადსაგანმანათლებლო, სპეციალური საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები, რითაც მშრომელთა ფართო მასებისათვის იქმნება არნახული შესაძლებლობანი მეცნიერებისა და კულტურის დასაუფლებლად, მათი სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და განვითარებისათვის.

სოციალიზმი არა მარტო აფართოებს და თვისებრივად გარდაქმნის კაპიტალიზმის დროს არსებულ ადამიანთა მოთხოვნილებებს, არამედ ქმნის ახალ მოთხოვნილებებსაც, რომლებიც უცნობია კაპიტალისტური საზოგადოებისათვის. მათ შორის უმნიშვნელოვანესია შრომის, საზოგადოების სასარგებლო შემოქმედებითი საქმიანობის მოთხოვნილება. სოციალისტური რევოლუცია ძირეულ გარდატეხას ახდენს როგორც წარმოების, ასევე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების წესში. „რევოლუცია, — წერდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, — მიმართულია გაბატონებული ურთიერთობების წინააღმდეგ, რომლებიც დაფუძნებულია არსებულ საწარმოო ძალებზე, და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების წესის წინააღმდეგ, რომელიც შეესატყვისება ამ ურთიერთობებს“[1].

მოთხოვნილება, ამ სიტყვის ზოგადი მნიშვნელობით, არის ფუნქციობის პროცესში მომხდარი ცვლილებების შედეგად სუბიექტის ნორმალური მდგომარეობის დარღვევით გამოწვეული მოვლენა. ეს განმარტება ეხება საერთოდ ყოველ მოთხოვნილებას, რომელთა სუბიექტიც შეიძლება იყოს ყოველი ცოცხალი ორგანიზმი, ინდივიდი, კოლექტივი, კლასი, საზოგადოება და წარმოება.

ადამიანის მოთხოვნილება არის ფსიქო-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 3, გვ. 433.

ფიზიკური მოვლენა, რომელიც წარმოიშობა გარემოსთან ურთიერთობის პროცესში სუბიექტში მომხდარი ფიზიკური და სულიერი ცვლილებებისაგან. მისი სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოიშობა არა მხოლოდ უშუალოდ, ფიზიკურად მოქმედი გარემოსაგან, არამედ აგრეთვე ადამიანისათვის სოციალურად არსებული გარემოს ზემოქმედებით და ცნობიერ ხასიათს ატარებს.

მოთხოვნილება, მსგავსად აზროვნებისა, ადამიანის მთლიანი ცხოვრების მომენტია, რომელიც სუბიექტზე გარკვეული ზემოქმედების შედეგად ხან წარმოიშობა, ხან კი ქრება.

მოთხოვნილება დაპირისპირებულთა ერთიანობაა, რომელსაც გააჩნია ორი მხარე: მოთხოვნილების სუბიექტი და მოთხოვნილების ობიექტი, ან უბრალოდ, სუბიექტი და ობიექტი. მოთხოვნილების ობიექტს წარმოადგენს საგანი, რომლის გარკვეული წესით მოხმარება აღადგენს სუბიექტის გაწონასწორებულ, ნორმალურ მდგომარეობას, რისკენაც ისწრაფვის ყოველი ცოცხალი ორგანიზმი.

ცხოველის ნორმალური, გაწონასწორებული მდგომარეობაა მისი ბიოლოგიური, ფიზიკური, მოთხოვნილებების დაკმაყოფილებული მდგომარეობა, რომლის საგანს მზა სახით პოულობს ბუნებაში, ხოლო ადამიანის „ნორმალური მდგომარეობაა ის, რაც მის ცნობიერებას შეესაბამება და თვით მის მიერ უნდა იქნეს შექმნილი“[1].

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1950, გვ. 199.

ადამიანის მოთხოვნილება და მოხმარების საგანი გაშუალებულია წარმოების, განაწილებისა და გაცვლის სოციალური პროცესებით. ყველა ამ პროცესში ადამიანის არსებობისათვის აუცილებელია აქტიურობა.

ადამიანის მოთხოვნილების საგანია ყოველი ნივთი ან მოვლენა, რომელიც ამა თუ იმ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, სულ ერთია იქნება იგი მატერიალური თუ სულიერი წარმოშობისა, უშუალოდ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას, თუ მრავალი სოციალური პროცესით, გაშუალების გზით. ამიტომაც წერდა კ. მარქსი, რომ „ამ მოთხოვნილების ბუნება, სულ ერთია, წარმოშობს მას, მაგალითად, კუჭი თუ ოცნება, სრულიად არ ცვლის საქმის ვითარებას. აქ აგრეთვე არც იმაზეა ლაპარაკი, თუ როგორ აკმაყოფილებს ეს ნივთი ადამიანის მოთხოვნილებას, — უშუალოდ, როგორც საარსებო საშუალება, ე. ი. როგორც მოხმარების საგანი, თუ არაპირდაპირი გზით, როგორც წარმოების საშუალება"[1].

ადამიანს შეუძლია ჰქონდეს მოთხოვნილება, როგორც დამოკიდებულება კვების საგნის მიმართ, რომელსაც იგი ერთი თვის ან წლის შემდეგ მოიხმარს. ხოლო ცხოველს, თუ მაძღარია, არავითარი მოთხოვნილების განცდა არ შეუძლია და კვების საგანიც მისთვის მოკლებულია ყოველგვარ მნიშვნელობას

ადამიანის მოთხოვნილებას წარმოშობს არა მარტო ორგანიზმში უშუალოდ მიმდინარე ბიოლოგიური პროცესები, ფიზიკური ვარემოს უშუალო ზემოქმედება (როგორც

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 49.

ეს ხდება ცხოველებთან), არამედ ცნობიერებაში ასახული და წარმოდგენილი გარემოც, რომელიც შეუზღუდავია დროსა და სივრცეში.

ადამიანის როგორც მოთხოვნილება, ასევე მისი დაკმაყოფილების საგნები სოციალური წარმოშობისაა. ისინი თავიანთ მნიშვნელობასა და აქტუალობას ყოველთვის ინარჩუნებენ ადამიანის ცნობიერებაში, ამჟამად მოიხმარს მათ, თუ რამდენიმეხნის შემდეგ. ამიტომ პრობლემა იმის შესახებ, ადამიანის ნებისმიერ მოქმედებას აქტუალური მოთხოვნილებები იწვევენ თუ არა, ყალბი პრობლემაა. ადამიანის ნებისმიერ მოქმედებას ყოველთვის აქტუალური მოთხოვნილება იწვევს, მაგრამ ადამიანის მოთხოვნილების აქტუალობის ცნებაში უშუალოდ მოცემული ბიოლოგიური მოთხოვნილება არ იგულისხმება. ადამიანის მოთხოვნილება, როგორც აღვნიშნეთ, არსებობს გარესამყაროს საგნებისადმი დამოკიდებულების სახით, რომელსაც ყოველთვის ინარჩუნებს ნორმალური ადამიანი, მაძღარი იქნება იგი თუ მშიერი, უშუალოდ მოქმედებს მასზე ეს საგნები თუ მატერიალური ცხოვრების სხვადასხვა პირობებისაგან გაშუალებულად.

მოთხოვნილებების დაყოფა აქტუალურ და არააქტუალურ მოთხოვნილებებად ძალაუნებურად ნიშნავს ადამიანის მოთხოვნილებების ბიოლოგიზაციას. რა თქმა უნდა, მოთხოვნილება

კეებისადმი. როდესაც მას უშუალოდ განიცდის ადამიანი, სხვა. ვიდრე ის მოთხოვნილება, რომელიც მას ერთი კვირის ან ერთი წლის შემდეგ ექნება, და მისი დაკმაყოფილების საგანიც, პროდუქტიც უფრო მეტ მიმზიდველობას იძენს მშიერი ადამიანისათვის. ვიდრე მაძღრისათვის. მაგრამ კვების მოთხოვნილების დაკმაყოფილების საგნებისადმი ადამიანს მხოლოდ ბიოლოგიური დამოკიდებულება მაშინაც კი არ აქვს, როდესაც იგი მისი უშუალო ფიზიკური გავლენის ქვეშ იმყოფება. ადამიანი ცხოველისაგან სწორედ იმითაც განსხვავდება, რომ მისი როგორც მოთხოვნილებები, ასევე მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საგნებიც სოციალურია, წარმოების პროდუქტებს წარმოადგენენ. მისი დაკმაყოფილების წესიც წარმოების მიერაა განსაზღვრული. ხშირად ადამიანიც მოქმედებს უშუალო მოთხოვნილების იმპულსის საფუძველზე, რომელსაც ბევრი ცხოველის იმპულსურ მოქმედებასთან აიგივებს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი არ შეიძლება ადამიანის მოქმედების გაიგივება ცხოველის მოქმედებასთან. როგორი მოთხოვნილებებიც არ უნდა გააჩნდეს ადამიანს, და რა სახითაც არ უნდა იკმაყოფილებდეს მას, მისი მოთხოვნილებები ყოველთვის დამოკიდებულებაში მყოფი სუბიექტის მოთხოვნილებაა და მოქმედებაც ყოველთვის სოციალური მოქმედებაა. ამრიგად, ადამიანის მოთხოვნილება არის დამოკიდებულება, ხოლო ცხოველური მოთხოვნილება—უშუალოფიზიკური, ბიოლოგიურიმდგომარეობა. ადამიანური მოთხოვნილებები წარმოიშობა და კმაყოფილდება სოციალურ გარემოში. გაშუალებულია ისტორიულად და განსაზღვრულია საზოგადოებ-

რივი პრაქტიკით, ხოლო ცხოველის მოთხოვნილებები წარმოიშობა და კმაყოფილდება უშუალო ბუნებრივი გარემოს პირობებში.

ადამიანის მოთხოვნილების როგორც წარმოშობა, ასევე დაკმაყოფილება, მიუთითებენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ისტორიული პროცესია, რომელიც არ გააჩნია არც ერთ ცხოველს.

ცხოველის მოთხოვნილება აწმყოს მდგომარეობაა, მაშინ როდესაც ადამიანის მოთხოვნილება ამასთანავე აწმყოში ცნობიერად მოცემული მომავლის მოთხოვნილებაცაა.

მოთხოვნილება, როგორც გარკვეული დამოკიდებულება სინამდვილისადმი, სადაც იგი არსებობს, არსებობს სუბიექტისთვის, რომელიც არ იფარგლება აწმყო მდგომარეობით. ცნობიერებაში მოცემული მომავლის მოთხოვნილება აწმყოს აქტიური დამოკიდებულებაცაა. დამოკიდებულებაში მყოფი სუბიექტისათვის მოთხოვნილება მაშინაც არსებობს, როდესაც იგი უშუალოდ არ საჭიროებს დაკმაყოფილებას.

სოციალური თვალსაზრისით ადამიანის იმ მოთხოვნილებებს შორის, რომელთაგან ერთი ამჟამად უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მეორე — მომავალში, განსხვავება მხოლოდ დროშია. აქტუალობის მხრივ მოთხოვნილებები განსხვავდებიან არა იმის მიხედვით, თუ როდის იქნება შესაძლებელი მათი დაკმაყოფილება, არამედ იმის მიხედვით, თუ რა ღირებულებას იძენენ ადამიანის დამოკიდებულებაში.

დამოკიდებულება ადამიანური არსებობის სპეციფიკური ფორმაა. ცხოველს გარემოსთან უშუალო ურთიერთობაში უჩნ-

დება მოთხოვნილება და მას უშუალოდ იკმაყოფილებს. ადამიანს კი დამოკიდებულებაში უჩნდება მოთხოვნილებები და მათი დაკმაყოფილებაც გაშუალებულია. ცხოველს მხოლოდ წმინდა ფიზიკური მოთხოვნილებები გააჩნია და იგი უშუალოდ წარმართავს მის მოქმედებას, ხოლო ადამიანის ფიზიკური მოთხოვნილებები დამოკიდებულებითაა გაშუალებული. ადამიანური მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოტივირებული მოქმედებაა, რომელშიაც მეტ-ნაკლებად ცნობიერადაა მოცემული მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები.

ყოველი ცოცხალი ორგანიზმის პირველი მოთხოვნილება არსებობის მოთხოვნილებაა. ცხოველი თავის არსებობას ავლენს და განამტკიცებს ბუნებრივ გარემოში, ადამიანი კი სოციალურ გარემოში. ამიტომ ადამიანის პირველ მოთხოვნილებას წარმოადგენს არა მარტო არსებობის მოთხოვნილება, არამედ ადამიანურად არსებობის მოთხოვნილება, სოციალური ფუნქციის შესრულება.

ცხოველისაგან განსხვავებით ადამიანს ახასიათებს მომავლის მოთხოვნილებები. ის მოთხოვნილებები, რომლებიც ამჟამად უკვე დაიკმაყოფილა ადამიანმა და რომლებიც მომავალში უნდა განმეორდნენ, ადამიანისათვის არსებობას არ წყვეტენ. ისინი რჩებიან ადამიანის ცნობიერებაში დამოკიდებულების სახით. მაძღარმა ადამიანმა ძალიან კარგად იცის, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ მას ისევ მოშივდება და კვლავ დაჭირდება შიმშილის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამიტომ იგი

ზრუნავს საკვებისათვის არა მხოლოდ მაშინ, როდესაც მშიერია, არამედ მაშინაც, როდესაც მას შიმშილი არ აწუხებს.

მომავალი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესატყვისი მოქმედება ჩანასახის სახით სხვა ცოცხალ ორგანიზმებშიც გვხვდება. მაგალითად, ბუდის გაკეთება ფრინველის მიერ, ფიჭის უჯრების მშენებლობა ფუტკრის მიერ, საკვების შეგროვება ციყვის მიერ და ა. შ. მომავალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მოქმედებებია. მაგრამ ყველა მსგავსი მოქმედება ჩამოყალიბდა გარემოსთან ორგანიზმის შეგუების პროცესში ინსტინქტის სახით და სრულდება არაცნობიერად მაშინაც კი, როდესაც მისი საჭიროება არ არსებობს. მაგალითად, ხელოვნურ გარემოში ციყვი საკვების შეგროვებას მაშინაც იწყებს, როდესაც საკვები მას უხვად გააჩნია. ადამიანი პირველ საფეხურზე, როგორც კ. მარქსი მიუთითებს, მხოლოდ იმით განსხვავდება ცხოველისაგან, რომ მისი ინსტინქტი შეცვლილია ცნობიერებით ან ინსტინქტი გაცნობიერებულია.

ცნობიერების საფუძველზე ადამიანს სოციალურ გარემოში უჩნდება მომავლის მოთხოვნილება, რომელიც აქტუალურად განიცდება აწმყოში. შრომა წარმოადგენს ობიექტურ საუცილებლობას ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის. ამიტომ შრომისადმი, საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკის საფუძველზე, ადამიანებს შეუმუშავდათ დამოკიდებულება, როგორც არსებობის საშუალებისადმი. —

მოთხოვნილებები არის ბუნებრივი და საზოგადოების მიერ შექმნილი. ცხოველებს ახასიათებთ მხოლოდ ბუნებრივი მოთხოვნილებანი, მაგალითად, კვების, წყურვილის, გამრავლების და ა. შ. ადამიანებს ბუნებრივი მოთხოვნილებების გარდა გააჩ-

ნიათ სოციალური ანუ საზოგადოების მიერ შექმნილი მოთხოვნილებები. როგორიცაა ადამიანებთან ურთიერთობის, მეგობრობის. მორალური, ესთეტიკური, ინტელექტუალური, კულტურული და სხვ. მოთხოვნილებანი, რომელთა გავლენით ბუნებრივი მოთხოვნილებებიც გარდაიქმნებიან და მათი დაკმაყოფილების წესიც სოციალური ხდება. ამიტომ არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს ადამიანის შრომითი მოქმედების ახსნა იმ მოთხოვნილებების საფუძველზე, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს მომავალში სოციალურად განსაზღვრული წესით. ეს პრობლემა არსებობს მხოლოდ იმათთვის, ვინც ნებსით თუ უნებლიეთ ადამიანთა მოთხოვნილებების ბიოლოგიზაციას ახდენს.

ადამიანის წინაპრები ბუნების მზა პროდუქტებით იკვებებოდნენ. მათ მოთხოვნილებასა და მოქმედებას შორის უშუალო კავშირი არსებობდა. მხოლოდ ადამიანმა შეძლო საკუთარი მოთხოვნილების გაშუალება წარმოებით, შრომის პროცესით. თავის მხრივ, მხოლოდ შრომამ შექმნა ადამიანი, მისი განსაცვიფრებელი უნარითა და სულიერი სიმღიდრით. ადამიანმა თავდაპირველად ხელი რომ მოჰკიდა პირველი იარაღის დამზადებას, ეს მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების პირველი გაშუალება იყო. მაგრამ არავითარ დავას არ იწვევს ის, რომ იარაღი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას წარმოადგენდა. მოთხოვნილების გარეშე ადამიანსა და საზოგადოებას არავითარი იარაღის, ტექნიკის შექმნა არ შეეძლო.

არსებობის, სიცოცხლის შენარჩუნების მოთხოვნილებამ მოაკიდებინა ჩვენს წინაპრებს ხელი პრიმიტიულ იარაღებზე, რომლებსაც ისინი, მსგავსად საკვებისა, პირველად მზა სახით პოულობდნენ ბუნებაში. მხოლოდ არსებობისა და ცხოვრების

პიროვნების გაუმჯობესების მოთხოვნილებამ გამოიწვია ინარ-
ღების განვითარება და შრომის მარტივი ფორმებიდან უფრო
ოთულ ფორმებზე გადასვლა.

წარმოების პროცესში ვითარდებოდნენ ადამიანები და ინ-
ალები, საწარმოო ძალები. ამავე დროს მიმდინარეობდა ადამ-
ანთა საზოგადოებრივი ურთიერთობების სრულყოფა და გან-
ვითარება. ამ ურთიერთობათა შორის გადამწყვეტ როლს წარ-
მოებითი ურთიერთობები ასრულებენ. სოციალური გარემოს.
საზოგადოებრივი ურთიერთობების ზეგავლენით ვითარდება
და ახალ სახეს ღებულობს ადამიანის არსებობის მოთხოვნი-
ლება. თავის მხრივ, საზოგადოების განვითარებასთან ერთად
ეუდმივ ცვლილებასა და განვითარებას განიცდის ადამიანურად
არსებობის მოთხოვნილების შინაარსი. ხდება მისი თანდათა-
ნობითი დიფერენციაცია. წარმოიშობა მანამდე არარსებული
ახალი საზოგადოებრივი ᲐᲮᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ, რომელთა გავლე-
ნით გარდაქმნა-განვითარებას განიცდიან თვით ბიოლოგიური
მოთხოვნილებებიც, იცვლება მათი დაკმაყოფილების წესი და
ფორმები.

საზოგადოების მიერ შექმნილ მოთხოვნილებათა შორის
ᲥᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲞᲔᲪᲘᲤᲘᲙᲣᲠᲘᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐ, რომელიც, თავის მხრივ, სხვა სოციალურ მოთხოვნი-
ლებათა წარმოშობისა და განვითარების საფუძველი ხდება.
ურთიერთობის მოთხოვნილებამ შექმნა ისეთი ფუნქციები,
როგორიცაა მეტყველება და აზროვნება, რომლებმაც მძლავ-
რად შეუწყვეს ხელი ადამიანთა სწრაფ განვითარებას.

ურთიერთობის მოთხოვნილება პიროვნების მოთხოვნილე-
ბათა გარკვეულ სისტემას მოიცავს; ურთიერთობაში ყალიბდე-

ბა და ვლინდება ადამიანის, როგორც სოციალური არსების, ირაციონალურ-ფეროვანი მოთხოვნილებანი.

კონკრეტულ მოთხოვნილებათა გარდა, ადამიანს აქვს ზოგადი, საერთო-ადამიანური მოთხოვნილება, რომელიც, როგორც მთლიანი სისტემა, ცალკეულ მოთხოვნილებებზე არ დაიყვანება.

ადამიანი ყოველ კონკრეტულ მოთხოვნილებაზე რეაგირებას ახდენს არა მხოლოდ როგორც ამ მოთხოვნილების სუბიექტი, არამედ როგორც გარკვეულ-ინდივიდ და მოთხოვნილებათა სოციალურად განსაზღვრული ფსიქო-ფიზიკური მთლიანობა, როგორც პიროვნება. ზოგადი მოთხოვნილება ყოველთვის აქტუალურია, იგი ადამიანის სიცოცხლის, მისი აქტიურობისა და მოღვაწეობის მთელ შინაარსს განსაზღვრავს. ზოგადი მოთხოვნილების საგანი რომელიმე კონკრეტული საგანი კი არ არის, არამედ ადამიანის, როგორც პიროვნების, არსებობაა, ადამიანის მთელი სიცოცხლეა მის დამოკიდებულებაში გარესამყაროსთან. იგი ადამიანურად არსებობის მოთხოვნილებაა, რომელიც ყოველთვის აქტუალურია.

ზოგადი მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ წარმოადგენს ერთჯერად აქტს. მას მთელი სიცოცხლის მანძილზე აქტუალურად განიცდის სუბიექტი. იგი ფონია კონკრეტული მოთხოვნილებებისათვის. მისი გააქტიურება და მოტივაციის პროცესში ჩართვა ყოველი კონკრეტული მოთხოვნილების შედეგად ხდება. კონკრეტული მოთხოვნილება აუცილებლობით იწვევს მის გააქტიურებას.

ადამიანს კ. მარქსი განიხილავს როგორც თავდაპირველად ბუნებრივ არსებას, რომელიც განვითარების შედეგად იქცევა ადამიანურ არსებად, ხოლო ადამიანური არსება საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაში მდგომარეობს. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს მის დამოკიდებულებას გარესამყაროსთან. როგორი სახეც არ უნდა მიიღოს ადამიანის დამოკიდებულებამ გარესამყაროსთან, როგორ განვითარებასაც არ უნდა ადგეს საზოგადოებამ, ადამიანს გარესამყაროსთან ყოველთვის ექნება დამოკიდებულება, როგორც მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებასთან. შეიცვლება მხოლოდ მოთხოვნილებების შინაარსი, რომელსაც თვით საზოგადოების განვითარება განსაზღვრავს.

3. აბსტრაქტული და კონკრეტული მოთხოვნილებები. მოთხოვნილებების შეზღუდვა თვით მოთხოვნილებებით

ადამიანის მოთხოვნილებები ცხოვრების მატერიალური პირობების შედეგად დიფერენციაციას განიცდიან მოთხოვნილების საგნისა და დაკმაყოფილების წესის მიხედვით. ერთი და იგივე მოთხოვნილება შეიძლება სხვადასხვა საგნითა და სხვადასხვა წესით დაკმაყოფილდეს. მაგალითად, კვების, ჩაცმის, გართობის, ადამიანებთან ურთიერთობის, კულტურული და სხვა მოთხოვნილებანი გააჩნდა პირველყოფილ ადამიანსაც და გააჩნია თანამედროვე ცივილიზებულ ადამიანსაც, მაგრამ მისი საგანი და დაკმაყოფილების წესი არსებითად განსხვავდება პირველისაგან.

ა რ ს ე ბ ო ბ ს ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი დ ა კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა. ადამიანის აბსტრაქტული მო-

თხოვნილების საგანს ქმნის შრომა საერთოდ, ხოლო კონკრეტული მოთხოვნილების საგანს — კონკრეტული შრომა. კონკრეტული მოთხოვნილება და მისი დაკმაყოფილების წესი მთლიანად განისაზღვრება წარმოების განვითარებისა და ცხოვრების კონკრეტული მატერიალური პირობებით.

ყოველ მოთხოვნილებას გააჩნია თავისი საგანი, დაკმაყოფილების მოქმედება, დაკმაყოფილების საშუალებები და დაკმაყოფილების წესი.

ერთი და იგივე მოთხოვნილება შეიძლება დაკმაყოფილდეს ჭრავალი საგნითა და მოქმედებით, ძაგრამ თუ რომელს აირჩევს ინდივიდი მათ შორის, ეს დამოკიდებულია ინდივიდისა და საზოგადოების განვითარებაზე, თვით კონკრეტული ინდივიდის ცხოვრების პირობებზე.

ჯანსაღი და გონივრული მოთხოვნილებანი ყოველთვის სოციალურად გამართლებული გზებით კმაყოფილდება. ადამიანს უმეტესად ისეთი მოთხოვნილებები გააჩნია, რომელთა დაკმაყოფილება შეიძლება როგორც საზოგადოებრივად გამართლებული საშუალებებით, ასევე მორალურად და იურიდიულად აკრძალული გზით. თუ რომელ გზას, საშუალებას აირჩევს ადამიანი მათ შორის, ეს დამოკიდებულია გარემოებაზე და მის მოთხოვნილებათა საერთო სისტემაზე. როდესაც ადამიანი აკრძალული გზით და საშუალებებით მიმართავს თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, იგი ისჯება და საზოგადოება იძულებით ახდენს მისი მოთხოვნილებების რეგულირებას. რაც უფრო განვითარებულია ადამიანი, აგრეთვე საზოგადოება, რომელშიც იგი ცხოვრობს, მით უფრო უკეთ ხდება მისი მოთხოვნილებების რეგულირება თვით მისივე მოთხოვნილებების მიერ და არა იძულებით.

კლასობრივ საზოგადოებაში, სადაც ადამიანთა ერთი ნაწილი მეორის ექსპლუატაციით ცხოვრობს, მშრომელთა მოთხოვნილებების რეგულირება ძირითადად იძულების გზით ხდება. კერძო საკუთრების მოსპობა თავისუფლებს ადამიანის მოთხოვნილებებსა და გრძნობებს იძულებისაგან და იქმნება პირობები ჯანსაღი და გონივრული მოთხოვნილებების ფორმირებისა და მათი დაკმაყოფილების რეგულირებისათვის თანასწორობის საფუძველზე. მხოლოდ რეალური თანასწორობა ქმნის მოთხოვნილებების არადანაშაულებრივი გზით დაკმაყოფილების პირობებს.

სოციალიზმის დროს პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების რეგულაციას ძირითადად საზოგადოებრივი მოთხოვნილებები ახდენენ, მაგრამ ადამიანთა ერთ ნაწილში ჯერ კიდევ ძალას ინარჩუნებს მოთხოვნილებების იძულებითი რეგულაცია. თუმცა, კლასობრივი საზოგადოებისაგან განსხვავებით, ეს ხდება არა რომელიმე კლასის სასარგებლოდ, არამედ მთელი საზოგადოების ინტერესებისათვის. კომუნისტური საზოგადოების ძირითად ამოცანას კ. მარქსი და ფ. ენგელსი ხედავდნენ წარმოებისა და ურთიერთობის ისეთ ორგანიზაციაში, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ადამიანთა ყველა მოთხოვნილების ნორმალურ დაკმაყოფილებას. ე. ი. ისეთ დაკმაყოფილებას, როცა მოთხოვნილებები მხოლოდ თვით მოთხოვნილებებით იქნებიან შეზღუდულნი[1] და არა ისეთი გარეგანი ფაქტორებით. როგორიცაა იძულება და მოვალეობა.

---

[1] იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 3, გვ. 246.

4. იძულება, მოვალეობა და მოთხოვნილება

ისტორიულად ადამიანი მოქმედებდა სამი მთავარი ფაქტორის — იძულების, მოვალეობისა და მოთხოვნილების საფუძველზე. ამ ფაქტორების მუდმივ და საყოველთაო საფუძველს საბოლოოდ მოთხოვნილება წარმოადგენს. საზოგადოებრივი განვითარების შედეგად იცვლებოდა მხოლოდ მოთხოვნილებების შინაარსი და მათი დაკმაყოფილების საშუალებანი. მაგალითად, მონის მოთხოვნილება არ სცილდებოდა სიცოცხლის შენარჩუნების მოთხოვნილებას, რომლის დაკმაყოფილების მიზნით ის იძულებული იყო ემუშავნა მონათმფლობელისათვის, შეექმნა მისთვის ზედმეტი პროდუქტი. წინააღმდეგ შემთხვევაში მონათმფლობელისათვის აზრი არა ჰქონდა მონისათვის სიცოცხლის შენარჩუნებას.

მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ მონების საზოგადოებრივი საქმიანობა — შრომა მონათმფლობელის სასარგებლოდ — იძულების შედეგი იყო, ამ მოქმედების საფუძველს მაინც მოთხოვნილება წარმოადგენდა. მ ა გ რ ა მ მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა ა რ ა მ ო ნ უ რ შ რ ო მ ა ზ ე, ა რ ა მ ე დ მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა ა რ ს ე ბ ო ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ზ ე. შრომა მონობის პირობებში სიცოცხლის შენარჩუნების საშუალებაა.

უნდა განვასხვაოთ ადამიანის ორი სახის მოქმედება: პირველი, რომელიც მიმართულია უშუალოდ მოხმარების საგანზე ან თვით არის მოთხოვნილება; მეორე მიმართულია მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებებზე, რომელთა შედეგადაც მოთხოვნილება არაპირდაპირ კმაყოფილდება. უშუალოდ მოხმარების საგანზე მიმართული მოქმედება მარტივი მოქმედებაა.

ამ შემთხვევაში ადვილი დასადგენია კავშირი მოთხოვნილებასა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოქმედებას შორის, მოქმედების მოთხოვნილებით განპირობებულობა. მაგრამ შრომის დანაწილებისა და წარმოების განვითარების შედეგად შრომის პროცესი, ადამიანთა საზოგადოებრივი საქმიანობა, ისეთ რთულ სახეს ღებულობს, რომ იგი უფრო ხშირად მიმართულია არა უშუალოდ მოხმარების საგანზე, არამედ მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებებზე. ამ შემთხვევაში მოქმედება განიცდება როგორც აუცილებლობა. ისე როგორც, მაგალითად. „შრომის პროცესი... არის მიზანშეწონილი მოქმედება სახმარ ღირებულებათა შესაქმნელად, მითვისება ბუნების მონაცემისა ადამიანის მოთხოვნილებათათვის. საყოველთაო პირობა ნივთიერებათა ცვლისა ადამიანსა და ბუნებას შორის, მარადიული ბუნებრივი პირობა ადამიანთა ცხოვრებისა და მაშასადამე.. საერთოა მისი ყველა საზოგადოებრივი ფორმისათვის"[1].

ამრიგად, შრომა, რომლის შედეგი უშუალოდ არ აკმაყოფილებს მშრომელის მოთხოვნილებას, ბუნებრივი აუცილებლობაა ადამიანთა არსებობისათვის.

მაგალითად, მუშას, რომელიც მძიმე ფიზიკურ სამუშაოს ასრულებს, შეიძლება ამ სამუშაოს მიმართ უშუალო მოთხოვნილება არ ჰქონდეს და შრომის პროცესიც არავითარ სიამოვნებას არ გვრიდეს, მაგრამ მაინც შრომობს, რადგან შეგნებული აქვს მისი ობიექტური აუცილებლობა საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

აუცილებლობის შეგნების საფუძველზე წარმართული მოქმედება ავითარებს ინდივიდის ფიზიკურ და სულიერ ძალებს

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 235—236.

და განსაზღვრულ სუბიექტურ და ობიექტურ გარემოში თვით იქცევა მოთხოვნილებად (მაგალითად, შრომა კომუნისტურ საზოგადოებაში).

ადამიანის მოქმედება ობიექტური აუცილებლობითაა განსაზღვრული. მაგრამ ეს აუცილებლობა ყოველთვის არ არის გაცნობიერებული და ყოველთვის არ წარმოადგენს მოქმედების მოტივის უშუალო განმსაზღვრელს, აუცილებელი მოქმედება უფრო ხშირად არის არა მოთხოვნილების საგანი, არამედ მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება.

კომუნისტური აღზრდის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა, როგორც ობიექტური აუცილებლობა, მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებიდან ადამიანის მოქმედების უშუალო მოტივად, წინაგან მოთხოვნილებად გადავაქციოთ. ამის პირობაა აუცილებლობის შეგნება და მისი გადაქცევა პირველად მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებად, ხოლო შემდგომ — უშუალო მოთხოვნილებად. აუცილებელი მოქმედებების მოტივების ფორმირებასა და აღზრდაში წარმატებების მიღწევა შხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, როდესაც მოქმედების ობიექტური აუცილებლობა ამასთანავე სუბიექტურ აუცილებლობად გადაიქცევა.

საზოგადოების განვითარების პროცესში თანდათანობით იცვლებოდა შრომის სოციალური შინაარსი. მაგალითად, მონის იძულება შრომისადმი მონათმფლობელობის დროს განსხვავდებოდა ყმის იძულებისაგან ფეოდალიზმის პირობებში. კაპიტალისტურ საზოგადოებაში მუშა იურიდიულად თავისუფალი ხდება. მას, განსხვავებით მონისა და ყმისაგან, არ ეკისრება

ფურიდიული პასუხისმგებლობა იმისათვის, მიჰყიდის თუ არა თავის სამუშაო ძალას კაპიტალისტს. მიუხედავად ამისა, მუშა მაინც იძულებულია თავისი სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით კაპიტალისტის სასარგებლოდ იმუშაოს. ამგვარად, კაპიტალიზმის დროს შრომისადმი ეკონომიური იძულება ფორმას იცვლის. ფაქტიურად შრომა აქაც იძულებით ხასიათს ატარებს.

ისტორიულად იძულების გვერდით ვხვდებით მოვალეობის საფუძველზე განხორციელებულ სხვადასხვა სახის მოქმედებასაც. ამ კატეგორიის მოქმედების წარმოშობა ემყარება ვარაუდული ჯგუფის, კოლექტივის, კლასის ან საზოგადოების საერთო მოთხოვნილებებსა და ინტერესებს, რომლებიც თითოეულ ინდივიდს წარედგინება როგორც აუცილებლობა, როგორც ქცევის სავალდებულო ნორმები.

მოვალეობა განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ როგორ შინაარსს დებს მასში ესა თუ ის ჯგუფი, კოლექტივი, კლასი ან საზოგადოება. ყოველ საზოგადოებას, კლასს, ყოველ პროფესიას თავისი საკუთარი მორალური ნორმები გააჩნია, რომელთა შინაარსს სპეციფიკური და საერთო ნიშნები აქვს. მოვალეობას ასევე გააჩნია ამა თუ იმ სოციალური ურთიერთობის ამსახველი სპეციფიკური ნიშნები და ამასთან ერთად საერთო-საკაცობრიო ნიშნებიც. ინდივიდისათვის წაყენებული მოთხოვნების ხასიათი განისაზღვრება იმ საზოგადოებრივი ურთიერთობებით, რომლებშიც ინდივიდს უხდება ცხოვრება. ზოგადად, ძონათმფლობელური საზოგადოების მოთხოვნები სხვაგვარია, ვიდრე ფეოდალურის, სოციალისტური საზოგადოება კი თავის ნევრებს უყენებს ყველა წინა ფორმაციისაგან არსებითად განსხვავებულ მოთხოვნებს. საზოგადოების მიერ წაყენებული მოთხოვნებისა და ცხოვრების რეალური პროცესის ზემოქმე-

დების შედეგად ყალიბდება ინდივიდის მთელი სულიერი სამ-
ყარო, მისი მორალური სახე.

ხაზს უსვამს რა საზოგადოების მიერ ინდივიდების მიმართ
წაყენებული მოთხოვნების დიდ მნიშვნელობას, რაც ამ უკა-
ნასკნელთა მიერ განიცდება როგორც მოვალეობა, ზოგიერთი
მკვლევარი უკიდურესობაში ვარდება და მოვალეობას დამოუ-
კიდებელი მოტივის მნიშვნელობას ანიჭებს. ეს რომ მართლაც
ასე იყოს, მაშინ საზოგადოების ერთი და იგივე მოთხოვნა ყვე-
ლა ინდივიდში ან ერთსა და იმავე ინდივიდში სხვადასხვა
დროს ერთსა და იმავე მოქმედებას უნდა იწვევდეს. მაგრამ,
როგორც ცნობილია, ეს ასე არ ხდება,

საზოგადოების მიერ ინდივიდის მიმართ წაყენებული მოთ-
ხოვნები და მათი გაცნობიერება ინდივიდის მიერ გავლენას
ახდენს მოქმედების მოტივის ფორმირებაზე. ეს მოთხოვნები
ასრულებენ მოქმედების აღძვრისათვის მნიშვნელოვან, მაგრამ
არა გადამწყვეტ როლს. ადამიანი მოვალეობის თა-
ნახმად მოქმედებს მაშინ, როდესაც მას
შეიცნობს როგორც აუცილებლობას, რო-
გორც მოთხოვნილების დაკმაყოფილების
საშუალებას, ან როგორც თვითმოთხოვნი-
ლებას. რა თქმა უნდა, ჩვენ სრულებით არ უარვყოფთ მო-
ვალეობის დიდ მნიშვნელობას ადამიანის მოქმედების მოტივის
ფორმირებაში, მაგრამ იგი არ წარმოადგენს ადამიანის ქცევის
დამოუკიდებელ ფაქტორს, არც მის მოტივს. მოვალეობა მოთ-
ხოვნილებათა მთელ შინაგან სისტემასთან ერთად მონაწი-
ლეობს მოქმედების მოტივის გამომუშავებასა და გადაწყვეტი-
ლების მიღებაში. მაგრამ მისი ძალა, მისი როლი, განისაზღვრე-

ბა არა მოვალეობის ცოდნით, არამედ იმით, თუ როგორ ადგილს დაიჭერს იგი კონკრეტულ პირობებში ინდივიდის მოთხოვნილებათა შინაგან სისტემაში.

ჩვენ მიზნად არ ვისახავთ მოვალეობის, როგორც ეთიკის კატეგორიის განხილვას. მას ვეხებით მხოლოდ მოთხოვნილებასთან კავშირში და აღვნიშნავთ, რომ მოვალეობას წარმოშობს ინდივიდის მიმართ გარედან წაყენებული მოთხოვნა, რომელიც ინდივიდის მიერ სრულდება საკუთარი მოთხოვნილების საფუძველზე, როგორც სხვა რაიმე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალება.

იძულებისას ადამიანი მოკლებულია თავისუფლებას. მოვალეობის, როგორც ასეთის, შესრულებისას ის შედარებით თავისუფალია, ხოლო როდესაც მოვალეობა, როგორც ობიექტური აუცილებლობა, მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებიდან თვით გადაიქცევა მოთხოვნილებად. მაშინ ადგილი აქვს თავისუფლებას, რომლის სრულყოფილად მიღწევა მხოლოდ კომუნისტურ საზოგადოებაშია შესაძლებელი.

ამრიგად, ადამიანი თავისუფალია მაშინ, როდესაც აკეთებს იმას, რაც სურს, მაგრამ სურს ის, რაც ობიექტურად აუცილებელია.

ადამიანის მოქმედების ახსნის დროს იდეალიზმი თავს იჩენს იმაში, რომ იდეებს, მის სხვადასხვა ფორმებს მოთხოვნილებებისაგან დამოუკიდებლად ადამიანთა მამოძრავებელი ძალის როლს მიაწერენ. ფოიერბახი, მაგალითად, ფილოსოფიის ძირითად საკითხს მატერიალისტურად წყვეტდა, მაგრამ ისტორიის გაგების საკითხში იდეალისტად დარჩა, რადგან ისტორიის მამოძრავებელ ძალად ცნობიერების ფორმებს — რელიგიასა და მორალს აცხადებდა. მატერიალისტური ხაზის თანამიმდევ-

რული გატარება ეთიკაში, პედაგოგიკაში, ფსიქოლოგიასა თუ სოციოლოგიაში ნიშნავს იმას, რომ ადამიანების მოქმედება ავხსნათ მათი პრაქტიკული მოთხოვნილებებიდან და არა აზროვნებიდან, ცნობიერებიდან, ხოლო ამ მოთხოვნილებების შინაარსი გამოვიყვანოთ ცხოვრების მატერიალური პირობებიდან, გარემოდან, რომელსაც, თავის ვხრივ, ადამიანი გარდაქმნის პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში. კ. მარქსს სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში, როდესაც წერდა: „საზოგადოებრივი ცხოვრება არსებითად პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ა. ყველა მისტერია. რომელსაც თეორია მისტიციზმისაკენ მიჰყავს, თავის რაციონალურ ახსნას პოულობს ადამიანის პრაქტიკასა და ამ პრაქტიკის გაგებაში“[1].

ჩვენი შეხედულებით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი იმ ნაკლოვანებებისა, რომლებიც აღზრდის საქმეში გვსვდება, იმაში მდგომარეობს, რომ პედაგოგიურ და პოლიტიკურ ლიტერატურაში გავრცელება პოვა არასწორმა შეხედულებამ ადამიანის მოქმედების განმსაზღვრელი ცალკეული ფაქტორების შესახებ.

სოციალისტურ საზოგადოებაში დარწმუნების მეთოდი აღზრდის ძირითადი მეთოდია. ეს დებულება მიღებულია ჩვენს ლიტერატურაში, მაგრამ ზოგიერთი პედაგოგი, ფსიქოლოგი, ეთიკის სპეციალისტი ზოგჯერ ამარტივებს ამ მეთოდს და შემოფარგლავს მას წმინდა საგანმანათლებლო ამოცანებით. კომუნისტური ზნეობის ნორმებს: მოვალეობას, სინდისს, პატიოსნებას, სამართლიანობას, აგრეთვე ინტერესებს, სურვილებს, მისწრაფებებს და ა. შ. ფაქტიურად განიხილავენ რო-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1950, გვ. 436.

ეორც მოქმედების დაშოუკიდებელ მოტივებს. გამოდის, რომ აღზრდისათვის საკმარისია გაანათლო ადამიანი, მისცე მას ქცევის ნორმების ცოდნა, გაარკვიო ზნეობრივი ნორმების ობიექტურ ღირებულებაში. სინამდვილეში კი პრაქტიკა შემდეგს გვიჩვენებს: ადამიანებმა კარგადაც რომ გაიგონ და მტკიცედაც რომ აითვისონ ზნეობრივი იდეები, მათი მოქმედება განისაზღვრება არა „იდეალური მამოძრავებელი ძალებით", არამედ ამ „იდეალური მამოძრავებელი ძალების" მამოძრავებელი ძალებით , ე. ი. პრაქტიკული მოთხოვნილებებით. ხშირად ივიწყებენ მარქსიზმის ფუძემდებლების მითითებას იმის შესახებ, რომ ადამიანი გარესამყაროსთან პირველ რიგში იმყოფება არა თეორიულ, არამედ პრაქტიკულ ურთიერთობაში, როგორც თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებასთან, რომ ადამიანი თავის მოღვაწეობაში არაფერს არ აკეთებს მოთხოვნილების გარეშე.

რაც შეეხება შეგნებულობასა და დარწმუნებულობას, ისინი უპირველეს ყოვლისა წარმოადგენენ მოთხოვნილებების შინაგანი სისტემის ფორმირებისა და აღზრდის შედეგს, და გამოხატავენ რა სუბიექტის დაშოკიდებულებას გარემოსადმი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დიდ როლს ასრულებენ მოქმედების მოტივის ფორმირებაში.

ის კანონზომიერება, რომ შედეგს შეუძლია უკუზემოქმედება მოახდინოს მის წარმომშობ მიზეზზე და გარკვეულ პირობებში შეცვალოს კიდეც იგი, მთელი თავისი მნიშვნელობით თავს იჩენს შეგნებულობისა და დარწმუნებულობის მიმართ. ამ მოვლენების მნიშვნელობა ადამიანთა აღზრდის საქმეში სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი წარმოადგენენ მოთხოვნილებათა შინაგან სისტემაზე უკუზემოქმედების მძლავრ სა-

შუალებებს. მაგრამ ვიცეორებთ, ცვლილებებს ცნობიერებაში ჯერ უსწრებს ცვლილებები მოთხოვნილებათა შინაგან სისტემაში. მარქსიზმის ფუძემდებლებმა გვიჩვენეს, რომ მოთხოვნილებების გარეშე ცნობიერების არავითარი ფორმა, არავითარი იდეები და თეორიები ადამიანის მოქმედებას არ იწვევენ. თეორიები აძოძრავებს ხალხს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი მათი მოთხოვნილებების განხორციელებაა[1].

მარქსიზმის ფუძემდებლები „დარწმუნებულობისა" და „შეგნებულობის" ცნებებში გულისხმობენ გარკვეული მოქმედების შინაარსის გადაქცევას პრაქტიკულ მოთხოვნილებად.

შეგნებული ან შინაგანი რწმენით გამოწვეული მოქმედების ფაქტიურ სტიმულს წარმოადგენს არა თავისთავად ცნობიერება ან რწმენა, როგორც ცნობიერების მდგომარეობა, არამედ მოთხოვნილებათა შინაგანი სისტემა, რომელიც ასახული და განმტკიცებულია ცნობიერებაში როგორც რწმენა, როგორც

დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა.

შეგნებულობას და რწმენას, როგორც დამოკიდებულებას, ხშირად აიგივებენ ცნობიერების ფორმებთან, რასაც ადამიანთა აღზრდის თეორიასა და პრაქტიკაში სერიოზულ შეცდომებამდე მივყავართ. ასეთი გაიგივების შედეგად პედაგოგიკასა და ეთიკაში ზნეობრივი ცნობიერების კატეგორიები მიჩნეულია ადამიანთა მოქმედების საბოლოო მოტივებად, მისი მოქმედების რეგულატორებად მოთხოვნილებათა შინაგანი სისტემისაგან დამოუკიდებლად, რაც, ჩვენი აზრით, მოქმედების მოტივის არასწორი გაგებიდან გამომდინარეობს.

ნაცვლად იმისა, რომ მოქმედების ახსნისას შეისწავლონ

---

[1] იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. I, გვ. 423.

ადამიანის არსების ძალები, მისი უნარები და მოთხოვნილებები, ხშირად კვლევის საგანი ხდება მათი ცალკეული გამოვლინებანი ცნობიერების ფორმების სახით. შემდგომ ამ კერძო შემთხვევებს მიიჩნევენ არსებად და ამის იქით აღარ მიდიან. ხშირად ივიწყებენ მარქსამდელი მატერიალისტების ენგელსისეულ კრიტიკას. ფ. ენგელსი მათ იმის გამო აკრიტიკებდა, რომ ისინი ცნობდნენ „იდეალურ მამოძრავებელ ძალებს", მაგრამ საკითხსაც არ აყენებდნენ „იდეალური მამოძრავებელი ძალების" მამოძრავებელი ძალების შესახებ.

ყოფიერება პირველადია, ცნობიერება — მეორადი, ადამიანთა ცნობიერებას განსაზღვრავს ცხოვრების რეალური პროცესები, საზოგადოების ეკონომიური პირობები. მაგრამ ეს ძირითადი დებულება ხშირად ისეა გაგებული, თითქოს ყოფიერება, ეკონომიური პირობები უშუალოდ და ავტომატურად განსაზღვრავდეს ადამიანის ცნობიერებასა და მოქმედებას. ამასთანავე ივიწყებენ იმას, რომ დამაკავშირებელი რგოლი ყოფიერებასა და ცნობიერებას შორის არის მოთხოვნილება — ყოველგვარი ადამიანური მოქმედების შინაგანი აღმძვრელი და მამოძრავებელი.

როგორც ცნობილია, ეთიკა იდეალიზმის ყველაზე საიმედო თავშესაფარია, რადგან აქ ადამიანის მოქმედებისა და ქცევის სორვების უახლოეს საფუძვლად უშუალოდ ცნობიერება გამოდის, მაშინ როდესაც უფრო ღრმა და მისი განმსაზღვრელი საფუძველი — მოთხოვნილებები მხედველობის გარეშე რჩება. ამიტომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მოქმედებისა და ქცევის საბოლოო მიზეზებს იდეალური მოტივები წარმოადგენენ.

ეთიკისა და პედაგოგიკის ზოგიერთი სპეციალისტი დიდ ყურადღებას უთმობს მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლების

დებულებებს ცნობიერების, თეორიისა და საერთოდ იდეური მოტივაციის როლის შესახებ ცალკეული ინდივიდებისა და მასების მოქმედებაში, მაგრამ ამავე დროს ივიწყებს, რომ თვით იდეური მოტივების მატერიალური საფუძველი მოთხოვნილებებშია, რომელთა წარმოშობა და შინაარსი საბოლოოდ განისაზღვრება საზოგადოებრივი ურთიერთობებით, პირველ რიგში ცხოვრების მატერიალური პირობებით, საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების განვითარების დონით.

5. უნარი და მოთხოვნილება

უნარი და მოთხოვნილება მეცნიერული კომუნიზმის ძირითადი ცნებებია, რადგან კომუნიზმის არსი უნარისა და მოთხოვნილების ურთიერთდამოკიდებულებაში გამოიხატება. მიუხედავად ამისა, თვით უნარისა და მოთხოვნილების არსი, ურთიერთდამოკიდებულება და განპირობებულობა ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის შესწავლილი.

უნარისა და მოთხოვნილების კატეგორიებს უმეტესად ფსიქოლოგები ეხებიან და მათ ძირითადად განიხილავენ ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად, როგორც ინდივიდის ფსიქიკურ თვისებებს. მართალია, ამ საკითხებს მეტ-ნაკლებად იკვლევენ ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, პედაგოგიკის, ეთიკის, სოციოლოგიის, ისტორიისა და ბუნებათმეცნიერების სპეციალისტებიც, მაგრამ ისინიც მათ უმეტესად ერთიანობისა და ურთიერთზემოქმედების გარეშე განიხილავენ.

უ ნ ა რ ი დ ა მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ებ ა მ ხ ო ლ ო დ ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ ი მ ე ც ნ ი ე რ ებ ი ს კ ვ ლ ე ვ ი ს ო ბ ი ე ქ ტ ი ა რ ა რ ი ს. როგორც კ. მარქსი გვასწავლის, კაცობრიობის ნამდ-

ვილი ისტორია ყველაზე თვალსაჩინოდ და ხელშესახებად მის გასაგნობრივებულ უნარებშია მოცემული შრომის იარაღებისა და საგნების სახით, რომელთაც იგი აწარმოებს და მოიხმარს. ხოლო მოთხოვნილების როგორც წარმოშობა, ისე დაკმაყოფილება, რის გარეშეც არ არსებობს წარმოება და უნარების გასაგნობრივება, თვით არის ისტორიული პროცესი[1]...

უნარისა და მოთხოვნილების პრობლემა საბოლოოდ ინდივიდის განვითარების პრობლემაა. იგი ამასთანავე საზოგადოებრივი განვითარების პრობლემაცაა, რადგან „ადამიანთა საზოგადოებრივი ისტორია ყოველთვის მხოლოდ მათი ინდივიდუალური განვითარების ისტორიაა"[2]...

უნარი და მოთხოვნილება დიალექტიკურ ერთიანობაშია, უნარი არ არსებობს მოთხოვნილების გარეშე, მოთხოვნილება — უნარის გარეშე. ისევე როგორც არ არსებობს არსება მოვლენის გარეშე, მოვლენა არსების გარეშე.

უნარისა და მოთხოვნილების ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთზემოქმედების კანონზომიერებათა გარკვევას უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება განსაკუთრებით ამჟამად, როდესაც ჩვენი ხალხი წარმატებით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას, რომლის დროშასაც აწერია პრინციპი: „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — მოთხოვნილების მიხედვით". ეს კი გულისხმობს ადამიანთა უნარებისა და მოთხოვნილებების ყოველმხრივ სრულყოფასა და განვითარებას.

მარქსიზმის ფუძემდებლებს უნარისა და მოთხოვნილების

---

[1] იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ფოიერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა, გვ. 112.

[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 535.

ურთიერთდამოკიდებულების შესახებ გამოთქმული აქვთ მრავალი მოსაზრება. მათზე დაყრდნობით შეიძლება გამოვკვეთოთ პრობლემის შემდეგი ძირითადი ასპექტები:

1. ყოველი უნარი ვლინდება და ვითარდება გარემოს შესატყვის საგნებთან და მოვლენებთან ურთიერთობაში; 2. უნარი პირველ რიგში მოთხოვნილების სახით ვლინდება, ხოლო „უმოთხოვნილებოდ არ არის წარმოება". თავის მხრივ, წარმოება ქმნის მოხმარების უნარს მოთხოვნილების სახით. „წარმოება აწარმოებს არა მარტო საგანს სუბიექტისათვის, არამედ—სუბიექტსაც საგნისათვის" (კ. მარქსი), წარმოშობს მოხმარების უნარს და მოთხოვნილებას; 3. მოხმარებას „წარმოებლური უნარი განმეორების მოთხოვნილების მეოხებით დახელოვნების დონემდე აპყავს" (კ. მარქსი); 4. ყოველი „წარმოება მოხმარებაა", ხოლო „მოხმარება წარმოებაა". უნარის მოხმარება მისი წარმოება და განვითარებაა; 5. უნარისა და მოთხოვნილების ერთობლიობა, როგორც ადამიანის არსების ძალები, წარმოადგენს ინდივიდს; 6. მოქმედება ადამიანის არსების ძალების, უნართა გამოვლინება და დადასტურებაა; 7. უნარი და მოთხოვნილება, როგორც სუბიექტის აქტიურობის საფუძველი, რომელთა გარეშეც არ არსებობს წარმოება, ინდივიდისა და საზოგადოების განვითარების საფუძველია; 8. ადამიანის უნარისა და მოთხოვნილებების განვითარება საზოგადოებრივ-ისტორიული პროცესია.

აღნიშნული ძირითადი დებულებები უნარისა და მოთხოვნილების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემის მეცნიერული გადაწყვეტის საფუძველს გვაძლევს.

საზოგადოებრივი წარმოება მის მიერ შექმნილი საგნობრივი სინამდვილით განსაზღვრავს მოხმარების უნარს მოთხოვნი-

ლების სახით და თვით წარმოების უნარს. ეს დებულება ეხება როგორც ადამიანის საკუთარი უნარის მოხმარებასა და კვლავ-წარმოებას, ისე მოთხოვნილების საგნის წარმოებისა და მოხმარების უნარს. წარმოების მოთხოვნილების აღზრდა ამავე დროს მოხმარების უნარისა და მოთხოვნილების აღზრდაც არის, რაც, თავის მხრივ, ვითარდება და სულ უფრო სრულყოფილი ხდება დაკმაყოფილების შედეგად.

გარკვეული უნარი და მოთხოვნილებანი ადამიანებს დაბადებიდანვე მემკვიდრეობით ეძლევათ. მაგრამ ადამიანი, როგორც პიროვნება, ყველა უნარს როდი იღებს მემკვიდრეობით. ინდივიდს მემკვიდრეობით გადმოეცემა მხოლოდ უნარი ახალი უნარის ფორმირებისათვის, ეს უკანასკნელი კი აღზრდაზეა დამოკიდებული. მემკვიდრეობითი უნარის გამოვლინებასა და ახალი უნარის წარმოშობაში გადამწყვეტ როლს ასრულებს სოციალური გარემო და ადამიანის საზოგადოებრივი საქმიანობა.

პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს შ ი ნ ა ა რ ს ს გ ა მ ო ხ ა ტ ა ვ ს მ ი ს ი უ ნ ა რ ე ბ ი ს ა დ ა მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ე ბ ი ს ე რ თ ო ბ ლ ი ო ბ ა. მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა უ ნ ა რ ი ს გ ა მ ო ვ ლ ი ნ ე ბ ი ს ფ ო რ მ ა ა. ს ო ლ ო მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ა მ უ ნ ა რ ი ს გ ა ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ ე ბ ა დ ა დ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ ა ა.

ყოველი ადამიანის არსებობის ძირითადი ფორმაა საკუთარი უნარების, თვისებების დადასტურება მის გარეთ არსებულ საგნობრივ სინამდვილეში. ის, რაც თავის თავს არ დადასტურებს, არც არსებობს. ყოველივე არსებული თავის თავს, თავის უნარს მრავალმხრივ დადასტურებს. ბუნებისა და საზოგადოების ყოველ საგანს, მათ ყოველ უნარს თავისი არსებობის დადასტურების შესატყვისი ფორმა და საგანი აქვს. მაგალი-

ლად. მცენარე თავის თავს ადასტურებს მიწაში, წყალში, ჰაერში, ზეზეში და ა. შ. ეს უკანასკნელნი მისი დადასტურების საგნებს წარმოადგენენ. „მზე, — წერს კ. მარქსი, — მცენარის საგანია, მისთვის აუცილებელი, მისი სიცოცხლის დამადასტურებელი საგანი, მსგავსად იმისა, როგორც მცენარე არის მზის საგანი, მზის მაცოცხლებელი ძალის, მისი საგნობრივი არსების ძალის აღმოჩენის სახით"[1].

ადამიანის მიერ თავისი უნარის გამოვლენის სპეციფიკური ფორმაა საზოგადოებრივი საქმიანობა, შრომა. ინდივიდის ყოველი მოქმედება, — როგორც კ. მარქსი გვასწავლის, — საზოგადოებრივი მოქმედებაა. ადამიანი ასაგნობრივებს თავის უნარს და საზოგადოებრივად განსაზღვრული გარკვეული წესით მოიხმარს საზოგადოების მიერ სხვა ფორმით გასაგნობრივებულ უნარს. ეს პროცესი შრომის დანაწილების შედეგად სასაქონლო წარმოების პირობებში ადამიანთა შორის მოქმედებისა და უნარის გაცვლის ფორმას იღებს, რაც კომუნიზმის წინა ფორმაციებსა და თვით კომუნიზმის პირველ ფაზაში უპირატესად მატერიალურ საარსებო საშუალებას წარმოადგენს. კომუნიზმის დროს ინდივიდთა საზოგადოებრივი მოქმედება დაკარგავს პირად მატერიალურ დაინტერესებას, როგორც მისი საარსებო საშუალება, და ადამიანის სრულყოფილი არსებობის, მისი არსების ძალების, უნარების სრული გამოვლინება იქნება. საზოგადოებრივ საქმიანობას, შრომას ადამიანი შეიგრძნობს როგორც საკუთარი უნარის ფუნქციონირებისა და გამოვლინების შინაგან აუცილებლობას, როგორც მოთხოვნილებას.

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Из ранних произведений, გვ. 631.

უნარის გარეშე არ არსებობს მოთხოვნილება. მოთხოვნილება კი, თავის მხრივ, წარმოშობს მოქმედების სტიმულსა და ენერგიას უნარის სახით. ადამიანის განვითარების საფუძველია მოთხოვნილებისა და უნარის ურთიერთზემოქმედება. ყოველი ობიექტური ფაქტორი, რომელიც ადამიანის მოქმედებასა და განვითარებას განაპირობებს, ამ მექანიზმის პრიზმაში უნდა გაიატაროს. ადამიანის განვითარების სხვა გზა არ არსებობს.

უნარი და მოთხოვნილება დიალექტიკურ ერთიანობაშია, დიალექტიკურ დაპირისპირებას წარმოადგენს და ერთიმეორეს განაპირობებს. ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ უნართა და მოთხოვნილებათა მიხედვით. ამ უკანასკნელია ერთიანობა ქმნის ინდივიდს.

მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილება ადამიანის მიზნად და ამოცანად იქცევა, მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა უკვე არსებობს მისი დაკმაყოფილების საჭირო პირობები სუბიექტური უნარისა და გარემოების სახით. ეს ეხება როგორც ინდივიდის, ისე საზოგადოების მოთხოვნილებას. ამ ამოცანის დასახვასა და თვით მოთხოვნილების წარმოშობაში გადამწყვეტი როლი საერთოდ ცხოვრების მატერიალურ პირობებს, გარემოს ეკუთვნის.

უნარი წარმოშობს მოხმარების მოთხოვნილებასა და მოქმედების მოთხოვნილებას. მოხმარების მოთხოვნილება თვით წარმოადგენს უნარს, მაგრამ მოხმარების მოთხოვნილება თავისთავად მოქმედების მოთხოვნილების გარეშე პასიური უნარია და არ იწვევს ადამიანის განვითარებას. ინდივიდებს მრავალი მოთხოვნილება აქვთ, მაგრამ ზოგიერთი მათგანის დაკმაყოფილებისათვის ისინი არ მიმართავენ აქტიურობის არავითარ ფორმას. ასეთი მოთხოვნილებები მთელი მათი სიცოცხ-

ლის ან გარკვეული პერიოდის მანძილზე არ იქცევიან მათი მოქმედების მიზნად და ამოცანად. ეს იმიტომ, რომ მათ არ გააჩნიათ ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პირობები როგორც საკუთარი უნარის, ისე შესატყვისი ობიექტური გარემოს სახით. ასეთ მოთხოვნილებებს კ. მარქსი არარეალურ მოთხოვნილებებს უწოდებს.

სოციალისტურ საზოგადოებაშიც ზოგიერთ ადამიანს ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით აქვს არარეალური, არაგონივრული მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილებასაც ისინი არასაკუთარი შრომითა და უნარით მოპოვებული საშუალებებით ცდილობენ. სწორედ ასეთი მოთხოვნილებები ხდება საზოგადოებრივი დანაშაულის წყარო. ადამიანები არაგონივრული მოთხოვნილებების გამო უკმაყოფილებას გამოთქვამენ თავიანთი ცხოვრების პირობებით. ისინი ვერ ამჩნევენ იმ უდიდეს მიღწევებს, რომლებსაც ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მშრომელთა მუდმივად მზარდი რეალური, ჯანსაღი და გონივრული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმეში.

რეალური, ჯანსაღი და გონივრული მოთხოვნილებების აღზრდა კომუნისტური აღზრდის მნიშვნელოვანი ამოცანაა. იგი გულისხმობს თითოეულ ინდივიდში ისეთი მოთხოვნილებების ფორმირებას, რომელთა დაკმაყოფილების რეალური სუბიექტური და ობიექტური პირობებიც არსებობს და მათი დაკმაყოფილება ხელს უწყობს ინდივიდისა და საზოგადოების განვითარებას, ორივეს ინტერესს გამოხატავს.

ადამიანის კმაყოფილებას ან უკმაყოფილებას განსაზღვრავს მისი მოთხოვნილებების შინაარსი, ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მდგომარეობა.

უნარი თავის დადასტურებას პრაქტიკაში მოითხოვს. უამრავი უნარიდან, რომლებიც მემკვიდრეობით გადმოეცემა ან დაჰყვება ადამიანს, მეტ-ნაკლები ძალით გამოირჩევა ერთი ან რამდენიმე უნარი. ეს უკანასკნელნი კი ქმნიან მიდრეკილებებს ამა თუ იმ დარგისადმი. თუ გარემოებამ ხელი შეუწყო და ადამიანის აღზრდა-საქმიანობა მასში მოცემული ყველაზე ძლიერი უნარის მიხედვით წარიმართა, მაშინ მიდრეკილება სწრაფად ვითარდება და უმაღლეს მწვერვალს აღწევს. სწორედ ამ გზით ვღებულობთ ტალანტებს.

უნარისა და მიდრეკილების მიხედვით ადამიანის დასაქმების უდიდესი მნიშვნელობის მაგალითები უამრავია სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, მაგრამ ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა ადამიანთა აღზრდა, მათი საქმიანობა და განვითარება არ ხდება უნარისა და მოთხოვნილებების ურთიერთობათა შესწავლის საფუძველზე. იგი სტიქიურ ხასიათს ატარებს. ადამიანის მოთხოვნილებები მისი უნარის გამოვლინების ერთადერთი გზაა, სანამ გასაგნობრივება მოხდებოდეს. მაგრამ ამ მოვლენის შესწავლას ჯერჯერობით ნაკლები ყურადღება ექცევა ბავშვობის ასაკში და შემდეგაც.

ადამიანის მოქმედებისა და განვითარების ფაქტორთა სისტემაში უნარსა და მოთხოვნილებას ჯერ კიდევ არა აქვს ჯეროვანი ადგილი დათმობილი. ამის გამო ზოგიერთი მკვლევარი მოთხოვნილებას აიგივებს ან ურევს მის საფუძველზე წარმოშობილ ისეთ მოვლენებთან, როგორიც არის ინტერესი, სურვილი, მისწრაფება, გრძნობები, ემოციები, განწყობა, მოტივები და სხვ. უფრო მეტიც. ადგილი აქვს მოთხოვნილებების ბიოლოგიზაციას. ამის გამო ბევრ მკვლევარს ადამიანის მოქმედების ახსნა მოთხოვნილებების საფუძველზე არამეც-

ნიერულადაც კი მიაჩნია, მაშინ როდესაც მარქსიზმის ფუძემდებლები ადამიანთა მოქმედების საფუძვლად თვლიდნენ მოთხოვნილებასა და უნარს, რომლებიც თავიანთ განვითარებასა და სრულყოფას საზოგადოებრივ პრაქტიკაში პოულობენ. „...თვით დაკმაყოფილებული პირველი მოთხოვნილება, დაკმაყოფილების მოქმედება და უკვე შეძენილი იარაღი დაკმაყოფილებისა ახალ მოთხოვნილებებს წარმოშობენ, და ეს წარმოშობა ახალი მოთხოვნილებებისა პირველი ისტორიული აქტია“[1].

კ. მარქსის ეს დებულება ეხება როგორც ცალკეულ ინდივიდებს, ისე მთლიანად საზოგადოებას განვითარების ყოველ ეტაპზე. ადამიანთა საზოგადოებრივი ისტორია საბოლოოდ სხვა არაფერია, თუ არა მათი უნარებისა და მოთხოვნილებების, მათი ინდივიდუალური განვითარების ისტორია, რომლის კონცენტრირებულ გამოხატულებასაც წარმოადგენენ საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობანი. საზოგადოებრივი ცხოვრების ესა თუ ის ორგანიზაცია დამოკიდებულია უკვე განვითარებულ მოთხოვნილებებზე, ხოლო ამ მოთხოვნილებათა წარმოშობა და დაკმაყოფილება თვით არის ისტორიული პროცესი.

ბევრი მკვლევარის მიერ ეს ისტორიული პროცესი არასწორად არის გაგებული და მოთხოვნილებებსა და უნარს, მათ ურთიერთზემოქმედებას როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში თავისი კუთვნილი ადგილი არა აქვს მინიჭებული.

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ფოიერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა, გვ. 47.

კომუნისტური აღზრდის არსებითი ამოცანა ადამიანთა ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარებაა. ეს გულისხმობს მათში მოცემული ყველა უნარის განვითარებას, მაგრამ გამორიცხავს ყველა ინდივიდში ერთნაირი უნარის არსებობასა და განვითარებას. ეს შეუძლებელიც არის, რადგან ადამიანებს განსხვავებული უნარი და განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობები აქვთ. სწორედ ეს ხდის მათ ინდივიდებად.

კომუნიზმის დროს ადამიანთა ყოველმხრივი განვითარება არ ნიშნავს იმას, თითქოს ყველა ინდივიდს შეუძლია გახდეს დიდი მხატვარი. სკულპტორი, პოეტი, მუსიკოსი, მეცნიერი და ა. შ. როგორც კ. მარქსი გვასწავლის, ადამიანები უხმოდ აღნობენ ბუნებრივ პრივილეგიას — უთანასწორო ინდივიდუალურ ნიჭს. ისინი სხვადასხვა ინდივიდები არ იქნებოდნენ, უთანასწორონი რომ არ იყვნენ. ასეთი განსხვავება ადამიანებს შორის მუდამ იქნება. კომუნიზმის მიზანი ამ განსხვავების მოსპობა კი არ არის, არამედ იგი საშუალებას აძლევს ადამიანს განავითაროს ყველა უნარი. მაგრამ როგორი პირობებიც უნდა შეუქმნან მათ, შეუძლებელია ყველა უნარის ერთნაირი სრულყოფა. ინდივიდის მრავალ უნარს შორის უფრო მეტი ძალით გამოირჩევა ზოგიერთი, რომლებიც შესაბამის მიდრეკილებებს ქმნიან ამა თუ იმ სფეროში მოღვაწეობისათვის. ადამიანმა მეტ სრულყოფას მხოლოდ გარკვეულ სფეროში შეიძლება მიაღწიოს. მაგალითად, მიქელანჯელო მხატვარიც იყო და მოქანდაკეც, მაგრამ მეტ სრულყოფას ქანდაკებაში მიაღწია. მაშასადამე, ინდივიდის ყველაზე ძლიერ მიდრეკილებას საფუძვლად უდევს მისი ყველაზე ძლიერი უნარი. ყველაზე მეტი სრულყოფაც მას ამ უნარის ფუნქციობის საფუძველზე შეუძლია.

ადამიანს ჭეშმარიტ სიხარულს გვრის თავისი არსების ძალების, უნარების გამოვლინება, დადასტურება, რადგან ისინი ინდივიდისათვის ყველაზე ძლიერ და მუდმივ მოთხოვნილებას წარმოადგენენ. ამიტომ ადამიანის კმაყოფილებასა და ბედნიერებას განაპირობებს მხოლოდ მისი უნარისა და მოთხოვნილებების შესატყვისი მდგომარეობა. უკმაყოფილება იწყება მაშინ, როცა ადამიანს არ ეძლევა თავისი უნარის ფუნქციობის, დადასტურების საშუალება, როცა მას ობიექტური პირობების გამო არ ეძლევა რეალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

მომავალში ყოველგვარი შრომა, როგორც უპირატესად ინდივიდის არსებობის საშუალება, დაკარგავს თავის მნიშვნელობას. მაშინ იგი დარჩება მხოლოდ როგორც ადამიანის უნარის, მისი არსების ძალების დადასტურება.

ადამიანში მოცემულ ყველა უნარს განვითარების საშუალება უნდა მიეცეს. მაგრამ ამასთანავე როგორც ინდივიდისათვის, ისე საზოგადოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ფუნქციობისა და განვითარების მაქსიმალური შესაძლებლობა პირველ რიგში იმ უნარს შეექმნას, რომლითაც ადამიანი ყველაზე მეტად არის დაჯილდოებული როგორც კონკრეტული ინდივიდუალობა. ეს, თავის მხრივ, ყველა სხვა უნარის ნორმალური განვითარების საფუძველია.

უნარისა და მოთხოვნილებების განვითარების ობიექტური წყარო წარმოებაა. წარმოების პროცესში შექმნილი საგნები და დამკვიდრებული ურთიერთობანი ადამიანებში წარმოშობენ შესაბამის მოთხოვნილებებს, ხოლო ეს უკანასკნელნი — შესატყვის უნარს. უნარი, თავის მხრივ, იხვეწება და სრულყოფილი ხდება მოთხოვნილების დაკმაყოფილების შედეგად.

ყოველი დაკმაყოფილებული მოთხოვნილება წარმოშობს ახალ მოთხოვნილებას და ასე შემდეგ, უსასრულოდ. მუსიკალური უნარი წარმოშობს მუსიკისადმი მოთხოვნილებას, მაგრამ მუსიკის აღქმა, ზემოქმედება, თავის მხრივ, მეტ-ნაკლებად იმ ადამიანებშიც წარმოშობს მუსიკის მოთხოვნილებას, რომლებიც აქამდე ამას არ გრძნობდნენ. „მოთხოვნილება, — წერს მარქსი, — რომელსაც მოხმარება შეიგრძნობს საგნის მიმართ, შექმნილია ამ უკანასკნელის აღქმის გზით. ხელოვნების საგანი, — ასევე ყოველი სხვა პროდუქტი, — ქმნის საზოგადოებას, რომელსაც გაეგება ხელოვნება და შესწევს სიმშვენიერით დატკბობის უნარი"[1].

ცნობილია, რომ დიდი სამამულო ომის წინა პერიოდში ჩვენს ქვეყანაში მასობრივი მოხმარებისათვის არ იყო ტელევიზორი (ამ პერიოდში სულ 300 ცალი გვქონდა), მაგრამ ომის შემდგომ წლებში მისმა მასობრივმა წარმოებამ იმდენად განავითარა ადამიანთა მოთხოვნილება ტელევიზორზე, რომ მარტო 1970 წელს მოსახლეობამ 5428 ათასი ცალი სხვადასხვა მარკის ტელევიზორი შეიძინა. მოხმარების პროცესში კი იმდენად დაიხვეწა და განვითარდა ადამიანთა უნარი და მოთხოვნილება ამ საგნის მიმართ, რომ პირვანდელი პრიმიტიული ფორმიდან იგი უკვე ფერადი ტელევიზორის მოთხოვნილებამდე ამაღლდა. ამ უნარისა და მოთხოვნილების განვითარებას, ცხადია, წერტილი არც აქ დაესმება. იგი მომავალში კიდევ უფრო სრულყოფილი და მრავალმხრივი გახდება.

ადამიანის ყოველი ორგანო, ყოველი უნარი ისტორიულად მოთხოვნილებამ წარმოშვა. ყოველ ინდივიდში ისინი

---

[1] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 269.

ფუნქციობენ და ვითარდებიან შესატყვისი საგნების ზემოქმედებით წარმოშობილ მოთხოვნილებათა საფუძველზე. არა მარტო წარმოების პროდუქტი, არამედ თვით ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობანიც ყოველ კონკრეტულ პირობებში წარმოადგენენ გარკვეულ საგანს შესატყვისი გრძნობების, უნარების წარმოშობისა და განვითარებისათვის. „არა მხოლოდ გრძნობის ხუთი გარეგანი ორგანო, — წერს კ. მარქსი, — არამედ ეგრეთ წოდებული სულიერი გრძნობები, პრაქტიკული გრძნობები (ნებისყოფა, სიყვარული და ა. შ.)... აღმოცენდებიან მხოლოდ შესატყვისი საგნების არსებობის წყალობით“[1].

კ. მარქსის ამ დებულების ნათელ დადასტურებას წარმოადგენს სოციალისტურ საზოგადოებაში სრულიად ახალი უნარების, მოთხოვნილებებისა და გრძნობების წარმოშობა — კოლექტივიზმი, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, პატრიოტიზმი და საბჭოთა ადამიანისათვის დამახასიათებელი სხვა მაღალი თვისებები, რომლებიც უცხოა კაპიტალისტური სამყაროს ადამიანებისათვის. ეს ახალი თვისებები სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებისა და ზემოქმედების შედეგია.

ადამიანთა ახალ მოთხოვნილებებს წარმოშობენ ახალი საგნები, საქმიანობა და ურთიერთობანი, რომლებიც მათში აქამდე მთვლემარე უნარების გამოცოცხლებასა და განვითარებას იწვევენ. ასეთი პირობების შედეგად ადამიანი თავის თავში აღმოაჩენს ისეთ უნარს, რომელსაც მანამდე ვერც თვითონ ამჩნევდა და ვერც სხვა.

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Из ранних произведений, გვ. 593—594.

ამგვარად, ახალ საგანთა და ურთიერთობათა ზემოქმედება ადამიანში წარმოშობს ახალ მოთხოვნილებებსა და უნარს, რომლებიც შემდგომ ვითარდებიან და სრულყოფას განიცდიან მოთხოვნილების დაკმაყოფილების კვალობაზე. უნარისა და მოთხოვნილებების განვითარების ობიექტური კანონზომიერების შეცნობასა და პრაქტიკულ გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანთა ყოველმხრივი განვითარებისა და კომუნისტური აღზრდის მეცნიერული ორგანიზაციის საქმეში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს შესაბამისი პრაქტიკული დასკვნები:

1. მაქსიმალურ სრულყოფას რომ მიაღწიოს, საზოგადოებას მთელი შესაძლებლობით რომ ემსახუროს და ამით თვითონაც კმაყოფილება იგრძნოს, ადამიანი ჩაბმული უნდა იყოს საქმიანობის იმ სფეროში, რომლისადმიც იგი ყველაზე მეტად ავლენს უნარსა და მიდრეკილებას. ამისათვის კი საჭიროა ინდივიდების ყველა უნარისა და მიდრეკილების მეცნიერული შესწავლა;

2. იმისათვის, რომ ადამიანის უნარი განუწყვეტლივ ვითარდებოდეს, აუცილებელია შრომის პროცესი მის წინაშე აყენებდეს ახალ-ახალ ამოცანებს, მოქმედების ახალ მოთხოვნილებებს, ე. ი. მისთვის შრომა შემოქმედებით საქმიანობად უნდა იქცეს;

3. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთი და იმავე დარგში მუშაობის შედეგად ადამიანები ვიწრო პროფესიონალიზმის ტყვეობაში ექცევიან. ერთი და იმავე დარგში მუშაობის პირობებშიც კი საჭიროა პერიოდულად იცვლებოდეს მისი საქმიანობის ხასიათი, ისე რომ პიროვნების წინაშე ყო-

ველთვის დგებოდეს ახალი ამოცანები და ისახებოდეს ახალი ბოქმედების მოთხოვნილებები;

4. უნარის სრულყოფისა და ყოველმხრივ განვითარებისათვის არ არსებობს დიდი და პატარა საქმე. აქ მნიშვნელობა აქვს მხოლოდ სიახლეს, უნარის შესატყვისი საქმიანობის ცვლას. საზოგადოებრივი ფუნქციების ცვალებადობა ადამიანში შრომის ენთუზიაზმსა და მოზღვავებულ ენერგიას წარმოშობს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოცემული საქმიანობით მისი უნარის განვითარების შესაძლებლობა ამოიწურება, რამდენადაც სიახლე აღარ გვექნება.

ადამიანები ზოგჯერ დასაქმებული არიან საზოგადოებრივი შრომის იმ სფეროში, რომლის შესატყვისი უნარი და მიდრეკილება მათ არ გააჩნიათ. ასეთ შემთხვევაში წაგებული რჩება საზოგადოებაც და პიროვნებაც.

ამრიგად, ადამიანთა ყოველმხრივი განვითარების აუცილებელი პირობაა მისი ყველა უნარისა და მოთხოვნილების განვითარება შესაბამის საგანთა და ურთიერთობათა ზემოქმედებით.

6. ადამიანი თავის უნარებს ავლენს და ავითარებს გარემოსთან ურთიერთობაში. საწარმოო ძალები, როგორც გასაგნობრივებული უნარები

ადამიანი თავის არსებობას და არსების ძალებს ავლენს და ავითარებს გარემოს საგნებთან ურთიერთობაში. თავის მხრივ, ყოველი ინდივიდი წარმოადგენს ობიექტს, საგანს, რომელშიაც ის გარეშე არსებული და მასთან ურთიერთობაში მყოფი სხვა

ადამიანები და საგნები ადასტურებენ თავიანთ არსებობას და არსების ძალებს.

ადამიანისათვის სუბიექტურად საგანი არსებობს იმდენად, რამდენადაც იგი მისი ამა თუ იმ არსების ძალის, უნარის დადასტურებაა, ხოლო ადამიანს ესა თუ ის არსების ძალა, უნარი გააჩნია იმდენად, რამდენადაც მას ობიექტურად აქვს შესატყვისი საგანი. „...ჩემი საგანი, — წერს კ. მარქსი, — შეიძლება იყოს ჩემი ერთ-ერთი არსების ძალის მხოლოდ დადასტურება, ანუ მას შეუძლია იარსებოს ჩემთვის მხოლოდ ისე, როგორც თავისთავად არსებობს ჩემი არსების ძალა სუბიექტური უნარის სახით".[1]

ადამიანი რასაც ასახავს, რასაც გრძნობს გარეგანი საგნების მიმართ, ამ უკანასკნელთა ობიექტური თვისებების ზემოქმედებითაა გამოწვეული, მაგრამ იგი მხოლოდ ამ საგნების თვისებების ასახვა არ არის. ეს პროცესი ამასთან ერთად ადამიანის არსების ძალების, უნარების დადასტურებაა საგნობრივ სინამდვილეში. „ჩვენ არ შეგიძლია სხვა რამ დავადასტუროთ, თუ ჩვენ თვით ჩვენი თავი არ დავადასტურეთ, არ გამოვავლინეთ",— წერს ფოიერბახი[2].

თუ ადამიანი რაიმე დამოკიდებულებაში არ არის საგანთან, ეს საგანი მისთვის არც არსებობს. ამასთან, საგანი ადამიანისათვის არსებობს მხოლოდ იმ სახით, როგორ დამოკიდებულება-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Из ранних произведений, გვ. 293.

[2] ლ. ფოიერბახი, ქრისტიანობის არსება, 1956, გვ. 36.

შიცაა ადამიანი მის მიმართ, რა სახითაც ადამიანი მასში თავის თავს ადასტურებს. ეს დებულება ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ადამიანი აძლევდეს საგნებს იმ თვისებებს, რომლებითაც იგი თავის თავს ადასტურებს. საგნებს საკუთარი თვისებები ახასიათებს, მაგრამ ამ თვისებებს ისინი მხოლოდ სხვა საგნებთან მიმართებაში ავლენენ. ასევე ადამიანიც თავის თვისებებს ადასტურებს სხვა ადამიანებში, საგნებსა და მოვლენებში. საგნების მიერ თავისი თავის დადასტურება მრავალმხრივია.

როგორც აღვნიშნეთ, ობიექტური საგნები თავის თავს ადამიანში იმდენად ადასტურებენ, რამდენადაც ადამიანებს მათი შესატყვისი გრძნობები გააჩნიათ, ე. ი. რამდენადაც ადამიანები ადასტურებენ მასში თავის უნარებს, არსების ძალებს. მაგალითად, ერთი და იგივე მუსიკა სხვადასხვა ადამიანში სხვადასხვა გრძნობას იწვევს. ერთს იგი დიდად აღაფრთოვანებს, მეორეს — უმნიშვნელოდ, მესამეს სულ არა—უბრალოდ მის ყურადღებასაც კი ვერ იპყრობს და ა. შ. ამის შესაბამისად ამ მუსიკას თითოეული მათგანისათვის სხვადასხვა ღირებულება აქვს.

ამრიგად, ადამიანის არსების ძალებს ობიექტურად თავისი საგნები შეესატყვისება. ეს არსების ძალები იმიტომ არსებობენ, რომ მათ ობიექტური საგნები გააჩნიათ. თავის მხრივ, ობიექტური საგნები ადამიანისათვის, როგორც სუბიექტისათვის, საგნებად ხდებიან მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ადამიანს გააჩნია შესატყვისი არსების ძალა, თვისება, გრძნობა უნარების სახით.

გარეგანი საგანი ჩემთვის მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს საგანი, როდესაც მის მიმართ რაიმე გრძნობა გამაჩნია, როდესაც მასში მე ჩემს რაიმე თვისებას ვადასტურებ.

ადამიანის ცნობიერებაში არაფერია ისეთი, რაც გრძნობით არ იყოს მოპოვებული. საგნები არსებობენ თავისთვის, მაგრამ ისინი თავიანთ თავს ამჟღავნებენ და ადასტურებენ ადამიანის გრძნობებში, ისევე როგორც ადამიანები თავიანთ არსების ძალებს ადასტურებენ საგნებში გრძნობების საშუალებით. გრძნობა შემმეცნებლისა და შესამეცნებლის შემაერთებელი ხიდია. ყოველი საგნის თვისება სხვა საგნის საშუალებით დასტურდება ბუნებაში, მაგრამ სხვა საგნებისაგან განსხვავებით ადამიანი თავის თავს, თავის თვისებებს ცნობიერად ადასტურებს საგნებში. ადამიანის არსება მრავალმხრივია. იგი მატერიალურია როგორც ბუნებრივი, ასევე სოციალური თვისებებისა. მაგრამ მისი არსებისათვის სპეციფიკურია სოციალური. მაშასადამე, ადამიანის არსება მარტო მოდგმის თვისებებით კი არ განისაზღვრება, როგორც ეს ფოიერბახს ეგონა, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობითაც. რომელშიც ყოფილა ან არის მისი გვარი და თვითონაც იმყოფება ამჟამად.

ადამიანის არსება, როგორც კ. მარქსი მიუთითებს, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაა, რომელიც ცალკეული ინდივიდებზე არ დაიყვანება. ცალკეული ინდივიდები მხოლოდ ამ არსების გამოვლენაა. თავის მხრივ, ცალკეული ინდივიდები თავიანთი არსების ძალებითა და თვისებებით თავისი გვარის სახეობებს წარმოადგენენ. ინდივიდებში შერწყმულია ადამიანის არსებისთვის დამახასიათებელი საერთო და განმასხვავებელი სპეციფიკური თვისებები. ისინი, როგორც ინდივიდები, სწორედ იმიტომ არსებობენ, რომ მათ საერთოსთან ერთად ურთიერთგანმასხვავებელი ნიშნებიც აქვთ, ბუნებრივი, ფიზიკური, იქნება ის, თუ ანატომიური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკუ-

რი, მემკვიდრეობით მიღებული, პრაქტიკით შეძენილი, შემთვევითი თუ აუცილებლობითი და ა. შ.

ადამიანის არსების გამომხატველი თვისებები და კანონზომიერებანი ცალკეულ ინდივიდებში ვლინდება. ამიტომ ზოგადი კანონზომიერების შესწავლისა და დადგენის გასაღებს ცალკეული ინდივიდები წარმოადგენენ. ამასთან, ცალკეულ ინდივიდებში მონახული უნდა იქნეს ის სპეციფიკურიც, რის საფუძველზეც ინდივიდუალური ზოგადი ხდება და განასახიერებს ყველა იმ საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომლებიც ადამიანის არსებას წარმოადგენენ.

ადამიანის არსება მის უნარებსა და მოთხოვნილებებშია ასახული, რაც ყველაზე თვალსაჩინოდ წარმოების მიერ შექმნილ საგნობრივ სინამდვილეში ვლინდება. ამიტომაც წარმოების ისტორიას, მრეწველობას და მის მიერ შექმნილ საგნობრივ ყოფიერებას მარქსი უწოდებს ადამიანის არსების ძალებისა და უნარების, გრძნობადად მოცემული ადამიანური ფსიქოლოგიის გახსნილ წიგნს[1].

ადამიანთა ისტორიის საგნობრივი ყოფიერება სხვა არაფერია, თუ არა მათ მიერ გასაგნობრივებული უნარები შრომის იარაღების, წარმოების საშუალებებისა და პროდუქტების სახით, რომლებიც ადამიანთა ნამდვილ ურთიერთობებს ავლენენ. ეს ურთიერთობანი კერძო საკუთრების პირობებში სასაქონლო წარმოებისა და შრომის გასხვისების (გაუცხოების) გამო ადამიანებს საგნთა ურთიერთობების სახით წარმოუდგებათ.

სინამდვილეში საგანში, რომელიც შრომის პროდუქტია,

---

[1] იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, Из ранних произведений, გვ. 594—595.

ადამიანური არსება, მისი უნარები მოცემულია გასაგნობრივებული სახით. შრომის საგანში ადამიანები ერთიმეორეს ხვდებიან როგორც მოთხოვნილების სუბიექტი და როგორც ობიექტი. კომუნიზმის დროს უნარების ფუნქციობა, მათი გაბოვლინება და დადასტურება საგნობრივ სინამდვილეში პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილება ხდება. ადამიანის მოთხოვნილება, — წერს მარქსი, — როდესაც იგი მისი პირველი ბუნებაყოფილების პრიმიტიული ფორმიდან, უშუალობიდან გამოვიდა, წარმოების განვითარების შედეგად ყოველთვის საგნის ზემოქმედებით ვითარდება[1]. საზოგადოებაში ადამიანი არა მარტო აწარმოებს საგანს, რომელიც უშუალოდ მისი მოხმარებ-ს საგანი არ არის, არამედ ამავე დროს მოიხმარს კიდეც საგანს. რომელიც უშუალოდ მისი შრომის პროდუქტს არ წარმოადგენს.

თუ ცხოველები ბუნებრივ პროდუქტს მოიხმარენ, ადამიანის მოხმარების საგანი საზოგადოებრივი წარმოების პროდუქტია. ამასთან, საზოგადოებრივი წარმოება არა მარტო ქმნის საგანს მოხმარებისათვის, არამედ მომხმარებელსაც ქმნის საგნისათვის, რადგან საგანიც ყოველთვის არის გარკვეული საგანი, რომელიც მოიხმარება წარმოების მიერ ნაკარნახევი გარკვეული წესით[2].

ყოველ ინდივიდს და მთელ თაობას მზამზარეულად ხვდება წინა თაობის მიერ შექმნილი მატერიალური და სულიერი საშდიდრე წარმოების იარაღებისა და საგნების სახით, ამიტომ ყოველი ახალი თაობა თავიდან კი არ იწყებს, არამედ მხოლოდ

---

[1]. იხ. კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 269.
[2] იხ. იქვე, გვ. 268—269.

ავითარებს და აგრძელებს იმას, რასაც წინა თაობამ მიაღწია, და გადასცემს მას შემდგომ თაობას. ასეთი უწყვეტი კავშირის შედეგად იქმნება ადამიანთა ისტორია. ამ ისტორიულ პროცესში ადამიანები ავითარებენ თავიანთ უნარებსა და მოთხოვნილებებს.

თითოეული ინდივიდი ყოველთვის მისი მოთხოვნილების საფუძველზე დასახულ მიზანს მიჰყვება (ამ მხრივ არავითარი განსხვავება არაა ინდივიდების მოქმედებაში). მაგრამ ამ მოთხოვნილებებისა და მიზნების შინაარსი, თვით მათი დაკმაყოფილების უნარი და წესი საზოგადოებრივ-ისტორიულად განსაზღვრულია. ინდივიდის მოქმედებაც ყოველთვის საზოგადოებრივი მოქმედებაა. იგი საზოგადოებრივია მაშინაც, როდესაც უშუალო ურთიერთობაში არ გამოდის სხვა ადამიანებთან, რადგან იგი მოქმედებს როგორც ადამიანი, როგორც საზოგადოებრივი არსება.[1]

ცნობილია, რომ ადამიანები ისევე ქმნიან საზოგადოებას, როგორც საზოგადოება აყალიბებს ადამიანებს. მაგრამ როგორ ყალიბდება საზოგადოების თითოეული წევრი როგორც ინდივიდი, როგორც პიროვნება? ამ კითხვაზე ზოგადი პასუხი — ადამიანები გარემოსა და აღზრდის პროდუქტები არიან — საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ იგი დაკონკრეტებას საჭიროებს იმ კანონის საფუძველზე, რომ ადამიანის ყველა თვისება, უნარი და მოთხოვნილება წარმოიშობა, ვითარდება და ყალიბდება მხოლოდ შესატყვის საგანთან ურთიერთობაში, მისი ზემოქმედებით. ამ პროცესებს თავისი სპეციფიკური

[1] იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, Из ранних произведений, გვ. 590.

კანონზომიერებანი გააჩნია, რომელთა შესწავლასა და გამოყენებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება კომუნისტური აღზრდის საქმეში.

ადამიანისათვის საგანია ყოველივე ის, რასთანაც იგი ურთიერთობას ამყარებს და რისი საშუალებითაც თავის უნარებს ადასტურებს. ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობანი ასევე საგნებია ინდივიდის მოთხოვნილებებისა და უნარებისათვის. ადამიანის ყველა უნარს — გრძნობას, აზროვნებას, ნებელობას, სიყვარულს, მეგობრობას, კოლექტივიზმს, პატრიოტიზმს, ინტერნაციონალიზმს და ა. შ. გარკვეული საგნები შეესაბამება ობიექტური ურთიერთობების სახით. ამიტომაც წერდა მარქსი, რომ „...ინდივიდის ნამდვილი სულიერი სიმდიდრე მთლიანად დამოკიდებულია მის ნამდვილ ურთიერთობათა სიმდიდრეზე"[1]. ადამიანთა აღზრდის კანონზომიერებანი ამ ურთიერთობების, როგორც საგნის ადამიანზე ზემოქმედების კანონზომიერებებიდან გამომდინარეობენ. მათი ზემოქმედება ადამიანზე პირველ რიგში პრაქტიკის საკითხია და არა თეორიის, რადგან ადამიანთა „საზოგადოებრივი ცხოვრება არსებითად პრაქტიკულია"[2].

ადამიანთა პრაქტიკული ცხოვრება აღსავსეა წინააღმდეგობებით, რომელთა გარეშე შეუძლებელია როგორც ინდივიდების, ისე საზოგადოების განვითარება. თითოეულ ინდივიდსაც ახასიათებს საკუთარი წინააღმდეგობანი, რომლებიც მისი განვითარების საფუძველია. ეს წინააღმდეგობანი ინდივიდებს ყო-

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ფოიერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა, გვ 62.

[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 486.

ველთვის ექნებათ. მაგრამ შეიცვლება მათი შინაარსი. მაგალითად, ადამიანთა დაპირისპირება ბუნებასთან მუდმივი და ზოგადი აუცილებლობაა, მაგრამ პირველყოფილი ადამიანები ბუნებასთან უშუალოდ შიშველი ხელებით იყვნენ დაპირისპირებული. საწარმოო ძალების განვითარებამ (რაც ადამიანთა უნარების განვითარებას ნიშნავდა) ეს დაპირისპირება საზოგადოებრივი ურთიერთობებით გააშუალა. წინააღმდეგობა საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის საზოგადოებრივი განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალად იქცა ეს წინააღმდეგობა საბოლოოდ წარმოადგენს წინააღმდეგობას ადამიანის მოთხოვნილებებსა და მათი დაკმაყოფილების ობიექტურ პირობებს შორის. ამ დაპირისპირებაში გამოხატულია ადამიანის დაპირისპირება ბუნებასთან, გარემოსთან, როგორც მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებასთან. რომლის განმსაზღვრელ ფაქტორადაც საზოგადოება იქცა.

საწარმოო ძალებში, რომელთა განვითარებაც საზოგადოებრივი განვითარების საფუძველია, ადამიანთა უნარები გასაგნობრივებულია იარაღების სახით. როგორც მარქსი შენიშნავს, შრომის იარაღი ადამიანის შრომის ორგანოს გაგრძელება, მისი სრულყოფა და განვითარებაა, საგნობრივად მოცემული ადამიანის უნარია. მეორე მხრივ. მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ობიექტურ პირობას წარმოადგენს გარემო მთლიანად, როგორც ბუნებრივი, ასევე სოციალური. რა თქმა უნდა, საზოგადოებაში ბუნებრივი გარემო, როგორც მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება, დაქვემდებარებულია სოციალური გარემოსადმი, საზოგადოებრივი ურთიერთობებისადმი, რომელთა შორის ძირითადი და განმსაზღვრელია წარმოებითი ურთიერთობანი.

ადამიანების ბუნებასთან დაპირისპირება, რაც მუდმივი ისტორიული პროცესია, საზოგადოებრივი ურთიერთობებითაა გაშუალებული. ადამიანის დაპირისპირება ბუნებასთან წარმოგვიდგება საზოგადოებასთან დაპირისპირების სახითაც, რაც მტრულ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში ანტაგონისტურ სახეს ღებულობს. კომუნისტურ საზოგადოებაში იხსნება ანტაგონისტური დაპირისპირება პიროვნებასა და საზოგადოებას შორის, მაგრამ წინააღმდეგობა მაინც რჩება, — წინააღმდეგობა პიროვნების მოთხოვნილებისა გარესამყაროსთან, რომელთანაც იგი გარკვეულ დამოკიდებულებაშია როგორც მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებასთან.

ამრიგად, წინააღმდეგობა პიროვნებასა და საზოგადოებას შორის მუდმივი ისტორიული აუცილებლობაა, მაგრამ პიროვნებისა და საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ამ წინააღმდეგობის შინაარსი იცვლება.

ადამიანის ამ დაპირისპირებას ბუნებასთან არ სპობს არც სოციალიზმი და არც კომუნიზმი. ეს დაპირისპირება მხოლოდ სახეს იცვლის. ექსპლუატაციისაგან თავისუფალ ადამიანებს პირველად ეძლევათ ბუნების გარდაქმნისათვის საჭირო ყველა უნარის განვითარების საშუალება, ხოლო ის, რაც საშუალებას წარმოადგენს, როგორც მარქსი გვასწავლის, განვითარების გარკვეულ საფეხურზე თვით იქცევა მოთხოვნილებად. კომუნიზმის დროს ადამიანთა საზოგადოებრივი საქმიანობა, მათი უნარების გამოვლენა და დადასტურება თვით იქცევა პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად. შრომა არსებობის ობიექტური აუცილებლობიდან სუბიექტურ აუცილებლობად, მოქმედების მოტივად და შინაგან მოთხოვნილებად იქცევა.

7. საგნობრივი მოთხოვნილება და მოქმედების მოთხოვნილება

ზოგჯერ მოთხოვნილებას აიგივებენ განწყობასთან, ქცევის მოტივთან, ან სხვა ფსიქიკურ მოვლენებთან, რაც, ჩვენი აზრით, შეცდომაა. ამ შეცდომის ერთ-ერთი საფუძველი ისიცაა, რომ მოთხოვნილების კატეგორია ჯერ კიდევ სრულყოფილად არაა გაანალიზებული, არ არის შოცემული მოთხოვნილებების მეცნიერული კლასიფიკაცია მათი წარმოშობისა და ფუნქციობის ყველა ასპექტის მიხედვით. როგორც ფსიქოლოგიაში, ისეე ფილოსოფიაში ტრადიციულად მოთხოვნილებას განიხილავენ როგორც ორგანიზმის, სუბიექტის რაიმე საჭიროებას, რაიმეს დანაკლისის მდგომარეობას და ა. შ., მიუთითებენ მის სოციალურ განსაზღვრელობაზე და სხვ. მაგრამ როგორ გადადის ეს განსაზღვრულობა ერთი თვისებრიობიდან მეორე თვისებრიობაში, როგორია მოთხოვნილებათა განვითარების დიალექტიკა, — ამის შესახებ ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში თითქმის არაფერი იწერება.

ეჭვდნობიან რა მოთხოვნილების ზოგად განმარტებას, ჩვენს ლიტერატურაში ჩვეულებრივ არ ასხვავებენ ერთიმეორისაგან მოთხოვნილებას, რომელიც მოტივაციის პროცესს ედება საფუძვლად, იმ მოთხოვნილებისაგან, რომელიც მოტივაციის პროცესის დასრულებისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ წარმოიშობა. სინამდვილეში მათ შორის არსებითი განსხვავებაა. მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა ს, რ ო მ ე ლ ი ც მ ო ტ ი ვ ა ც ი ი ს პ რ ო ც ე ს ს ე დ ე ბ ა ს ა ფ უ ძ ვ ლ ა დ, ჩ ვ ე ნ ვ უ წ ო დ ე ბ თ ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა ს, ხ ო ლ ო ი მ მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა ს, რ ო მ ე ლ ი ც გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ი ს

ნიღებისა და განწყობის შემუშავების შემდეგ წარმოიშობა, — მოქმედების მოთხოვნილებას. ეს უკანასკნელი ნიშნავს პირველის, ე. ი. საგნობრივი მოთხოვნილების გადასვლას ახალ თვისებრიობაში.

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ გადადის საგნობრივი მოთხოვნილება მოქმედების მოთხოვნილებაში, ადამიანის მოქმედების პრობლემის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. მის სწორად გადაწყვეტასა და გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და ადამიანთა აღზრდის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში.

საგნობრივი მოთხოვნილების ახალ თვისებრიობაში — მოქმედების მოთხოვნილებაში გადასვლის პროცესი და ამ პროცესის განმსაზღვრელი ფაქტორები ნათლად ჩანს მოქმედების მოტივის წარმოშობის მექანიზმში, რომლის შესახებაც მსჯელობა შემდეგ თავში გვექნება.

ამრიგად, წარმოშობისა და ადამიანის მოქმედების მექანიზმში როლისა და ადგილის მიხედვით არსებობს ორი არსებითად განსხვავებული მოთხოვნილება: საგნობრივი მოთხოვნილება და პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილება, ან უბრალოდ მოქმედების მოთხოვნილება. საგნობრივი მოთხოვნილება გამოიატავს სუბიექტის დამოკიდებულებას მოთხოვნილების საგნისადმი, ხოლო პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილება მოტივირებული მოქმედების განწყობის რეალიზაციის მოთხოვნილებაა. განწყობის შემუშავების საფუძველს საბოლოოდ საგნობრივი მოთხოვნილება წარმოადგენს, ხოლო თვით განწყობა, თავის მხრივ, პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილებას წარმოშობს, რაც შესაბამის სიტუაციაში უშუალოდ რთავს სუბიექტს მოქმედებაში. კ. მარქსს სწორედ ეს მოთხოვნილება

აქვს ბხედველობაში, როგორც თეორიის მატერიალური ძალად ვადაქცევისა და განხორციელების აუცილებელი პირობა.

საგნობრივი მოთხოვნილება შეიძლება არსებობდეს პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილების გარეშე, ხოლო პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილება ნებისმიერ მოქმედებაში ამასთანავე საგნობრივიცაა.

საგნობრივი მოთხოვნილება საგნისადმი დამოკიდებულებაა, რომელიც საჭირო ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების უქონლობის გამო ყოველთვის არ იქცევა პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილებად. ასეთი მოთხოვნილება რჩება განუხორციელებელი მოთხოვნილების, ინტერესის, მისწრაფების, სურვილისა და სხვათა სახით. ხშირად ასეთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მიზნადაც არ ისახავს ადამიანი.

უმეტეს შემთხვევაში საგნობრივი მოთხოვნილება საფუძვლად ედება მოტივაციის პროცესს, რის გამოც გარკვეული მოქმედება სუბიექტურ აუცილებლობად იქცევა და მიიღება ანა თუ იმ მოქმედების გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების მიღებას თან ახლავს განზრახული მოქმედების განწყობა, რომელიც განპირობებულია საგნობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოქმედების მოტივაციის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებით. განწყობა, ადამიანის პრაქტიკული მოქმედებისათვის მზადყოფნა, განიცდება როგორც პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილება. ამრიგად, პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილება განწყობის შემდგომი ეტაპია. იგი საგნობრივი მოთხოვნილების საფუძველზე აღმოცენებული თვისებრივად ახალი მოთხოვნილებაა. მართალია, პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილება უფრო

სშირად საგნობრივი მოთხოვნილების საფუძველზე წარმოიშობა, მაგრამ მათ შორის, როგორც აღვნიშნეთ, არსებითი განსხვავებაა. **საგნობრივ მოთხოვნილებასა და პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილებას შორის დგას მოტივაციის, გადაწყვეტილებისა და განწყობის რთული ფსიქოლოგიური პროცესები.**

პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილება ეშუალოდ განწყობის საფუძველზე წარმოიშობა. მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულებაა. ამიტომ არ შეიძლება განწყობისა და მოქმედების მოთხოვნილების გაიგივება. ეით უფრო არ შეიძლება განწყობის გაიგივება საერთოდ მოთხოვნილებასთან.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადამიანის მოქმედებას წარმართავს პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილება, რის გამოც მას ხშირად მოტივთან აიგივებენ. სინამდვილეში კი მოტივია და მოთხოვნილებას შორის არსებითი განსხვავებაა, რაზედაც სპეციალურად შეეჩერდებით მოტივის საკითხის განხილვისას.

8. ფსიქიკური თვისებების ერთი თვისებრიობიდან მეორეში გადასვლისა და სისტემების წარმოქმნის შესახებ

ყოველი თვისება და უნარი — მოთხოვნილება, მოქმედება, ცოდნა, ჩვევა, ინტერესი, გრძნობა, ემოცია და სხვ. ინდივიდში ქმნის თავისი სახეობის გარკვეულ სისტემას, მაგალითად, მოთხოვნილებათა შინაგან სისტემას, ცოდნის სისტემას და ა. შ. სხვადასხვა სისტემები საბოლოოდ ერთიმეორეს უკავშირდებიან და ქმნიან უფრო დიდ სისტემას — პიროვნებას, როგორც ფსიქო-ფიზიკურ მთლიანობას.

ამა თუ იმ თვისებათა ყოველი ცალკეული სისტემა გახვა-
თარების გარკვეულ საფეხურზე ქმნის თვისებრივად ახალ მოვ-
ლენას, ახალ მთლიანობას. მაგალითად, ცოდნათა სისტე-
მა წარმოშობს მსოფლმხედველობას, რომ ე-
ლიც არსებითად განსხვავდება ცოდნისა-
გან.

მსოფლმხედველობა, თავის მხრივ, წარმოშობს დამოკიდებ-
ულებას, დამოკიდებულება კი მოქმედების ძირითადი ფაქტო-
რია, რომელშიც საერთოდ და ყოველ კონკრეტულ შემთხვევ-
აში მოტივაციის პროცესი იგულისხმება მოხსნილი სახით.

ერთიმეორისაგან უნდა განვასხვაოთ მოქმედების სისტემა
და სტრუქტურა. სტრუქტურა ერთი მთლიანი მოქმედების სხვა-
დასხვა მხარის ერთიანობა, შინაგანი კავშირია. სისტემა სხვა-
დასხვა სტრუქტურის ერთიანობაა.

მოქმედების სტრუქტურა ერთ გარკვეულ მიზანთან დაკავ
შირებულ სხვადასხვა მოქმედებათა შინაგანი კავშირია, ხოლო
მოქმედების სისტემა მრავალ სტრუქტურას აერთიანებს, ისე-
ვე როგორც ცოდნა ნიშნავს ამა თუ იმ მოვლენის შესახებ შე-
ხედულებათა შინაგან კავშირს. სხვადასხვა მოვლენის შესახებ
ფილოსოფიურად დასაბუთებული ცოდნის სისტემა კი იძლევა
ახალ თვისებრიობას — მსოფლმხედველობას.

მაშასადამე, მოთხოვნილებათა სისტემას წარმოშობს სხვა-
დასხვა მოთხოვნილებათა შინაგანი კავშირი, ხოლო ცალკეულ
მოთხოვნილებებს თავისი საკუთარი სტრუქტურა გააჩნიათ. ამ
სტრუქტურის შინაარსი მოიცავს მოთხოვნილების საგანსაც
და მოთხოვნილების დაკმაყოფილების სოციალურად განსაზღ
ვრულ წესსაც.

ამ საკითხზე ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებაა, რომელთაგან ერთი ადასტურებს, მეორე კი უარყოფს მის არსებობას.

შეიძლება ითქვას, რომ ყოველი ფსიქიკური აქტი გარკვეულად ცვლის მის მატერიალურ სუბსტრატს. რომელიც ორგორც ფსიქიკურის საფუძველი, არაცნობიერად არსებობს. ფსიქიკური კი ადამიანთან ცნობიერების ფაქტიც ხდება.

ის, რასაც არაცნობიერ ფსიქიკას უწოდებენ, სხვა არაფერია, თუ არა თანდაყოლილი და ცხოვრების პრაქტიკით დიდი ტვინის ქერქში მეორადი სასიგნალო სისტემის დონეზე შექმნილი გარკვეული კავშირები. ადამიანს გარემოსთან ურთიერთობის პროცესში უამრავი ასეთი კავშირი ექმნება. ეს კავშირები ცნობიერების ფაქტად იქცევიან შესატყვისი გაღიზიანებისა და აგზნების გარკვეულ ზღურბლზე. აღნიშნული კავშირები, თავის მხრივ, მონაწილეობას ღებულობენ ახალი კავშირების შექმნასა და განმტკიცებაში. ადამიანის ფსიქიკური განვითარება ამ კავშირების განვითარებასა და ურთიერთობაზეა დამოკიდებული, რაც ერთ მთლიან შინაგან სისტემას ქმნის დიდი ტვინის ქერქში. პიროვნების ფსიქიკის, მისი ფსიქოლოგიის საერთო მატერიალურ სუბსტრატს არ შეიძლება ფსიქიკური ეწოდოს. იგი მხოლოდ და მხოლოდ მატერიალურია, ფიზიოლოგიურია, რომლის თვისებასაც წარმოადგენს ფსიქიკა. ფსიქიკური, რომელსაც ადამიანი სხვადასხვა ფორმით ავლენს, არაცნობიერი ფსიქიკურის ეკვივალენტია კი არ არის. არავედ იმ მატერიალურის თვისებაა, რომელიც კავშირების სახით არსებობს დიდი ტვინის ქერქში და გარ-

აკეულ პირობებში შინაგანი ან გარეგანი ფაქტორების ზეგავ-
ლენით აგზნებაში მოდის. ამ ავსნებას შეესატყვისება სწორედ
ესაა ცნობიერი.

ფსიქიკა ეს თავისებურებანი იმ კავშირების თვისებებზე
დამოკიდებული, რომელთაც აგზნებაში მოდია რაიმე გაღიზია-
ნების ზეგავლენით.

სანამ დიდი ტვინის ქერქში არსებული ცენტრები და კავშირე-
ბი აგზნებაში არ მოდა, მანამ ფსიქიკურთან არა გვაქვს საქმე
ფსიქიკური ყოველთვის აქტიური პროცესია და იგი გარკვეულ
პირობებში ცნობიერების ფაქტი ხდება. დიდი ტვინის
ქერქში არსებული კავშირები გაცნობიერების
გარეშეც მონაწილეობენ ადამიანის
ფსიქიკურ მოქმედებაში და ამ მოქმედებას
გარკვეულ მიმართულებასაც აძლევენ, მაგ-
რამ არა როგორც ფსიქიკური, არამედ პირ-
ველ რიგში როგორც მატერიალური, ფიზი-
ოლოგიური პროცესები.

მოთხოვნილების მსგავსად სხვადასხვა ფსიქიკური მოვ-
ლენაც ქმნის ერთ შინაგან მთლიან სისტემას. მოთხოვნილება
როგორც დაძაბულობა არსებობს მისი დაკმაყოფილების
საშუალებებთან კავშირში ასახული დიდი ტვინის ქერქში,
რომლის ცნობიერების ფაქტად გადაქცევას იწვევს შესატყვი-
სი ცვლილება გარემოსთან ურთიერთობაში.

ადამიანის ფსიქიკა საზოგადოებრივ-ისტორიული განვითა-
რების პროდუქტია და არსებობს უმაღლესად ორგანიზებული
მატერიის — თავის ტვინის თვისების, უნარის სახით. იგი
ფუნქციობს საჭიროების — მოთხოვნილების მისედვით. კ. მარ-
ქსის დებულება იმის შესახებ, რომ აზროვნება ინდივიდის

მთლიანი სიცოცხლის მომენტია, რომელიც საჭიროების მიხედვით ხან წარმოიშობა, ხან კი ქრება[1], მთლიანად ვრცელდება ფსიქიკაზე.

ხშირად ადამიანის ფსიქიკას და ცნობიერებას აიგივებენ, რაც საფუძვლად ედება არაცნობიერი ფსიქიკურის პრობლემას. არაცნობიერი ფსიქიკურის პრობლემა სინამდვილეში ყალბი პრობლემაა, ისევე როგორც ფსიქიკურის გაიგივება ცნობიერებასთან.

ფსიქიკაში იგულისხმება ადამიანის ყველა თვისება, უნარი, თანდაყოლილი და ცხოვრების პრაქტიკით შეძენილი. იგი მთლიანია ფსიქო-ფიზიკურად და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვლინდება სხვადასხვა მოქმედებაში.

10. მოთხოვნილებისა და მოთხოვნილების იდეის შესახებ

არ შეიძლება ადამიანის მოთხოვნილებების დაყოფა აქტუალურად და არააქტუალურად. მოთხოვნილება, თუ იგი არსებობს, ყოველთვის აქტუალურია.

ადამიანის მოთხოვნილება არ შეიძლება მხოლოდ აწმყო დროით შემოიფარგლოს, მას გააჩნია აწმყოც და მომავალიც. რადგან ადამიანის მოთხოვნილებები დამოკიდებულების სახით არსებობს. დამოკიდებულება თავისი მოთხოვნილებებისა და მოთხოვნილების საგნებისადმი ადამიანს გააჩნია მაშინაც, როდესაც იგი თავისუფალია მათი უშუალო გავლენისაგან.

მოქმედების მიზანი ყოველთვის რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა, მაგრამ ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს ნაღალსოციალური, საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გამო-

---

[1] იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 3, გვ. 253.

მხატველი, ან მხოლოდ პირადი ინტერესებით შემოფარგლული.

ამა თუ იმ მოქმედების მოტივაციის პროცესი შეიძლება გამოიწვიოს მოთხოვნილებამ, რომელსაც ამჟამად ბიოლოგიურად სრულებით არ განიცდის ადამიანი. მაგრამ მას მოთხოვნილების იდეა კი არ იწვევს, არამედ ის მოთხოვნილება, რომელიც დამოკიდებულების სახით არსებობს. მაგალითად, როდესაც გლეხი გაზაფხულზე თესავს, რომ შემოდგომაზე მოიმკას, მას შიმშილი კი არ აკეთებინებს ამას როგორც ბიოლოგიური პროცესი, არამედ კვების მოთხოვნილება როგორც სოციალური პროცესი, რომლის საგანიც და დაკმაყოფილების წესიც განსაზღვრულია სოციალურად და არა ბიოლოგიურად. მაშასადამე, მომავალში დასაკმაყოფილებელ ბიოლოგიურ მოთხოვნილებას წინ უსწრებს სოციალური მოთხოვნილება დამოკიდებულების სახით.

ცხოველისაგან განსხვავებით ადამიანზე მოქმედებს და მისი მოტივაციის პროცესში მონაწილეობს არა მხოლოდ უშუალო ფიზიკური გარემო, არამედ საერთო სოციალური გარემოც, რომელიც ფიზიკურად, უშუალოდ, არც შეიძლება იყოს მოცემული.

ისმება კითხვა: რა იწვევს ადამიანის მოქმედებას, მოთხოვნილების იდეა, თუ თვით მოთხოვნილება? მარქსიზმის მიხედვით იდეა თავისთავად არავითარ მოქმედებას არ იწვევს. იდეა მოქმედებას იწვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ადამიანის რაიმე მოთხოვნილების განხორციელებას წარმოადგენს.

მოთხოვნილების იდეის მომხრენი ამტკიცებენ, რომ იგი აქტუალურ მოთხოვნილებას არ გამოხატავს, მაგრამ აზროვნება

ჩართავს მას აქტუალურ მოთხოვნილებათა სისტემაში და ამის შედეგად საფუძვლად ედება მოქმედებას. ამ მსჯელობას არასწორ დასკვნებამდე მივყავართ. აზროვნებას შეუძლია იდეა მოთხოვნილებად აქციოს იმ გაგებით, რომ იდეის განხორციელება პიროვნებისათვის პირდაპირ ან არაპირდაპირ მოთხოვნილების განხორციელებად იქცეს. მაგრამ ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილების უნარმოკლებული იდეა ვერც თვით გამოიწვევს მოქმედებას და ვერც მოთხოვნილებათა სხვა სისტემაში ჩაერთვება.

როდესაც ადამიანის მოქმედება მიმართულია იმ საშუალებისადმი, რომელიც უშუალოდ არ აკმაყოფილებს მის მოთხოვნილებას, ეს მოქმედება, როგორც არსებობისათვის ობიექტური აუცილებლობა, თვითაა სოციალური მოთხოვნილება. ხოლო თვით მოთხოვნილების ბუნება არ იცვლება, როგორც კ. მარქსი მიუთითებს, იმის მიხედვით, მიმართულია ეს მოქმედება მოხმარების საგანზე თუ არა. მოქმედების შედეგი პირდაპირ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას თუ არაპირდაპირ როგორც წარმოების საშუალება.

11. მოთხოვნილება და ინტერესი

როგორც დავინახეთ, ყველა ფსიქიკური მოვლენა პირდაპირ ან არაპირდაპირ მოთხოვნილებებითაა განპირობებული. მოთხოვნილებების საფუძველზე წარმოიშობა ინტერესები, სურვილები, მისწრაფებები, ვნებები, მიდრეკილებები, გრძნობები, ემოციები, მიზნები, და ა. შ. მოთხოვნილებამ წარმოშვა ისეთი ფუნქციები, როგორიცაა აზროვნება, მეტყველება, მეხსიერება, და სხვ.

მოთხოვნილებების საფუძველზე წარმოშობილ ყველა ეს ქიკურ ფუნქციასა და მოვლენას განვითარების საკუთარი კანონზომიერებანი გააჩნია. ვარკვეულ ფარგლებში ისინი შეფარდებით დამოუკიდებლობას ღებულობენ და უკუზემოქმედებას ახდენენ მის წარმომშობ მიზეზებზე.

ადამიანის მოქმედების ფაქტორთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ინტერესი, რადგან იგი მოთხოვნილების საფუძველზე წარმოშობილ მოვლენებს შორის ადამიანის მოქმედების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ფაქტორია.

ინტერესის პრობლემა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. მისი წარმოშობის, ბუნებისა და არსების შესახებ დღემდე არ არსებობს ერთიანი აზრი.

ძირითადი საკითხები, რომლებიც ინტერესის შესახებ კამათის საგანს წარმოადგენენ, ასეთია: რა დამოკიდებულებაა ინტერესსა და მოთხოვნილებას შორის — მოთხოვნილება წარმოშობს ინტერესს თუ, პირიქით, ინტერესი — მოთხოვნილებას: ინტერესი სუბიექტური კატეგორიაა, თუ ობიექტური; რა როლი ენიჭება მას ინდივიდებისა და საზოგადოების ცხოვრებაში: შეიძლება თუ არა ჩაითვალოს იგი მოქმედების მოტივად და სხვა.

ყველა მკვლევარი, რომლებიც ინტერესის პრობლემას ეხებიბა, მას ასე თუ ისე ადამიანის მოთხოვნილებას უკავშირებს.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ინტერესს ყოველთვის განიხილავენ მოთხოვნილებასთან, როგორც ქცევის ძირითად ფაქტორთან, კავშირში. „წმინდა ოჯახში" გვხვდება კ. მარქსი და ფ. ენგელსის მსჯელობა ისტორიის მატერიალისტური გაგების, მოთხოვნილებისა და ინტერესის როლის შესახებ საზოგადოებისა და ინდივიდის ცხოვრებაში. მარქსიზმის ფუძემდე-

ბლები ბაუერს იმისათვის აკრიტიკებენ, რომ იგი ადამიანს აბსტრაქტულად განიხილავს. ბაუერისათვის ადამიანი მოკლებულია მოთხოვნილებებს მის გარეთ არსებული საგნების მიმართ, სრულყოფილად მხოლოდ თავისი თავის შიგნით არსებობს, არავითარ დამოკიდებულებაში არ იმყოფება გარესამყაროსთან.

სინამდვილეში ადამიანი ყოველი თავისი გრძნობით რწმუნდება, რომ მის გარეშე არსებობს სამყარო, რომელზედაც დამოკიდებულია მისი არსებობა. ამასთან, მისი არსების ყოველი გამოვლინება, მისი ყოველი თვისება, ყოველი სასიცოცხლო ბისწრაფება იქცევა მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ებ ა დ, საჭიროებად, რაც თავისი თავის სიყვარულს აქცევს მის გარეთ არსებული სხვა საგნებისა და სხვა ადამიანებისადმი სიყვარულად[1]. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა გვიჩვენეს, თუ როგორ ხდება რეალური ინდივიდი ადამიანთა საზოგადოებაში საზოგადოებრივ ადამიანად ბუნებრივი აუცილებლობისა და საზოგადოების მიერ ისტორიულად შემუშავებული ნორმების მეოხებით, როგორ აიძულებენ ადამიანს სასიცოცხლო მოთხოვნილებები მუდმივად მიმართოს ბუნებას და სხვა ადამიანებს. ადამიანებს შეუძლიათ იცხოვრონ და დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნილებები მხოლოდ ბუნებასთან და სხვა ადამიანებთან ურთიერთობით. სასიცოცხლო მოთხოვნილებები ადამიანს მოქმედებისათვის აღძრავენ. ამ უკანასკნელის მიზანს ყოველთვის რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილება წარმოადგენს. მაგრამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება და წესი, თავის მხრივ, განისაზღვრება ობიექტურად მოცემული ბუნებრივი გარემოსა

[1] იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 2, გვ. 134.

და საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებით. შრომის საზოგადოებრივმა დანაწილებამ, კერძო საკუთრების წარმოშობამ და სასაქონლო წარმოებამ შექმნა ცხოვრების ისეთი პირობები, როცა ინდივიდის მოთხოვნილებები და მათი დაკმაყოფილების საგნები დაშორებული აღმოჩნდნენ ერთიმეორისაგან არა მარტო სივრცეში, არამედ სოციალურადაც.

ინდივიდმა შრომის დანაწილების მოცემული სისტემის, განაწილებისა და გაცვლის გაბატონებული წესის პირობებში მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის საჭირო პროდუქტები რომ მიიღოს, აუცილებელია ბუნებასთან და სხვა ადამიანებთან სხვადასხვა პროცესებით გაშუალებული ურთიერთობა დაამყაროს. პირველ შემთხვევაში იგი აწარმოებს საგანს, რომლის სახმარი ღირებულებაც უნდა შეესატყვისებოდეს სხვა ადამიანების საჭიროებას, მოთხოვნილებას. მეორე შემთხვევაში იგი თავის შრომას ცვლის სხვა შრომაზე, რომლის მოთხოვნილებაც თვითონ მას გააჩნია. განვითარებული კაპიტალისტური წარმოების დროს კავშირი ინდივიდის მოთხოვნილებასა და მისი დაკმაყოფილების საგნებს შორის კიდევ უფრო რთულდება და მეტად გაშუალებული ხდება. ინტერესი, როგორც სოციალური მოვლენა, სწორედ მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების სოციალურად გაშუალებული ობიექტური პროცესების შედეგად წარმოიშობა.

მოთხოვნილება მხოლოდ მაშინ წარმოშობს ინტერესს, როდესაც იგი უშუალოდ არ კმაყოფილდება, როდესაც მისი დაკმაყოფილება რაიმე დაბრკოლებას აწყდება სუბიექტური ან ობიექტური ფაქტორებისაგან. უშუალოდ დაკმაყოფილებული

მოთხოვნილება ინტერესს არ წარმოშობს. დაკმაყოფილება მოცემულ ეტაპზე ნიშნავს თვით მოთხოვნილების ლიკვიდაციას. მაგრამ თუ იგივე მოთხოვნილება რეგულარულად მეორდება და მისი დაკმაყოფილება მუდმივ პროცესად იქცევა, ამ შემთხვევაში ინდივიდს უჩნდება მუდმივი სწრაფვა, ინტერესი აღნიშნული მოთხოვნილების დაკმაყოფილების საგანსა და საშუალებებზე. მაგალითად, მატერიალური ინტერესი ნიშნავს სწრაფვას მატერიალური პირობების გაუმჯობესებისადმი, რაც სხვადასხვა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებაა. მატერიალური ინტერესი წარმოადგენს ძირითად ინტერესს, რომელიც საფუძვლად ედება კლასებისა და ცალკეული ინდივიდების პოლიტიკურ, ეკონომიურ და იდეოლოგიურ ბრძოლას.

კლასობრივი ბრძოლა, როგორც არაერთგზის მიუთითებენ მარქსიზმის კლასიკოსები, სხვადასხვა კლასის ინტერესთა შეჯახების გამოვლინებაა, რომლის უკანაც სოციალურად განსაზღვრული მოთხოვნილებები დგას. ინდივიდებისა და კლასების მამოძრავებელი ძალა საბოლოოდ ცხოვრების მატერიალური პირობები, მატერიალური ცხოვრების წარმოება და კვლავწარმოებაა. ყველა დანარჩენი სოციალური და ფსიქიკური მოვლენა, რომლებიც გარკვეულ როლს ასრულებენ ამ მოძრაობაში, ცხოვრების მატერიალური პირობებით განისაზღვრებიან.

ცხოვრების მატერიალური პირობები სხვადასხვა მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილების საშუალებას წარმოადგენს. ამიტომ ეკონომიური ურთიერთობები ინტერესის სახით ვლინდება. ფ. ენგელსის მითითება იმის შესახებ, რომ „ყოველი მოცემული საზოგადოების ეკონომიური ურთიერთობები ყვე-

ლაზე ადრე ვლინდება როგორც ინტერესი"[1], ზოგიერთი მკვლევარის მიერ გაგებულია არასწორად. თითქოს თვით ეკონომიური დამოკიდებულება იყოს ინტერესი. ფ. ენგელსი სრულიად გასაგებად მიუთითებს. რომ დამოკიდებულებები კი არ წარმოადგენენ ინტერესს, არამედ ისინი ვლინდებიან როგორც ინტერესი.

ამრიგად. ინტერესი ყოველთვის მოთხოვნილების საფუძველზე წარმოიშობა და მისი დაკმაყოფილების საშუალებებისადმია მიმართული. ადამიანის მოქმედებას, საბოლოოდ, აღძრავს არა ინტერესი, არამედ მოთხოვნილებები. ინტერესი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შუალედი პროცესია. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ კ. მარქსი მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილებას კომუნიზმის ძირითად შინაარსად და მიზნად თვლიდა. კომუნისტური საზოგადოება გულისხმობს პროდუქტების განაწილებას არა ინტერესების, არამედ მოთხოვნილებების მიხედვით.

მკვლევართა ერთი ნაწილი ინტერესის დახასიათების დროს ხშირად ერთიმეორეში ურევს სხვადასხვა სუბიექტის ან ერთი და იმავე სუბიექტის სხვადასხვა ინტერესებს, რის შედეგადაც პრობლემად აყენებს საკითხს — ინტერესი სუბიექტური კატეგორიაა, თუ ობიექტური. რა თქმა უნდა, ინტერესი ყოველთვის გარკვეულ სუბიექტს გულისხმობს. ინტერესის სუბიექტი შეიძლება იყოს ცალკეული პიროვნება, კოლექტივი, კლასი, ერი, საზოგადოება და ა. შ. შესაბამისად ამისა ინტერესები,

---

[1] იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 18, გვ. 271.

ისევე როგორც მოთხოვნილებები, სხვადასხვაგვარია: პირადი, კოლექტიური, კლასობრივი, ეროვნული, საზოგადოებრივი და ასეთ. ყოველი სუბიექტისათვის მისი საკუთარი ინტერესი სუბიექტურად არსებობს, ხოლო ცალკეული ინდივიდებისათვის კოლექტივის, კლასის, ერის, საზოგადოების და სხვა ინტერესები ობიექტურად არსებობენ და ზემოქმედებას ახდენენ მასზე როგორც სოციალური გარემოს ელემენტებ ფაქტორები.

ინტერესის ბუნებას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ობიექტური საგანები და ბიოლოგიური ორგანიზმები წარმოადგენენ, რომლებიც გამოდიან როგორც მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებები. მაგალითად, ინტერესს ორი მხარე გააჩნია — მოთხოვნილება და მისი დაკმაყოფილების საშუალებები. მოთხოვნილება ინტერესის სუბიექტური მხარეა, ხოლო მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებები — ობიექტური. ამიტომ ინტერესი სუბიექტ-ობიექტური და ობიექტურის ერთიანობაა.

არსებობს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესი. როგორც კ. მარქსი მიუთითებს, საერთო ინტერესი არსებობს სინამდვილეში იმ ინდივიდების ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე, რომელთა შორისაც განაწილებულია შრომა. ყოველი ინდივიდი ითვალისწინებს მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საჭიროებს ის გარემე არსებულ საგანს. ადამიანი სოციალური არსებაა. ამიტომ მისი მოთხოვნილებაც და მოთხოვნილების დაკმაყოფილების საგანიც სოციალურია. ადამიანი არ არსებობს სხვა ადამიანების, საზოგადოების გარეშე. საზოგადოება ადამიანის არსების ძალების ჩამოყალიბებისა და დადასტურების

ერთადერთი პირობაა. გახსაკუთრებულ სოციალურ პირობებში, ადამიანთა ურთიერთობაში წარმოიშობა ინდივიდების, კოლექტივების, კლასების, საზოგადოების საერთო ინტერესი. ამ საერთო ინტერესის გარდა არსებობს კონკრეტული, მხოლოდ ინდივიდისათვის დამახასიათებელი ინტერესები. ეს ინტერესები განსაზღვრულია ყოველი ადამიანის ცხოვრების სპეციფიკური პირობებით.

მაშასადამე, ცალკეულ ინდივიდებს აქვთ როგორც საერთო, ისე პირადი ინტერესები. ამასთან, განსაზღვრული აზრით, თვით უაღრესად პირადი ინტერესიც კი მეტ-ნაკლებად საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს, რადგან ყოველი ინდივიდი, როგორც უკვე ითქვა, ამავე დროს საზოგადოებრივი არსებაც არის.

ინტერესი წარმოიშობა გარემოსთან, როგორც მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებასთან დამოკიდებულებაში. ინტერესი მოთხოვნილების შემდგომი ეტაპია. ეს აზრი კარგად გამოხატა ა. გ. ზდრავომისლოვმა, რომელიც ადამიანის მოქმედების სტრუქტურას, მექანიზმს ასეთნაირად აყალიბებს:

აუცილებლობა — მოთხოვნილება — ინტერესი — მიზანი — თავისუფლება[1].

მოცემული სტრუქტურიდან სწორად მიგვაჩნია მხოლოდ ის, რომ მოთხოვნილება წინ უსწრებს ინტერესს, რაც შეეხება მთლიანად მოქმედების მექანიზმს, სქემას, ვფიქრობთ, იგი მიუღებელია. ამ სქემის მიხედვით მოქმედება აუცილებლობით განისაზღვრება, რაც, ჩვენი აზრით, არასწორია, რადგან: 1. თუ

---

[1] იხ. А. Г. Здравомыслов, Проблема интереса в социологической теории, გვ. 72.

ძალადობაშია მოქმედების სუბიექტური აუცილებლობა, ასეთ შემთხვევაში იგი მოთხოვნილებისა და ინტერესის შემდგომი ეტაპია, ვინაიდან ესა თუ ის მოქმედება სუბიექტურ აუცილებლობად იქცევა მოტივაციის ეტაპის შემდეგ; 2. თუ ძალადობაშია მოქმედების ობიექტური აუცილებლობა, მაშინ უნდა შევნიშნოთ, რომ ადამიანის ესა თუ ის აქტიურობა, მოქმედება ყოველთვის არ გამომდინარეობს ობიექტური აუცილებლობიდან. როდესაც მოქმედების მოტივი განსაზღვრულია ობიექტური აუცილებლობით და ამასთან გამოდის როგორც სუბიექტური აუცილებლობა, ეს იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ცოდნით და, მაშასადამე, საქმე გვაქვს ნებისყოფის თავისუფლებასთან. მაგრამ არავითარ ეჭვს არ იწვევს ისიც, რომ ადამიანის ნებისყოფა და მოქმედება ყოველთვის არ გამომდინარეობს მოქმედების ობიექტური აუცილებლობიდან და ყოველთვის არაა თავისუფალი; 3. თუ აუცილებლობაში იგულისხმება ის, რომ მოთხოვნილება და მის მიერ გამოწვეული მოქმედება დეტერმინირებულია აღზრდითა და გარემოთი, მაშინ უფრო სწორი იქნებოდა ნაცვლად კატეგორიისა „აუცილებლობა“ ამ შემთხვევაში გვეხმარა კატეგორია „გარემო“, რომლის ზეგავლენითაც ყალიბდება ადამიანის მოთხოვნილებებიცა და ინტერესებიც.

გარემო ზემოქმედებას ახდენს ინდივიდზე როგორც ფსიქო-ფიზიკურ მთლიანობაზე და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წარმოშობს მასში მოთხოვნილებას. ეს მოთხოვნილება, თავის მხრივ, გაცნობიერების შემდეგ გარკვეულ პირობებში მიზნად იქცევა, გაივლის მოტივაციის პროცესს, წარმოშობს მოქმედების მოტივს და გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება გულისხმობდეს როგორც მოცემული მოთხოვნილების

კმაყოფილებას, ასევე მისი დაკმაყოფილებისაგან თავი შეკავებას.

ა. გ. ზდრავომისლოვის სქემაში მოტივაციის პროცესი — დამოუკიდებელი მოქმედების სპეციფიკური აქტი — სრულიად გამოტოვებულია. მისი სქემის მიხედვით მოთხოვნილება უშუალოდ გადადის ინტერესში, ინტერესი — მიზანში, ხოლო ეს უკანასკნელი — თავისუფლებაში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, ჯერ ერთი, ყველა მოთხოვნილება არ გადადის ინტერესსა და მიზანში; მეორეც, თავისუფლება მოტივითა და გადაწყვეტილებით განპირობებული მოვლენაა, რამაც მოცემულ სქემაში ვერ პოვა სათანადო ადგილი; მესამე, ამ სქემის მიხედვით მიზანი გადადის თავისუფლებაში, მაშინ როდესაც ყოველი მიზანი არ განაპირობებს თავისუფლებას. და საერთოდ, ბიჰევიორიზმის ფუძემდებლების მიხედვით ნებისყოფის თავისუფლების საკითხი წყდება მოტივაციის პროცესში გადაწყვეტილების მიღების შედეგად. „...თავისუფლება ნიშნავს მხოლოდ საქმის ცოდნით გადაწყვეტილების მიღების უნარს"[1]. „თავისუფლება შეცნობილი აუცილებლობაა".

ზემოაღნიშნულ სქემაზე მკითხველის ყურადღება იმისათვის შევაჩერეთ, რომ დასახელებული წიგნი ინტერესის პრობლემაზე გამოქვეყნებული შრომებიდან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია.

ყველა, ვინც კი ინტერესის პრობლემას ებება, სრულიად სამართლიანად აღიარებს, რომ ინტერესს საფუძვლად მოთხოვნილებები უდევს. მაგრამ როდესაც ინტერესის დახასიათებაზე გადადიან, ინტერესს მიაწერენ იმ თვისებებს, რომლებიც

ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 136.

მხოლოდ მოთხოვნილებისათვისაა დამახასიათებელი. ამის მიზეზი ის არის, რომ ინტერესის კატეგორია მკვეთრად არაა გამიჯნული მოთხოვნილებისაგან. მართალია, მათ ბევრი საერთო ახასიათებთ, მაგრამ ინტერესი მაინც მოთხოვნილებისაგან განსხვავებული კატეგორიაა.

მოთხოვნილება ყოველთვის გულისხმობს მოხმარებას, სულ ერთია როგორი იქნება იგი — მატერიალური თუ სულიერი. ინტერესი კი უშუალოდ მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებებისადმია მიმართული. მაგალითად, მატერიალური ინტერესი ნიშნავს ადამიანის მიმართულებას სხვადასხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მატერიალური საშუალებებისადმი, პირობებისადმი. შრომა, როგორც აუცილებლობა, არსებობის ინტერესიდან გამომდინარეობს.

მოთხოვნილებას დაკმაყოფილება მხოლოდ მოხმარების შედეგად ეძლევა, ინტერესი კი ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებათა და პირობათა მოპოვებით კმაყოფილდება. მაგალითად, მატერიალური ინტერესი კმაყოფილდება მატერიალური პირობების გაუმჯობესებით, ხოლო მატერიალური მოთხოვნილებები — მატერიალური საგნების მოხმარებით.

მოთხოვნილება ინტერესის წარმოშობის საფუძველია, ხოლო ინტერესის დაკმაყოფილება მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობაა. ამიტომ ინტერესის დაკმაყოფილება, მისი გათვალისწინება ნიშნავს მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის პირობების შექმნას. პირადი მატერიალური დაინტერესება ნიშნავს პირველ რიგში მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მატერიალური პირობების (ხელფასი, პრემია, და სხვ.) ამაღლებას, ანუ შრომის მატერიალური შედეგით დაინტერე-

სებას. შრომას მორალური შედეგიც გააჩნია, მაგრამ შრომისადმი დაინტერესების პირველად სტიმულს მატერიალური პირობები წარმოადგენს. ხოლო როდესაც მატერიალურთან ერთად მორალური მოთხოვნილებებიც კმაყოფილდება, მაშინ საქმე გვაქვს მატერიალური და მორალური სტიმულების სწორად შეხამებასთან.

როდესაც პროდუქტები შრომის მიხედვით ნაწილდება, როდესაც ხელფასი მუშის არსებობის პირობას წარმოადგენს, მაშინ შრომა როგორი გმირობისა და დიდების საქმედაც უნდა ვაქციოთ, როგორც არ უნდა დავაფასოთ, თუ მისი შედეგი მატერიალურ ინტერესსაც არ აკმაყოფილებს, მუშისათვის ასეთ პირობებში ხანგრძლივად შრომა შეუძლებელი იქნება. ეს ჰქონდა სწორედ მხედველობაში ვ. ი. ლენინს, როდესაც მიუთითებდა, რომ არა უშუალოდ ენთუზიაზმზე დაყრდნობით, არამედ შრომის შედეგით გამოწვეულ ენთუზიაზმზე დაყრდნობით შეიძლება მხოლოდ კომუნისტური საზოგადოების აშენება.

მატერიალური ინტერესი მშრომელის მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პირობაა, მორალური ინტერესი კი მორალური მოთხოვნილებებისა. მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მორალური მოთხოვნილებების ფუნქციობის პირველად პირობას წარმოადგენს.

კომუნიზმის დროს პირადი მატერიალური ინტერესი კარგავს თავის ძალასა და მნიშვნელობას, რადგან არსებობის მატერიალური საშუალებანი ყოველ ადამიანს მოთხოვნილების მიხედვით ეძლევა. მას არ ესაჭიროება რაიმე ინდივიდუალური პირობების შექმნა ამ საშუალებათა მოპოვებისათვის. იგი უკვე ყველასათვის ერთნაირად მოპოვებულია. კომუნიზმის

დროს ადამიანის მოთხოვნილებებსა და მისი დაკმაყოფილების საგნებს შორის პირდაპირი კავშირი მყარდება. ადამიანის უმაღლეს მოთხოვნილებად იქცევა საკუთარი უნარების გამოვლინება და დადასტურება, სიცოცხლის ადამიანური გამოვლინება როგორც შინაგანი აუცილებლობა, როგორც საჭიროება, მოთხოვნილება[1]. ამრიგად, მატერიალური ინტერესი წარმოიშობა და მოქმედებს მხოლოდ კომუნისტური საზოგადოების წინა ფორმაციებში და კომუნიზმის პირველ სტადიაზე, როდესაც განაწილება ხდება არა მოთხოვნილების, არამედ შრომის მიხედვით.

ინტერესზე მსჯელობის დროს ერთმანეთში არ უნდა ავრიოთ სხვადასხვა სუბიექტის ინტერესები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობს ინტერესი ჯგუფის, კლასის, საზოგადოებისა და სხვ., რომელიც თითოეული ინდივიდისათვის, როგორც სუბიექტისათვის, ობიექტურად არსებობს, გარემოში შედის და საბოლოოდ ეკონომიური ურთიერთობის შედეგია. ამიტომ წერს ენგელსი, რომ ეკონომიური ურთიერთობანი პირველ ეტაპზე ვლინდებიან როგორც ინტერესები, რომლებიც სუბიექტის შესაბამისი მოთხოვნილებების ზედნაშენს წარმოადგენენ. ამასთან, ეს ინტერესები ცალკეული ინდივიდების მოქმედებას უშუალოდ კი არ იწვევენ. არამედ გადატყდებიან მოთხოვნილებათა შინაგან სისტემაში, წარმოშობენ შესაბამის პირად ინტერესებს და ამგვარად მონაწილეობენ მოტივაციის პროცესში, ყოველი კონკრეტული მოქმედების მოტივის შემუშავებაში.

---

[1] იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, Из ранних произведений, გვ. 596.

საერთო ინტერესი პირად ინტერესად იქცევა მხოლოდ მაშინ, როდესაც საერთო საქმე რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებად გადაიქცევა (არა მხოლოდ ობიექტურად, არამედ სუბიექტურადაც) ინდივიდების შეგნებაში. მაგალითად, შრომის ნაყოფიერების გადიდება საერთო საქმეა, რომელიც სოციალისტურ საზოგადოებაში ობიექტურად თითოეული ადამიანის ინტერესშიც შედის. მაგრამ თუ შრომის ნაყოფიერების გადიდებაში მუშაკმა სუბიექტურადაც არ დაინახა პირადი ინტერესი, იგი ნაკლებ აქტიური იქნება ამ ამოცანის განხორციელებაში.

ადამიანის აქტიურობას პირადი ინტერესი წარმართავს, და როდესაც რაიმე საზოგადოებრივი ღონისძიების, ამოცანის გადაწყვეტაში იგი ამასთანავე პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილებასაც ხედავს, მაშინ საზოგადოებრივი ინტერესი პირად ინტერესად იქცევა.

ი დ ე ო ლ ო გ ი უ რ ი მ უ შ ა ო ბ ი ს ა მ ო ც ა ნ ა ც ს წ ო რ ე დ ი მ ა შ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ს, რ ო მ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ა მ ო ც ა ნ ე ბ შ ი, რ ო მ ლ ე ბ ი ც ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა შ ი ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ მ შ რ ო მ ე ლ თ ა ი ნ ტ ე რ ე ს ებ ს გ ა მ ო ხ ა ტ ა ვ ს, თ ი თ ო ე უ ლ მ შ რ ო მ ე ლ ს ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ ა ც დ ა ვ ა ნ ა ხ ო თ პ ი რ ა დ ი ა მ ო ც ა ნ ა დ ა პ ი რ ა დ ი ი ნ ტ ე რ ე ს ი. ეს იდეოლოგიური მუშაობის ცხოვრებასთან კავშირის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ა მ რ ი გ ა დ, საერთო ინტერესი მხოლოდ მაშინ იწვევს ადამიანის მოქმედებას, როდესაც იგი ამასთანავე პირად ინტერესადაც იქცევა. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ინტერესი არც

ამ გაგებით წარმოადგენს უკანასკნელ მამოძრავებელ ძალას. მარქსიზმის ფუძემდებლები, მართალია, დიდ როლს ანიჭებდნენ ინტერესს ადამიანის მოქმედებაში, მაგრამ ინტერესის საფუძვლად მათ მოთხოვნილებები მიაჩნდათ.

ინტერესი როგორც ინდივიდთა მამოძრავებელი ძალა სუბიექტური კატეგორიაა. რაც შეეხება კოლექტივის, კლასის, საზოგადოების და ა. შ. ინტერესს, იგი ცალკეული ინდივიდებისათვის ობიექტურად არსებობს საერთო ინტერესის სახით. საერთო ინტერესი მოიცავს პირად ინტერესს, მაგრამ მასზე არ დაიყვანება. საერთო ინტერესი გარკვეული ჯგუფის, კოლექტივის, კლასის თუ საზოგადოების ყველა წევრის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებისადმი დამოკიდებულებას გამოხატავს. მას ადამიანის მოქმედების გამოწვევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ იგი ამასთანავე პირად ინტერესადაც იქცევა.

მუშათა კლასის საერთო ინტერესად კაპიტალის ქვეყნებში რჩება ექსპლუატაციისაგან განთავისუფლება. მაგრამ მუშათა კლასი ყველა ქვეყანაში ერთნაირად არ იბრძვის ბურჟუაზიის დამხობისა და ექსპლუატაციისაგან განთავისუფლებისათვის. კიდევ მეტიც, ზოგიერთ მეტად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში მუშათა კლასი უფრო მეტ პასიურობას იჩენს სოციალისტური რევოლუციისადმი, ვიდრე ჩამორჩენილ ქვეყნებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ მუშათა კლასს ბურჟუაზიის წინააღმდეგ რაზმავს არა მხოლოდ ობიექტურად არსებული საერთო ინტერესი, არამედ მისი შეგნება და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პირად ინტერესად გადაქცევა.

მაშასადამე, თუ აკიღებთ ერთი და იმავე სუბიექტის მოთხოვნილებასა და ინტერესს, მოთხოვნილება ყოველთვის წინ უსწრებს ინტერესს. ინტერესი მოთხოვნილების გარეშე არ არსებობს, მოთხოვნილება კი არსებობს ინტერესის გარეშე. ინტერესი მოთხოვნილების საფუძველზე წარმოიშობა. თუ ავიღებთ სხვადასხვა სუბიექტს, მაგალითად, ერთი მხრივ, ინდივიდს და, მეორე მხრივ, კოლექტივს, კლასს ან საზოგადოებას, ინდივიდის როგორც მოთხოვნილებას, ასევე ინტერესს წინ უსწრებს კოლექტივის, კლასის ან საზოგადოების მოთხოვნილებები და ინტერესები, რომლებიც შესაბამისი დაწესებულებებია და ორგანიზაციებით ქმნიან გარემოს ინდივიდის მოთხოვნილებებისა და ინტერესების ფორმირებისათვის.

ინდივიდის ინტერესი ყალიბდება გარემოს ზემოქმედების შედეგად წარმოშობილი მოთხოვნილების საფუძველზე და წარმოადგენს ადამიანის, როგორც სუბიექტის, მიმართულებას რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ.

როგორც კ. მარქსი გვასწავლის, ადამიანები მოქმედებისას თავისი მედან გამოდიან, მაგრამ ყოველ მოქმედებაში მონაწილეობს საზოგადოებრივი და პირადი ინტერესები. X რაც უფრო განვითარებულია ადამიანი, მით უფრო მეტია მისი მოქმედების ფაქტორებს შორის საზოგადოებრივი ინტერესების როლი. X მაგრამ ეს ხდება მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესების პირად ინტერესებად გადაქცევის გზით. თუ საზოგადოებრივი ინტერესი პირად ინტერესად არ იქცა, თუ იგი პირდაპირ ან არაპირდაპირ ადამიანის რაიმე პირად მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს, ისე იგი ადამიანის მოქმედებაზე არსებით გავლენას არ ახდენს. „არავის არ შეუძ-

ლია გააკეთოს რაიმე, — წერდა კ. მარქსი, —ისე, თუ მას არ აკეთებს თავისი რაიმე მოთხოვნილების და ამ მოთხოვნილების ორგანოსათვის“.

როდესაც ადამიანები საზოგადოებრივ ინტერესს პირად ინტერესზე მაღლა აყენებენ, ეს წმინდა აზრის, იდეის გამარჯვება კი არ არის ადამიანის პირად მოთხოვნილებებსა და ინტერესებზე, არამედ საზოგადოებრივი ინტერესის პირად ინტერესად გადაქცევის შედეგია.

როგორც აღვნიშნეთ, საზოგადოებრივი ინტერესი ცალკეული ინდივიდების მიერ მხოლოდ მაშინ ხორციელდება, როდესაც იგი ამასთანავე პირადი ინტერესის განხორციელებასაც წარმოადგენს. ამიტომ ადამიანის კომუნისტური აღზრდა ნიშნავს არა იმას, რომ ის პირადი მოთხოვნილებებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ საზოგადოებრივი ინტერესებისათვის თავდადებული გავხადოთ, არამედ იმას, რომ საზოგადოებრივი ინტერესი მისთვის პირად ინტერესად იქცეს.

ზოგიერთ ჩვენს მკვლევარს მიაჩნია, რომ მაღალი კომუნისტური ზნეობის ადამიანი არ შეიძლება პირადი ინტერესის საფუძველზე მოქმედებდეს, თავისი თავიდან გამოდიოდეს. სინამდვილეში კომუნისტური ზნეობა გულისხმობს საზოგადოებრივი ინტერესის გადაქცევას ადამიანთა პირად საქმედ, პირად ინტერესად. კომუნისტური საზოგადოება კ. მარქსს წარმოდგენილი აქვს ისეთ საზოგადოებად, სადაც ადამიანის პირადი

მოთხოვნილებები რევულირებული იქნება პირადულად ქცეული საზოგადოებრივი მოთხოვნილებებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს შემდეგი პრაქტიკული დასკვნა: თუ ჩვენ გვინდა ადამიანის კომუნისტურ აღზრდაში წარმატებებს მივაღწიოთ, ამისათვის საჭიროა კომუნიზმის მაღალი იდეალები ცოდნიდან მოთხოვნილებად ვაქციოთ. მაღალი ზოგადოებრივი იდეალები, ინტერესები და მოთხოვნილებები პირად ინტერესებად და მოთხოვნილებებად უნდა განიცდებოდეს.

ამრიგად, საერთო ინტერესი, რომელიც ყოველი ინდივიდისათვის ობიექტურად არსებობს, სოციალური გარემოს ერთ-ერთი გადამწყვეტი კომპონენტია. საერთო ინტერესებმა ადამიანის შესაბამისი მოქმედება რომ გამოიწვიოს, ამისათვის იგი უნდა იქცეს ინდივიდის პირად ინტერესად, პირად საქმედ — როგორც ობიექტურად, ასევე სუბიექტურად. მაგალითად, სოციალიზმის დროს საერთო ინტერესი, საერთო საქმე ობიექტურად ამასთანავე ყოველი ინდივიდის პირადი ინტერესი და პირადი საქმეა. მაგრამ სუბიექტურად იგი საზოგადოების ყველა წევრის მიერ ყოველთვის ასეთნაირად არაა შეგნებული. სწორედ ამით აიხსნება ზოგიერთი არაჯანსაღი მოვლენა, რომლებიც ჩვენში ჯერ კიდევ გვხვდება შრომისადმი და სოციალისტური საკუთრებისადმი დამოკიდებულების საქმეში.

ინტერესი სუბიექტის მიმართულებაა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისადმი. ამიტომ ინტერესი კი არ არის მოქმედების პირველი სტიმული. არამედ მოთხოვნილება. ინტერესი უფრო მეტია, ვიდრე მოთხოვნილება. იგი მოიცავს სუბიექტის მოთხოვნილებასაც და მისი დაკმაყოფილების საშუალებასაც.

ასეთი საშუალებები ობიექტურად არსებობს სოციალურად განსაზღვრულ პირობებში, ამიტომ ინტერესი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ობიექტურ საშუალებებსაც მოიცავს. იგი ამავე დროს მიმართულია ამ საშუალებებისადმი. ინტერესი ერთმანეთთან აკავშირებს სუბიექტის მოთხოვნილებას და მისი დაკმაყოფილების ობიექტურ საშუალებებს. ამიტომ ინტერესი სუბიექტურისა და ობიექტურის ერთიანობაა.

ინტერესის სუბიექტურ მხარეს მოთხოვნილება წარმოადგენს (და არა მოტივი, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ), ობიექტურ მხარეს კი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება. ამიტომ ინტერესი არ არსებობს არც მოთხოვნილებისა და არც მისი დაკმაყოფილების საშუალების გარეშე.

ინტერესი არ არსებობს სუბიექტისაგან დამოუკიდებლად. სუბიექტის გარეშე არსებობს მხოლოდ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სოციალურად განსაზღვრული ობიექტური კანონზომიერებანი, ხოლო მათი შეცნობა და გამოყენება არის ინტერესის საგანი. სუბიექტის ინტერესი თვით სუბიექტისათვის არ შეიძლება ობიექტურად არსებობდეს. რა თქმა უნდა, ინდივიდისათვის კოლექტივის, საზოგადოების ინტერესი ობიექტურად არსებობს.

ანტაგონისტურ კლასობრივ საზოგადოებაში ერთი ადამიანი მეორის მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებაა. კერძო საკუთრებისა და შრომის საზოგადოებრივი დანაწილების მოსპობის შემდეგ ადამიანი, როგორც მეორე ადამიანისათვის მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება, კარგავს თავის მნიშვნელობას. ადამიანი ადამიანისათვის იქცევა მოთხოვნი-

ლების საგნად, საგნად, რომელშიაც იგი თავის არსების ძალებს ადასტურებს.

კერძო საკუთრების პირობებში ადამიანი თავის არსების ძალებს გასხვისებული (გაუცხოებული) შრომის შედეგში (საგნებში) ადასტურებს, რადგან აქ ადამიანთა ურთიერთობა საგნების ურთიერთობის სახეს ღებულობს. კომუნიზმის დროს ინტერესი თანამედროვე გაგებით დაკარგავს თავის შინაარსს. ადამიანებს შორის დარჩება ერთადერთი მოთხოვნილება— საკუთარი არსების ძალების დადასტურების მოთხოვნილება. ამიტომაც წერს ?არქსი, რომ კომუნიზმის დროს ყოველი ადამიანი შეიგრძნობს იმ უდიდეს სიმდიდრეს, რასაც წარმოადგენს სხვა ადამიანი[1], რადგან პოლიტიკურ-ეკონომიური სიმდიდრისა და პოლიტიკურ-ეკონომიური სიღარიბის ნაცვლად დგება მდიდარი ადამიანი და მდიდარი ადამიანური მოთხოვნილებები.

* *

მოქმედებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აღძრავს რაიმე მოთხოვნილება, რომლის შინაარსსა და დაკმაყოფილების წესს განსაზღვრავს გარემო.

ადამიანის მოთხოვნილება სოციალური მოთხოვნილებაა, იგი ცნობიერად არის მოცემული და დამოკიდებულების სახით არსებობს. მას გააჩნია წარსული, აწმყო და მომავალი. ცხოველის მოთხოვნილება კი მხოლოდ ბიოლოგიურია და აწმყოში არსებობს.

---

[1] იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, Из ранних произведений, გვ. 596.

ნებისმიერ მოქმედებას აქვს ფორმალური და შინაარსობრივი მხარე. ფორმალურ მხარეში იგულისხმება მოქმედების მექანიზმი, არსებით ფაქტორთა სისტემა, რომელიც საერთოა ყველა მოქმედებისათვის, როგორიც არ უნდა იყოს მათი შინაარსი.

ადამიანის მოქმედების მექანიზმში, სტრუქტურაში მუდმივმოქმედი არსებითი ფაქტორებია: გარემო — საგნობრივი მოთხოვნილება — მიზანი — მოტივაცია — მოტივი — გადაწყვეტილება — განწყობა — პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილება — მოქმედება.

აღნიშნული მექანიზმის ყველა რგოლი ურთიერთკავშირშია და ერთიმეორეზე ზემოქმედებს. მართალია, გარემო განსაზღვრავს მოთხოვნილებების წარმოშობას, მათ შინაარსსა და მოქმედების მიმართულებას, მაგრამ მოქმედება, თავის მხრივ, უკუზემოქმედებას ახდენს გარემოზე და გარკვეულ ფარგლებში ცვლის კიდეც მას. შეცვლილი გარემო წარმოშობს ახალ მოთხოვნილებებს, ახალი მოთხოვნილებები კი ახალ ინტერესებს, სურვილებს, მისწრაფებებს, ვნებებს, მიდრეკილებებს, მიზნებს და ა. შ.

ყოველი მოქმედება ინდივიდისა და გარემოს ურთიერთზემოქმედების პროცესია. ამ პროცესში გარდაქმნიან ადამიანები როგორც გარემოს, ისე თავიანთ თავსაც.

მოქმედების მექანიზმის აღნიშნულ ფაქტორთაგან თითოეული ზემოქმედებას ახდენს არა მარტო შემდგომ ეტაპზე, არამედ მის წარმომშობ მიზეზზედაც. მაგალითად, მიზანი, რომელიც გარკვეული მოთხოვნილების საფუძველზე წარმოიშობა,

თავად წარმოშობს ახალ მოთხოვნილებებს, რომლებიც აღნიშნული ეტაპების გავლის საშუალებით პრაქტიკულ მოქმედებას განაპირობებენ, ხოლო მოქმედება, უზრუნველყოფს რა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, თავის მხრივ, ახალ მოთხოვნილებებს წარმოშობს, ახალი მოთხოვნილებები კვლავ ახალ მიზნებსა და მოქმედებებს ედებიან საფუძვლად და ა. შ. უსასრულოდ.

ეს პროცესი ინდივიდების ჩამოყალიბების, მათი უნარების განვითარებისა და შემდგომი სრულყოფის საფუძველია. იგი ამავეთანავე საზოგადოების განვითარების საფუძველიცაა, რადგან საზოგადოების განვითარება ინდივიდთა განვითარების შედეგია და ადამიანთა საზოგადოებრივი ისტორიაც ყოველთვის მხოლოდ მათი ინდივიდუალური განვითარების ისტორიაა.

თავი II. მოქმედების მოტივის პრობლემა

I. მოტივაცია

ადამიანის ნებისმიერ მოქმედებას ყოველთვის წინ უძღვის რაიმე მოთხოვნილების წარმოშობა, რომელიც, მიაღწევს რა ცნობიერების ზღურბლს, აზრიანების ობიექტად იქცევა. გაცნობიერებული მოთხოვნილება პირდაპირ არ გადადის მოქმედებაში. სანამ ინდივიდი მოთხოვნილების საპასუხო მოქმედებას მიმართავდეს, მანამ იგი გაივლის მიზნის დასახვისა და მოტივაციის რთულ ფსიქოლოგიურ პროცესს, რომლის დროსაც ხდება ამა თუ იმ მოქმედების მოტივის შემუშავება.

მოქმედება, რომლის მოტივიც წარმოიშვა, ე. ი. რომელიც მოცემულ კონკრეტულ მომენტში აუცილებლად იქნა ცნობილი, შესაძლებელია მოტივაციის გამოიწვევი მოთხოვნილების და კმაყოფილებას ან მისგან თავის შეკავებას გულისხმობდეს. მოტივაცია ყოველთვის მისი წარმოშობი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სასარგებლოდ არ მთავრდება, რადგან აღნიშნული მოთხოვნილების გარდა მოტივაციის პროცესში სხვა ფაქტორებიც მონაწილეობენ.

როდესაც პიროვნებას გარემოსთან ურთიერთობაში რაიმე ახალი მოთხოვნილება უჩნდება. გაცნობიერების შემდგომ იგი წარმოშობს დაკმაყოფილების მისწრაფებას. ადამიანი წინასწარ, თავის თავში იდეალურად აკეთებს იმას, რაც პრაქტიკულად უნდა გააკეთოს. ამ პროცესში მოცემული კონკრეტული მოთხოვნილების გარდა ადამიანი აცნობიერებს მისი დაკმაყოფილების მოქმედებასთან დაკავშირებულ მოვლენებს, ცნობიერყოფს თავის დამოკიდებულებას შესაძლო სუბიექტურ და ობიექტურ შედეგებთან და მასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებულ მოთხოვნილებებს, ინტერესებს, მისწრაფებებს, სურვილებს, მიზნებს, განწყობებს, გრძნობებს, ემოციებს და ა. შ. ამასთან. მეტ-ნაკლებად ცნობიერყოფს არა მარტო კონკრეტულ გარემოს, რომელშიც წარმოიშვა აღნიშნული მოთხოვნილება, არამედ საერთოდ სოციალურ გარემოს, რომელშიც მას უხდება არსებობა როგორც ინდივიდსა და პიროვნებას. ერთი და იგივე მოთხოვნილება შეიძლება მრავალი სხვადასხვა მოქმედებით დაკმაყოფილდეს, მაგრამ მრავალთაგან თუ რომელს აირჩევს ადამიანი, ეს დამოკიდებულია მოტივაციის პროცესზე, მასში მონაწილე სხვა ფაქტორებზე.

ამრიგად, მოტივაციის პროცესში ადამიანი აცნობიერებს ამ პროცესის გამომწვევი მოთხოვნილების დაკმაყოფილების, დაკმაყოფილების საშუალებების, დაკმაყოფილების მოქმედებისა და შედეგების სუბიექტურ და ობიექტურ მხარეებს, რომლებიც მოტივაციის პროცესში მონაწილეობენ როგორც მოტივის ფაქტორები.

ახალი მოქმედების მოტივაციის პროცესში მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე სხვა მოქმედებების განწყობები და მო-

ტივები, მაგრამ ისინი ამ პროცესში მონაწილეობენ როგორც მხოლოდ ამ მოქმედების ფაქტორები. ამ ფაქტის გათვალისწინებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ადამიანის მოქმედებისა და მისი მოტივის სწორად გარკვევისათვის. მისი გაუთვალისწინებლობის შედეგია ის, რომ ფილოსოფოსების, ფსიქოლოგების, სოციოლოგების, იურისტების, პედაგოგების ნაწილი, რომლებიც მოტივაციის პრობლემას ეხებიან, ხშირად ამტკიცებენ, თითქოს ადამიანის ამა თუ იმ გადაწყვეტილებასა და მოქმედებას რამდენიმე მოტივი ედოს საფუძვლად, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს.

მოტივაციის პროცესს, როგორც აღვნიშნეთ, სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების მრავალმხრივი ურთიერთშეპირისპირება უდევს საფუძვლად. ეს ფაქტორები ერთი მთლიანი პროცესის ფაქტორებს წარმოადგენენ და დიალექტიკურ ერთიანობაში იმყოფებიან. თვალსაჩინოებისათვის მოვახდინოთ მათი დაჯგუფება სუბიექტურ და ობიექტურ მხარეებად და თითოეული მათგანი ცალ-ცალკე განვიხილოთ.

მოტივაციის სუბიექტური და ობიექტური მხარეები

სუბიექტური მხარე:	ობიექტური მხარე:
1. კონკრეტული საჭიროება. მოთხოვნილება როგორც სუბიექტის მდგომარეობა;	1. მოთხოვნილების დაკმაყოფილების საგანი;
	2. მოთხოვნილების დაკმაყოფილების საგნის დაუფ-

2. მოთხოვნილების სუბიექტური გარემო, ფონი — მოთხოვნილებათა შინაგანი სისტემა, სხვადასხვა ინტერესები, მისწრაფებები, სურვილები, მიზნები, გრძნობები, განწყობები, მოტივები, დამოკიდებულებები, მორალური, ინტელექტუალური, ესთეტიკური და სხვა ინდივიდუალური თვისებები და თავისებურებები, რომლებიც აძლიერებენ ან ასუსტებენ მოტივაციის გამომწვევი მოთხოვნილების დაკმაყოფილების იმპულსს;

3. სუბიექტის განკარგულებაში არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებები, შესაძლებლობები, უნარები;

4. მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა და დაკმაყოფილების მოქმედების ღირებულება, მნიშვნელობა სუბიექტისათვის.

ლების ობიექტური გარემო და კონკრეტული სიტუაცია, საზოგადოებრივი ურთიერთობანი, მოთხოვნილებები, ინტერესები, დამოკიდებულებები, ტრადიციები, საზოგადოებრივი აზრი, იურიდიული და მორალური ნორმები და სხვ., რომლებიც მიმართულებას აძლევენ მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოქმედების იმპულსს;

3. მოთხოვნილების დაკმაყოფილების ობიექტური და რეალურად არსებული გზები, საშუალებები და შესაძლებლობები;

4. მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა და დაკმაყოფილების მოქმედების ობიექტური საზოგადოებრივი ღირებულება, მნიშვნელობა სუბიექტის შეფასებით.

ყველა ეს დასახელებული სუბიექტური და ობიექტური ფაქტორი ბეტ-ნაკლები ძალით მონაწილეობს მოტივაციის პრო-

ცეს'ში; მათი ურთიერთზემოქმედების 'მედეგად მიიღება მოქმედების მოტივი, რომელიც თვისებრივად გახსნვავდება მოტივაციის პროცესში მონაწილე თითოეული ფაქტორისაგან.

მოტივაციის ყოველ კონკრეტულ მემთხვევა'ში აღნი'შნული ფაქტორები მეტ-ნაკლები სიცხადით აისახებიან ცნობიერებაში. ზოგიერთი მათგანი ცნობიერების ზღურბლსაც კი არ აღწევს, მაგრამ მაინც მონაწილეობს მოტივაციის პროცეს'ში. ამასთან, ადგილი აქვს მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოქმედების სასარგებლო და საწინააღმდეგო, სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების მრავალმხრივ 'მეპირისპირებას. ამ პროცეს'ში რომელიმე მათგანი მეტ-ნაკლები ძალით წამყვან როლს ასრულებს. მიუხედავად ამისა, მოტივი ამ შემთხვევაშიც არ 'მეიძლება დაყვანილ იქნეს ერთ რომელიმე ფაქტორზე, ვთქვათ, მოთხოვნილებაზე, ინტერესზე, ვნებებზე, გრძნობებზე, მოვალეობის შეგნებაზე და სხვ., ასეთი აზრი კი გამოთქმულია ჩვენს ლიტერატურაში.

რა თქმა უნდა, ყველა ეს მოვლენა მოტივის გამომუშავების პროცესში მონაწილეობს როგორც ფაქტორი, მაგრამ, ჩვენი აზრით, არც ერთი მათგანი თავისთავად მოტივს არ წარმოადგენს.

მოტივად შეიძლება იქცეს ან მოტივის როლში გამოვიდეს ახლოლად მოთხოვნილება, ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც მოტივაციის ეტაპის მრავალჯერ გავლის შედეგად ერთი და იმავე სუბიექტურ და ობიექტურ გარემოში მისი დაკმაყოფილება ჩვეად იქცევა და მოტივაციის პროცესის განმეორების გარეშე ავტომატურად გადადის მოქმედებაში. ასეთ შემთხვევაში მოთხოვნილებასა და მოქმედებას 'შორის მყარდება პირდაპირი და უმოკლესი კავშირი, ისევე როგორც ეს ხდება დროებითი კავშირე-

ზის აღმოცენებისას, პირობითი რეფლექსების შემუშავების დროს, რის საფუძველზეც მოთხოვნილება მოტივაციის პროცესის გარეშე უშუალოდ იწვევს მოქმედებას. მაგრამ თუ რაიმე არსებითი ცვლილება მოხდა მოთხოვნილების დაკმაყოფილების ჩვევის სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებში, საშინ მოტივაციის პროცესი კვლავ განახლდება და აღნიშნული მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოქმედება გარკვეულ შესწორებას განიცდის.

ერთი და იმავე მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოქმედება ერთი და იმავე სუბიექტურ და ობიექტურ პირობებში მრავალჯერ განმეორების შედეგად ჩვევაში გადადის. რაკი მოტივის როლში გარეგნულად უშუალოდ მოთხოვნილება გამოდის, ეს საფუძვლად ედება მცდარ შეხედულებას: ფიქრობენ, თითქოს მოთხოვნილება გარემოს ზეგავლენით უშუალოდ გადადის მოქმედებაში, როგორც იმპულსური მოქმედების დროს ცხოველებთან. ბევრი ჩვენი მკვლევარი ასეთ მოქმედებას არ თვლის ნებისმიერ მოქმედებად და მას იმპულსურ მოქმედებასთან აიგივებს. სინამდვილეში კი მოქმედება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოტივაციის ეტაპგავლილი მოთხოვნილება, არსებითად განსხვავდება იმპულსური მოქმედებისაგან. თუ ეს გარემოება არ იქნა გათვალისწინებული ადამიანის მოქმედების ანალიზის დროს, მოსალოდნელია სერიოზული შეცდომების დაშვება.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნილებასა და მოქმედებას შორის პირდაპირი კავშირი მყარდება და ჩვეული მოქმედება მოტივაციის პროცესის გარეშე ხორ-

ციელდება, მოტივაციის ეტაპი მოხსნილი სახითაა შემონახული.

ამრიგად, მოთხოვნილება ყველაზე ახლოსაა მოტივთან. მის გარეშე არ არსებობს მოტივაციის პროცესი და მოქმედება, მაგრამ მოთხოვნილებასა და მოტივს შორის მაინც არსებითი განსხვავებაა, რაც ერთმანეთისაგან მიჯნავს ადამიანის ნებისმიერი მოქმედების ცხოველური ინსტინქტური მოქმედებისაგან. ცალკეულია, მოტივაციის პროცესი უფრო ხშირად ერთი რომელიმე მოთხოვნილების საფუძველზე აღმოცენდება, მაგრამ ამ პროცესში, როგორც დავინახეთ, მონაწილეობს ადამიანის მთელი შინაგანი სისტემა, მთელი ფიზიკური და სულიერი ძალები, მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოქმედების სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები. მოქმედების მოტივი ძიიღება ყველა ამ ფაქტორის ურთიერთმოქმედების შედეგად.

ამრიგად, მოტივის წარმოშობის პირველ ეტაპებს ინსტინქტური ლება წარმოადგენს, მაგრამ მოთხოვნილებასა და მოტივს შორის არსებითი განსხვავებაა. მათ შორის დგას მოტივაციის რთული ფსიქოლოგიური პროცესი. მოთხოვნილება არის სუბიექტის რაიმე საჭიროების განცდის მდგომარეობა, ხოლო მოტივი არის ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების ან არდაკმაყოფილების შესატყვისი მოქმედების საფუძველი (დასებეთება, გამართლება) მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში, სუბიექტურ და ობიექტურ გარემოში.

ნებისმიერი მოქმედების მოტივი წარმოშობა მრავალი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორის ურთიერთზემოქმედების შედეგად. ამ ურთიერთზემოქმედებაში დადებითად ან უარყოფითად, ე. ი. მოქმედების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ მონაწილეობენ სხვა მოქმედების მოტივები, რომლებიც უკვე

შემუშავებული აქვს ადამიანს. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, მონაწილეობენ არა როგორც ამ მოქმედების მოტივები, არამედ როგორც ფაქტორები. მაშასადამე, მოტივაციის პროცესში მონაწილე სხვა მოქმედების მოტივი ახალი მოქმედებისათვის მოტივი კი არა, არამედ მოტივაციის ფაქტორია.

ზოგიერთ შემთხვევაში ემოციის საფუძველზე წარმოშობილი ძლიერი მოთხოვნილება სხვა ფაქტორების დომინირებას ახდენს და იგი მოტივაციის პროცესის ან სხვა ფაქტორების მნიშვნელობის სრულყოფილად გათვალისწინების გარეშე გადადის მოქმედებაში, რასაც აფექტურ მოქმედებას უწოდებენ. ეს მოქმედება უახლოვდება იმპულსურ მოქმედებას.

მოქმედების მოტივაცია აზროვნების პროცესია და მოტივიც იდეალური მოვლენაა, ამიტომ ადამიანებს ექმნებათ შთაბეჭდილება, თითქოს მათი მოქმედების საბოლოო მიზეზს აზროვნება, იდეალური მოტივები წარმოადგენენ, რაც, როგორც ფ. ენგელსი მიუთითებს, ადამიანის მოქმედების იდეალისტურ ახსნას ნიშნავს.

მართალია, მოტივაცია აზროვნების პროცესია, მაგრამ, ჯერ ერთი, მოქმედების მოტივი მარტო სუბიექტური ფაქტორებით არ განისაზღვრება. მის ჩამოყალიბებაში ყოველ კონკრეტულ მომენტში გადამწყვეტ როლს ობიექტური გარემო ასრულებს; მეორეც, მოტივაციის სუბიექტური ფაქტორები — მოთხოვნილებები, ინტერესები, სურვილები, მისწრაფებები და სხვა, რომლებიც ცნობიერების შინაარსის სახით წარმოგვიდგება, გარემოს ზემოქმედების შედეგია.

მოტივაციის დროს ადამიანი მოქმედებს ცნობიერებაში წარმოდგენილ, მაგრამ ობიექტურად არსებულ გარემოში. მო-

ქმედების მთელი პროცესი, სანამ მას პრაქტიკული მსვლელობა მიეცემოდეს, იდეალურად წინასწარ თავში სრულდება, ხოლო ყოველი პრაქტიკული მოქმედება, ისევე როგორც შრომის პროცესი, მთავრდება შედეგით, რომელიც წინასწარ იდეალურად გონებაში იყო მოცემული.

მოტივაციის პროცესის დროს ადამიანი მოქმედებს იდეალურად მოცემულ ობიექტურ გარემოში როგორც ფსიქო-ფიზიკური მთლიანობა, მისი არსების ძალებით, უნარებით, მოთხოვნილებებით, ინტელექტუალური, მორალური, ესთეტიკური, ფიზიკური და სხვა თვისებებითა და თავისებურებებით. რომლებიც თავიანთ გარეგან თვალსაჩინო დადასტურებას პოულობენ პრაქტიკული მოქმედების პროცესსა და მოქმედების შედეგში, ე. ი. საგნობრივად მოცემულ სინამდვილეში.

ადამიანზე, მსგავსად ცხოველისა, მართალია, მოქმედებს უშუალო, მხედველობის ველში არსებული, ფიზიკურად მოცემული გარემო, მაგრამ ცხოველისაგან განსხვავებით ადამიანის გარემო ამასთანავე სოციალურია. რეალურად არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობები ცნობიერებაში აისახება. ძირითადად სწორედ ეს ცნობიერებაში ასახული სოციალური გარემო ახდენს ადამიანის მოქმედების რეგულაციას, მისი ქცევის ამა თუ იმ მიმართულებით წარმართვას. და ეს ხდება მით უფრო მეტად, რაც უფრო ამაღლებულია ადამიანი ცხოველური მდგომარეობიდან.

აზროვნება და ცნობიერება, როგორც დავინახეთ, მოტივის უბრალო გამტარს როდი წარმოადგენენ. ისინი აქტიურად მონაწილეობენ მოტივის ფორმირებაში. აზროვნებისა და ცნობიე-

რების გარეშე არ არსებობს მოტივაციის პროცესი. როდესაც მოთხოვნილება ცნობიერების ფაქტად იქცევა, თავის მხრივ, ცნობიერებას სინათლე და გარკვეულობა შეაქვს მის შინაარსში, დამოკიდებულებაში მოჰყავს იგი მოქმედების სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებთან (იხ. მოტივაციის სქემა), რის შედეგადაც წარმოიშობა მოქმედების მოტივი და ესა თუ ის მოქმედება სუბიექტისათვის აუცილებლობად იქცევა. მ ო ტ ი ვ ი ამ ა თ უ ი მ მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა ა მ ო ც ე მ უ ლ გ ა რ ე მ ო შ ი, ს ი ტ უ ა ც ი ა შ ი.

მოტივაციის პროცესი მთავრდება მოტივის შემუშავებით და გადაწყვეტილების მიღებით, რის შედეგადაც სუბიექტი თავისუფლდება შინაგანი ფსიქოლოგიური დაძაბულობისაგან. მთელი ამ პროცესის შედეგი ისაა, რომ სუბიექტს ექმნება გარკვეული მოქმედების გ ა ნ წ ყ ო ბ ა, რომელიც თავის მხრივ, წარმოშობს რა მოქმედების მოთხოვნილებას, უშუალოდ განიცდის რეალიზაციას ან გადადის ფარულ პერიოდში და ათავისუფლებს ცნობიერებას.

მოთხოვნილების დაკმაყოფილების სასარგებლო და საწინააღმდეგო, სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთშეპირისპირება მოტივაციის ეტაპზე მრავალმხრივ მეორდება იმის მიხედვით, თუ როგორი სიძნელეების წინაშე დგას სუბიექტი. მაგრამ განწყობის რეალიზაცია, გადაწყვეტილების შესრულება უმტკივნეულოდ ხდება, თუ გადაწყვეტილება საქმის ცოდნითაა მიღებული, თუ ნებისყოფა თავისუფალია. როგორც ფ. ენგელსი მიუთითებს, ნებისყოფის აქტი გადაწყვეტილების მიღებაში მდგომარეობს და ნებისყოფის თავისუფლებაც საქმის ცოდნით გადაწყვეტილების მიღებაა.

გადაწყვეტილება აუცილებლობით სრულდება, თუ იგი ყველა ფაქტორის გათვალისწინებითაა მიღებული. მაგრამ შესაძლებელია გადაწყვეტილების შესრულების პროცესში წამოიჭრას ისეთი ფაქტორი, რომელიც მოტივაციის პროცესში არ იყო გათვალისწინებული სუბიექტის მიერ. ამ შემთხვევაში სუბიექტი კვლავ უბრუნდება მოტივაციის პროცესს და შესწორება შეაქვს მიღებულ გადაწყვეტილებაში, ან ტოვებს მას წინანდელ მდგომარეობაში იმის მიხედვით, თუ როგორი ახალი ფაქტორი დაემატა მოტივაციის პროცესს.

2. მოტივი და გადაწყვეტილება

მოტივაცია ადამიანის ნებისმიერი მოქმედების სპეციფიკური, არსებითი და მთავარი ეტაპია, ამიტომ ზოგიერთი მკვლევარი როგორც საზღვარგარეთ, ისე ჩვენს ქვეყანაში, ვფიქრობთ, სამართლიანად მიიჩნევს მოტივაციის პრობლემას ნებისმიერი მოქმედების პრობლემად.

მოტივაციის პროცესი, როგორც აღვნიშნეთ, ყოველთვის რაიმე კონკრეტული მოთხოვნილების გაცნობიერებით იწყება და მოტივის შემუშავებით მთავრდება, რასაც აუცილებლობით მოჰყვება ამა თუ იმ მოქმედების გადაწყვეტილება. მ ო ტ ი ვ ს ა დ ა გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ებ ას შ ო რ ის ა რ ა ვ ი თ ა რ ი შ უ ა ლ ე დ ი ა რ ა რ ი ს. მ ო ტ ი ვ ი ი ს ე უ შ უ ა ლ ო დ გ ა დ ა დ ი ს გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ებ ა შ ი, რ ო მ ხ შ ი რ ა დ შ ე უ მ ჩ ნ ე ვ ე ლ ი ც კ ი ხ დ ებ ა, თ უ ს ა დ მ თ ა ვ რ დ ებ ა მ ო ტ ი ვ ი დ ა ს ა დ ი წ ყ ებ ა გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ებ ა. მოტივი გადაწყვეტილების საფუძველია. გადაწყვეტილება არ არსებობს მოტივის გარეშე. მაგრამ, თავის

მხრივ, არც მოტივი არსებობს გადაწყვეტილების გარეშე. ყოველ მოტივს თავისი შესატყვისი გადაწყვეტილება ახლავს.

მოტივს საიდუმლოებით მოცული თავისი შინაარსი გააჩნია, რომლის გახსნაც ნიშნავს ადამიანის შინაგან სამყაროში შეხედვას. მოტივში მოცემულია ინდივიდის საზოგადოებრივ-ისტორიული განსაზღვრულობა, მოქმედების განპირობებულობა, ადამიანის ფსიქოლოგია. მისი ფსიქო-ფიზიკური მთლიანობა. პიროვნება არსად არ არის ისე ნათლად და სრულად მოცემული, როგორც მოქმედების მოტივში. ადამიანის აღზრდა ნიშნავს მისი მოქმედების მოტივების ფორმირებას. კომუნისტური აღზრდა შეუძლებელია საზოგადოებრივად სასარგებლო მოქმედების მოტივების ფორმირების გარეშე.

მოტივის პრობლემა ადამიანის მოქმედების ახსნის კარდინალური საკითხია, რადგან ყოველი მოქმედების გადაწყვეტილების უშუალო საფუძველს მოტივი წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, მოტივის არსება და მისი წარმოშობის მექანიზმი ჯერ კიდევ სრულყოფილად არაა გამოკვლეული. ერთნი მოტივად მიიჩნევენ მოთხოვნილების ობიექტს, საგანს, რომლის დაუფლებისაკენაც ისწრაფვის ადამიანი; მეორენი მოტივს უწოდებენ სტიმულების ერთიანობას; მესამენი მოტივს აიგივებენ ადამიანის ისეთ თვისებებთან, როგორიცაა: მოთხოვნილება, ინტერესი, სურვილი, გრძნობები, ვნებები, მოვალეობის შეგნება, მიზანი და ა. შ.

ჩვენი აზრით, არც ერთი მათგანი არ არის სწორი.

მკვლევართა დიდი უმრავლესობა მოტივს განსაზღვრავს როგორც ადამიანის სუბიექტურ დამოკიდებულებას თავისი ქცე-

ვისადმი, მოქმედებისადმი[1]. ვფიქრობთ, ეს თვისება არ გამოხატავს მოტივის არსებით ნიშანს, სპეციფიკას, რადგან ადამიანს სუბიექტური დამოკიდებულება აქვს არა მარტო იმ მოქმედების მიმართ, რომლის შესრულებაც გადაწყვიტა, არამედ იმის მიმართაც, რომელიც უარყო მოტივაციის ეტაპზე, ან იმისადმი, რასაც სხვა ადამიანები ასრულებენ, ე. ი. იმ მოქმედების მიმართ, რომლის მოტივიც, რა თქმა უნდა, მას არ გააჩნია.

როდესაც მოთხოვნილება გაცნობიერდება, სუბიექტის წინაშე აუცილებლობით დგება შემდეგი კითხვები: დაკმაყოფილოს თუ არა იგი, რა გზები და საშუალებები შეარჩიოს მისი დაკმაყოფილებისათვის. მოტივაციის პროცესი სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემის პროცესია. მოტივაცია ეს არის სუბიექტის მიერ მისი მოთხოვნილების განსჯა მოცემულ სიტუაციაში, ხოლო მ ო ტ ი ვ ი მოთხოვნილების დაკმაყოფილების განსჯის შედეგად მიღებული, მოცემული სიტუაციის შესაბამისი დასკვნაა ამა თუ იმ მოქმედების მიზანშეწონილების შესახებ. როდესაც ამა თუ იმ მოქმედების მიზანშეწონილება დასაბუთდება, მას აუცილებლობით მოჰყვება გადაწყვეტილება მისი განხორციელების შესახებ, გადაწყვეტილებას მოჰყვება ფიზიკური და სულიერი ძალების შესაბამისი მობილიზაცია, მათი მიმართვა მიღებული გადაწყვეტილების პრაქტიკული განხორციელებისათვის. სუბიექტში მომხდარ ამ ცვლილებებს გ ა ნ წ ყ ო ბ ა ეწოდება.

ამრიგად, მოთხოვნილება გაცნობიერებიდან მის საპასუხო პრაქტიკულ მოქმედებამდე გაივლის მოტივაციის რთულ ფსი-

[1] იხ. Краткий словарь по этике, 1965, გვ. 252; И. С. Кон, Социология личности, М., 1967, გვ. 27.

ქოლოგიურ პროცესს, რომელსაც მოჰყვება მოქმედების განწყობა და მოქმედების მოთხოვნილების წარმოშობა.

ზოგიერთი ფსიქოლოგი განწყობას საერთოდ აიგივებს მოთხოვნილებასთან, რასაც ხშირად გაუგებრობა შეაქვს განწყობის არსის გარკვევაში. მოთხოვნილება, როგორც აღვნიშნეთ, ორი სახისაა — საგნობრივი და პრაქტიკული მოქმედების. პირველი მოთხოვნილებისა და მისი საგნის გაცნობიერებას ნიშნავს, ხოლო მეორე წარმოიშობა გადაწყვეტილების მიღებისა და განწყობის შექმნის შემდეგ როგორც პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილება. განწყობა ყველაზე ახლოს ამ მოთხოვნილებასთანაა, მაგრამ მათ შორისაც არსებითი განსხვავებაა. განწყობა საფუძველია პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილებისათვის. ეს უკანასკნელი განწყობის შედეგია. მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულებაა.

ამრიგად, მოტივაცია არის სუბიექტის მიერ მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების მოქმედების, გზებისა და საშუალებების განსჯა, ხოლო მოტივი — ამ განსჯის შედეგად მიღებული დასკვნა მოცემულ სიტუაციაში ამა თუ იმ მოქმედების მიზანშეწონილებისა და აუცილებლობის შესახებ.

ეს დასკვნა იგივე ლოგიკური პროცესია, რომლის წანამძღვრებს მოტივაციის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები წარმოადგენს. ფსიქოლოგიურად ყოველ დასკვნას ახლავს დარწმუნებულობა. რწმენას ყოველთვის წინ უსწრებს მოტივაციის პროცესი და დასკვნა.

რწმენა აუცილებელი სუბიექტური მომენტია, რომლის გარეშეც არ არსებობს გადაწყვეტილება და მოქმედება. რასაც აკეთებს ადამიანი, საზოგადოებრივად სასარგებლოს თუ საზიანოს, აკეთებს იმ რწმენით, რომ ეს მოქმედება მისთვის ყველაზე მიზანშეწონილია, აუცილებელია მოცემულ სიტუაციაში, თუმცა ობიექტურად შესაძლებელია იგი მიზანშეწონილი არ იყოს. ეს ხდება იმიტომ, რომ მოტივაციის პროცესი სუბიექტური პროცესია. მართალია, მასში მონაწილეობს ობიექტური ფაქტორებიც, მაგრამ მათი როლი გადაწყვეტილების მიღებაში სუბიექტურ შეფასებაზეა დამოკიდებული.

მოტივაციაში მონაწილე ფაქტორების ღირებულება და თვით მოქმედების ობიექტური ღირებულება თავის შეფასებას სუბიექტური ღირებულების საფუძველზე ღებულობს. ობიექტური ღირებულება სუბიექტური ღირებულების ასპექტში გადატყდება, და თუ როგორ შეფასებას მიიღებს ის როგორც მოტივაციის ფაქტორი, ეს დამოკიდებულია ობიექტური ღირებულებისადმი სუბიექტურ დამოკიდებულებაზე.

მოხმარების ყოველ საგანს ცალკეული ინდივიდებისათვის სახმარი ღირებულება აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მის ამა თუ იმ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. ამ თვისების გარეშე იგი მოთხოვნილების საგნად არ იქცევა. შესაძლებელია ნივთი ერთისათვის დიდი სახმარი ღირებულებისა იყოს, ხოლო მეორისათვის მოთხოვნილების საგანს საერთოდ არც კი წარმოადგენდეს.

სახმარი ღირებულება, ერთი მხრივ, ნივთის თვისებაა, რომელიც ადამიანის ამა თუ იმ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. მეორე მხრივ, იგი ნივთის თვისებისადმი ადამიანის ამა თუ იმ მოთხოვნილების არსებობას გულისხმობს. მაშასადამე, სახმარ ღირებულებას სუბიექტურად წარმოშობს ნივთის თვისება და ადამიანის მოთხოვნილება. ნივთის, საგნის თვისება სახმარ ღირებულებას არ წარმოადგენს მასზე ადამიანის შესატყვისი მოთხოვნილების გარეშე. ნივთის ესა თუ ის თვისება, სახმარი ღირებულების სახით, ადამიანის რომელიმე არსების ძალის, უნარის დადასტურებაა. ამასთან, ყოველი ინდივიდი და პიროვნება თავისებურად ადასტურებს საგანში მისი არსების ძალებს

როგორც აღვნიშნეთ, მოტივი შეიძლება გაიგივებულ იქნეს მხოლოდ მოტივაციის ეტაპგავლილ მოთხოვნილებასთან, რომლის დაკმაყოფილება უკვე ჩვევად იქცა და მოტივაციის ეტაპის ხელახალი გაევლის გარეშე უშუალოდ გადადის მოქმედებაში. მიუხედავად ამისა, მოთხოვნილებასა და მოტივს შორის მაინც არსებითი განსხვავებაა, რაც ნაჩვენები იყო ზემოთ. მოტივი წარმოადგენს პასუხს, სანქციას ინდივიდის წინაშე რაიმე მოთხოვნილების მიერ დასმულ კითხვაზე—დაკმაყოფილდეს თუ არა იგი, ან როდის, რა გზით, რა მოქმედებითა და საშუალებებით დაკმაყოფილდეს. მოტივი არა მარტო უბრალო პასუხია მოთხოვნილების მიერ ინდივიდის წინაშე დასმულ კითხვაზე, არამედ იგი ამასთანავე ამ პასუხის დასაბუთებაცაა, რთული მსჯელობის საბოლოო დასკვნაა,

რომლის შემდგომ ესათუ ის მოქმედება სავალდებულო, სუბიექტურად აუცილებელი ხდება მოცემულ სიტუაციაში.

როგორც ზემოთ დავინახეთ, მოტივის ფორმირებაში მოტივაციის პროცესის გამომწვევი მოთხოვნილების გარდა მონაწილეობას ღებულობს სხვა მოთხოვნილებები, ინტერესები, სურვილები, განწყობები, მოტივები და კიდევ სხვა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, რომელთა ურთიერთზემოქმედების შედეგადაც წარმოიშობა მოტივაციის გამომწვევი მოთხოვნილების საპასუხო მოქმედების მოტივი.

მოტივის წარმოშობას საფუძვლად უდევს აღნიშნული ფაქტორების ურთიერთშეპირისპირება და ბრძოლა. ის, ვინც მოტივის ფაქტორებს მოტივთან აიგივებს, ამ ეტაპს მოტივების ბრძოლის ეტაპს უწოდებს. სინამდვილეში კი ხდება არა მოტივების, არამედ მოტივაციის ფაქტორთა ბრძოლა, შეპირისპირება მოცემულ სიტუაციაში სუბიექტისათვის ყველაზე მიზანშეწონილი, გამართლებული მოქმედების გარკვევისათვის. მოტივაციის პროცესში მხოლოდ ფაქტორები მონაწილეობენ, მოტივი ამ ფაქტორების შეპირისპირების შედეგად მიიღება. სხვა მოქმედებების მოტივებიც, რომლებიც მოტივაციის პროცესში მონაწილეობენ, როგორც აღვნიშნეთ, ახალი მოქმედებისათვის მოტივებს კი არ წარმოადგენენ, არამედ—ფაქტორებს. მოტივი შეიძლება მხოლოდ ერთი ჰქონდეს მოქმედებას. ერთი და იმავე მოქმედების მრავალი მოტივის დაწვება შეცდომაა, რაც მოტივის ბუნების არასწორი გაგებიდან გამომდინარეობს.

კ. მარქსს და ფ. ენგელსს მოტივებზე მსჯელობის დროს ძველგელობაში აქვთ სხვადასხვა მოქმედებები. ისინი არ ცნო-

ბდსენ ერთი და იმავე მოქმედების რამდენიმე მოტივს. მაგალითად, ფ. ენგელსი, ეხება რა ადამიანის მოქმედებას, წერს: „...თვითეული ცალკე ადამიანის სამოქმედო მოტივმა (და არა მოტივებმა — დ. კ.) მის თავში უნდა გაიაროს და მისი ნებისყოფის სტიმულად იქცეს, რათა მოქმედება გამოიწვიოს...“[1]

ჩამოყალიბების შემდეგ მოტივი გადაწყვეტილებაში გადადის, ხოლო გადაწყვეტილებას მოჰყვება განწყობა, რომელიც, თავის მხრივ, წარმოშობს ახალ მოთხოვნილებას — მოქმედების მოთხოვნილებას. ეს უკანასკნელი უშუალოდ განიკვეთის რეალიზაციას შესატყვის სიტუაციაში.

მოტივაცია ყოველთვის მიმდინარეობს აზროვნების საშუალებით ცნობიერების სფეროში, რომელშიც მოცემულია ადამიანის საერთო დამოკიდებულება გარემოსთან მისი მოთხოვნილებების, ინტერესების, სურვილების, მისწრაფებების, ვნებების, მიზნების, ინტელექტუალური, მორალური, ესთეტიკური და ფიზიკური თვისებებისა და თავისებურებების სახით. მიღებული გადაწყვეტილება და მოქმედება არის გადაწყვეტილება და მოქმედება ადამიანისა, რომელიც ფიზიკური და ფსიქიკური თვისებების მთლიანობაა.

მართალია, მოტივაციის პროცესი წარმოიშობა უფრო ხშირად ერთი რომელიმე კონკრეტული მოთხოვნილების შედეგად, მაგრამ მოტივი მხოლოდ მის საფუძველზე არ ყალიბდება. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ნებისმიერი მოქმედება განსხვავებული არ იქნებოდა იმპულსური მოქმედებისაგან. არ არის აუცილებელი მოტივაციის პროცესის წარმომშობი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მოტივაციის სხვა ფაქტორე-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 474—475.

ბის გამო ხშირად ხდება მისი დათრგუნვა და დაკმაყოფილებისაგან თავის შეკავება. მაგრამ მოთხოვნილება, რომელმაც მოტივაციის პროცესი წარმოშვა და მოცემულ სიტუაციაში დაკმაყოფილებაზე უარი მიიღო, ინდივიდისათვის უკვალოდ არ იკარგება. მას თავისებური ცვლილებები შეაქვს ადამიანის მოთხოვნილებათა შინაგან სისტემაში, მის ცნობიერებაში. ხოლო თუ დაუკმაყოფილებელ მოთხოვნილებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ინდივიდის ცხოვრებაში საერთოდ, მაშინ იგი ისახება როგორც მომავალი მოქმედების სტიმული, ტენდენცია ინტერესების, სურვილების, მისწრაფებების, ვნებებისა და სხვათა სახით.

დაკმაყოფილებული მოთხოვნილება კიდევ უფრო ღრმა კვალს ტოვებს ინდივიდზე. ასეთი მოთხოვნილება თავის შესაფერ ადგილს იჭერს ადამიანის მოთხოვნილებათა შინაგან სისტემაში. ხოლო ერთი და იგივე გარემოში მისი დაკმაყოფილების ხშირი განმეორების შემთხვევაში ადამიანი აღარ განიცდის ისეთ დაძაბულობას, როგორც პირველად, და მოტივაციის პროცესიც ქრება. ამ შემთხვევაში მოთხოვნილებასა და მოქმედებას შორის პირდაპირი კავშირი მყარდება და მოქმედება ჩვევაში გადადის.

ჩვევა გარეგნულად იმპულსურ მოქმედებას მოგვაგონებს, მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაა. ჩვევა მოტივაციის ეტაპგავლილი მოქმედებაა და გაშუალებულია ინდივიდის საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკით, მისი ცნობიერებით. თუ აღმოჩნდა, რომ ძველი ჩვევა აღარ შეესაბამება ახალ გარემოს, მაშინ ინდივიდი თავიდან იცილებს მას ან გარკვეული კორექტივი შეაქვს მასში. თუმცა ამის გაკეთება ზოგჯერ არც ისე იოლად შეუძლია ადამიანს. ჩვევებს დიდი მნიშვნელობა

აქვს ადამიანის ცხოვრებაში. ჩვენები ადამიანის დროისა და ენერგიის ეკონომიის წყაროა და, რაც მთავარია, ჩვენის შემუშავება ნიშნავს გარკვეულ ასპექტში ადამიანის განვითარებას, მის ფორმირებას.

როდესაც ესა თუ ის მოტივირებული მოქმედება ხშირად ძეორდება და ადამიანი თავისუფლდება მოტივაციის რთული ფსიქოლოგიური პროცესისაგან, დაძაბულობისაგან, რომელიც თან ახლავს გადაწყვეტილების აქტს და მის შესრულებას, ჩვეულაში გადადის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მთელი სტრუქტურა, ხოლო მოქმედება, რომელიც პირველად მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას წარმოადგენდა, გარკვეულ პირობებში თვით იქცევა მოთხოვნილებად. ასე ემართება, მაგალითად, შრომას კომუნიზმის დროს, რომელიც საარსებო საშუალებიდან პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად იქცევა. საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის გადაქცევა ადამიანების ჩვევად, შინაგან მოთხოვნილებად, კომუნისტური აღზრდის მთავარი ამოცანაა.

ახალი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შედეგად რამდენადმე იცვლება სუბიექტი, მისი ცნობიერება, დამოკიდებულება გარემამყაროსთან. ჯერ ერთი, ახალ მოთხოვნილებას, რომელიც მოტივის წყაროდ იქცევა, ცვლილებები შეაქვს მოთხოვნილებათა შინაგან სისტემაში, რადგანაც მისი დაკმაყოფილება სუბიექტს აიძულებს აქტიურ, შეგნებულ დამოკიდებულებაში იყოს არა მხოლოდ მოთხოვნილების დაკმაყოფილების საგანთან, არამედ დაკმაყოფილების მოქმედებასთან და გარემოსთან; მეორეც, მოთხოვნილების დაკმაყოფილება და მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოქმედება ამავე დროს ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალების აქტივიზა-

ცია, მათი მოხმარება და წარმოება, ვარჯიში და განვითარება; მესამეც, ყოველი ახალი მოქმედება, აქტიურობა ნიშნავს გარესამყაროს საგნებისა და მოვლენების კანონზომიერებათა მეცნობასაც.

ყველა ეს ფაქტორი მთლიანობაში განაპირობებს ახალი უნარებისა და მოთხოვნილებების წარმოშობას. ნაწილობრივ ეს ფაქტი ჰქონდათ მხედველობაში კ. მარქსსა და ფ. ენგელსს, როდესაც წერდნენ: „რომ თვით დაკმაყოფილებული პირველი მოთხოვნილება, დაკმაყოფილების მოქმედება და უკვე შეძენილი იარაღი დაკმაყოფილებისა ახალ მოთხოვნილებებს წარმოშობენ, და ეს წარმოშობა ახალი მოთხოვნილებებისა პირველი ისტორიული აქტია“.[1] კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ამ დებულებაში ასახულია ახალი მოთხოვნილებების, ახალი ადამიანის აღზრდისა და ფორმირების ერთ-ერთი კანონზომიერება.

მოთხოვნილებები ყოველთვის დარჩება ადამიანის მოქმედების მთავარ ფაქტორად, მიუხედავად იმისა, თუ განვითარების რა საფეხურს მიაღწია საზოგადოებამ და ინდივიდმა. საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლება მხოლოდ მოთხოვნილებების შინაარსი. მაგალითად, კერძო საკუთრება კლასობრივ საზოგადოებაში სხვა შინაარსის მოთხოვნილებებსა და მოტივებს წარმოშობს, ვიდრე საზოგადოებრივი საკუთრება კომუნიზმის დროს. ამასთან, მოტივაციის ობიექტური, სოციალური ფაქტორები განსხვავებული სოციალური წყობის პირობებში, ბუნებრივია, სხვადასხვაგვარია და სხვადასხვა მოქმედების მოტივებს განაპირობებს.

---

1 კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ფოერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა, გვ. 47.

ადამიანური მოქმედების ერთადერთ და უშუალო ფაქ-ტორს მოთხოვნილება რომ წარმოადგენდეს, მაშინ ინდივიდები პასუხისმგებელი აღარ იქნებოდნენ თავიანთ დანაშაულებ-რივ მოქმედებაზე, რადგან მოთხოვნილებები გარემოს ზემო-ქმედებით ყალიბდებიან და პასუხისმგებლობაც მხოლოდ გა-რემოსა და აღზრდას უნდა დაკისრებოდა. მაგრამ, როგორც უკვე დავინახეთ, მოტივაციის პროცესში მოთხოვნილების გარდა მონაწილეობს აზროვნება, ცნობიერება, მორალური, სამართლებრივი, პოლიტიკური, ესთეტიკური და სხვა ნორ-მების ცოდნა, რაც ადამიანს აღზრდის მთელ პროცესში ეძ-ლევა. ამ ცოდნის საფუძველზე ადამიანი აფასებს თავისი მოქმედების საზოგადოებრივ მნიშვნელობას. მაგალითად, და-მნაშავეობა ყოველთვის საზოგადოებრივი ინტერესებიდან უნდა იქნეს განხილული. თუ ამ პოზიციიდან მივუდგებით (როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად), ცხადია, დაუ-სჯელი დანაშაული ამრავლებს დანაშაულისა და დამნაშავეთა რაოდენობას.

ინდივიდი მოტივაციის პროცესში ცნობიერების საშუა-ლებით თავისი მოთხოვნილებიდან ობიექტურ სიტუაციაში გადადის. მოტივის წარმოშობაში წამყვან როლს ასრულებს ის მოთხოვნილებები, რომლებიც ყველაზე მეტ ღირებულებას იძენენ მოცემულ სიტუაციაში. ცოდნა, განათლება და საე-რთოდ გარემოსა და მოქმედების შეფასების უნარი ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებს მოტივაციის პროცესში. ამიტომ ინტელექტუალური აღზრდა, განათლება აუცილებე-ლი პირობაა მოტივებისა და ნებისყოფის აღზრდაში.

მართალია, მოტივი სუბიექტური მოვლენაა და იგი ღრმად პიროვნებისეულია, მაგრამ მისი შემეცნება სხვა სუბიექტი-

სათვის ისევე შესაძლებელია, როგორც ყოველი ობიექტური საგნისა ან მოვლენისა. ამასთან, შემეცნებას თან ახლავს სირთულეებიც. რადგან მოტივი ხშირად იმდენად გამუალებულია მრავალი ფაქტორით, რომ ერთი მოქმედების საფუძველზე მისი გაგება შეუძლებელია. ერთეული მოქმედების ნამდვილი მოტივის გაგებისათვის აუცილებელია აღნიშნული მოქმედების გაანალიზება სხვა მოქმედებათა სისტემასთან კავშირში. მაგალითად, ზოგჯერ კაპიტალისტებიც უმატებენ ხელფასს მუშებს და აუმჯობესებენ მათ ეკონომიურ პირობებს, მაგრამ ამ მოქმედების მოტივი არსებითად განსხვავდება ხელფასების მომატების მოტივისაგან სოციალიზმის პირობებში. კაპიტალისტების მიერ ხელფასების მომატების მოტივი ადამიანების კეთილდღეობაზე ზრუნვიდან კი არ მომდინარეობს, არამედ მუშის ექსპლუატაციის შენარჩუნების მისწრაფებიდან.

ამრიგად, ყოველი კონკრეტული მოქმედების მოტივის სწორი შეცნობა შეიძლება, თუ იგი გაანალიზებული იქნება სხვა მოქმედებებთან კავშირში. ამ გზით შეიძლება არა მარტო შესრულებული მოქმედების მოტივის, არამედ იმ განწყობისა და მოტივის შეცნობაც, რომლის შესატყვისი მოქმედება ჯერ კიდევ არ მომხდარა პიროვნების ფსიქოლოგიის, მისი მოტივებისა და განწყობების შესასწავლად აუცილებელია მოქმედების ანალიზი ქცევის სტრუქტურაში და არა ერთი რომელიმე მოქმედების მიხედვით. ცალკეული ადამიანების შეფასებისას ხშირად ცდებიან იმის გამო, რომ შეფასების საზომად იღებენ ერთ მოქმედებას ან რამდენიმე მოქმედებას მხოლოდ ერთ რომელიმე დამოკიდებულებაში. ასეთი შეცდომები ხშირია და ყველას გამოუცდია.

ადამიანთა ფსიქოლოგიის შეფასების ერთ-ერთი უტყუარი კრიტერიუმია ის, რომ ისინი შეფასდნენ არა ერთი მოქმედებით, ანდა ერთი გარკვეული დამოკიდებულების მიხედვით რომელიმე ადამიანთან, არამედ საერთოდ ადამიანებთან, საზოგადოებასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით.

3. გადაწყვეტილების ზოგიერთი თავისებურება

როგორც ცნობილია, ნებისყოფის აქტი გადაწყვეტილების მიღებაში მდგომარეობს. ნებისყოფის თავისუფლებაც საქმის ცოდნით გადაწყვეტილების მიღებაა. გარეგნულად მოქმედების პროცესში ნებისყოფა ყურადღების სახით ვლინდება, ხოლო შინაგანად ნებისყოფის საკითხი მოტივაციის ეტაპზე წყდება. ნებისყოფა მოტივაციის უნარითაა განსაზღვრული. ამიტომაც, ვფიქრობთ, მართალი არიან ის ფსიქოლოგები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ნებისყოფის კატეგორია, როგორც დამოუკიდებელი პრობლემა, თანდათანობით ქრება და ერწყმის მოტივაციის უფრო ფართო პრობლემას.[1]

მოქმედება სუბიექტის ფიზიკური და ფსიქიკური უნარების გამოვლენაა, რომელსაც მიზანი წარმართავს, ხოლო ორგანიზებულ ხასიათს მას მოტივაციის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება და განწყობა აძლევს. ადამიანის ნებისმიერი მოქმედების სპეციფიკა ის არის, რომ მოქმედება და მისი შედეგი თავდაპირველად იდეალურადაა მოცემული მის პრაქ-

---

[1] იხ. Дж. Миллер, Е. Галантер и К. Прибрам. Планы и структура поведения. М., 1965, გვ. 24.

ტიკულად დაწყებამდე. გადაწყვეტილების სიმტკიცე, ე. ი. მისი შესრულება, მოტივაციის პროცესში სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების სწორად გათვალისწინებაზეა დამოკიდებული. თუ გადაწყვეტილება სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების სწორად შეფასებას ეყრდნობა, თუ იგი საქმის ცოდნითაა მიღებული, ასეთ შემთხვევაში ნებისყოფა მტკიცეცაა და თავისუფალიც. მაგრამ არ უნდა ავრიოთ ერთმანეთში ნებისყოფის სიმტკიცე და თავისუფლება. თავისუფალი ნებისყოფა ყოველთვის მტკიცეა, ე. ი. საქმის ცოდნით მიღებული გადაწყვეტილება ყოველთვის სრულდება, მაგრამ ყოველი გადაწყვეტილების შესრულება არ ნიშნავს ნებისყოფის სიმტკიცესა და თავისუფლებას.

მიღებული გადაწყვეტილების შეუსრულებლობაც, ე. ი. მისი სხვა გადაწყვეტილებით შეცვლა, რასაც ჩვენს ლიტერატურაში ხშირად ნებისყოფის სისუსტეს უწოდებენ, თავისთავად ნებისყოფის სისუსტის მაჩვენებელი არ არის. გადაწყვეტილების შეცვლა დამოკიდებულია მოტივაციის ფაქტორებზე. თუ მოქმედების პროცესში ან მისი დაწყების წინ ახალი ფაქტორი გამოვლინდა, რომელიც არ იყო გათვალისწინებული მოტივაციის ეტაპზე, შესაძლებელია გადაწყვეტილება შეიცვალოს, მაგრამ იგი არ გამომდინარეობდეს ნებისყოფის სისუსტიდან. მაგალითად, ადამიანმა გადაწყვიტა თეატრში წასვლა, მაგრამ სახლიდან გამოსვლის შემდეგ შეიტყო, რომ მასთან უნდა მოვიდეს მეგობარი. ამ შემთხვევაში განახლებას იწყებს თეატრში წასვლის მოტივაცია — ისმება კითხვა, წავიდეს თუ არა ის თეატრში? თეატრში წასვლის გადაწყვეტილების მიღების წინ მოტივაციის პროცესში გათვალის-

წინებულმა სუბიექტურმა და ობიექტურმა ფაქტორებმა თეატრში წასვლის მოტივი განაპირობეს, ამჟამად კი ამ ფაქტორებს დაემატა ახალი ფაქტორი — მეგობრის მოლოდინი. იმ შემთხვევაში, თუ მეგობართან შეხვედრა მისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თეატრში წასვლა, რა თქმა უნდა, იგი ცვლის წინა გადაწყვეტილებას და უკან ბრუნდება.

ან კიდევ, ადამიანმა გადაწყვიტა ალპინისტური ლაშქრობა მოაწყოს მყინვარწვერზე სხვა ამხანაგებთან ერთად. დიდი ენთუზიაზმით მოემზადა და შეუდგა გადაწყვეტილების შესრულებას. მაგრამ მყინვარზე ასვლის პროცესში გამოირკვა, რომ მას ბოლომდე ასვლისათვის სათანადო ფიზიკური მომზადება არ გააჩნია. წამოიჭრა ახალი სიძნელეები, რომლებიც მას მოტივაციის პროცესში არ ჰქონდა გათვალისწინებული და რომელთა გადალახვაც მას არ შეუძლია. ამის გამო იგი ცვლის თავის გადაწყვეტილებას მყინვარზე ასვლის შესახებ.

აღნიშნულ შემთხვევებში გადაწყვეტილების შეცვლასთან გვაქვს საქმე, მაგრამ განა შეიძლება ლაპარაკი უბრალოდ ნებისყოფის სისუსტეზე? რა თქმა უნდა, არა. მყინვარწვერზე სრულიად თავისუფლად შეიძლება ავიდეს უაღრესად სუსტი ნებისყოფის ადამიანი, რომელსაც მხოლოდ სათანადო ფიზიკური მომზადება გააჩნია. ამრიგად, გადაწყვეტილების შეცვლა ყოველთვის არ არის ნებისყოფის სისუსტის მაჩვენებელი. ერთ შემთხვევაში გადაწყვეტილების შეცვლა შეიძლება ბლიერი ნებისყოფის მაჩვენებელი იყოს, მეორე შემთხვევაში კი პირიქით — ნებისყოფის სისუსტის.

მიღებული გადაწყვეტილების შესრულება ან შეცვლა დამოკიდებულია მოტივაციის უნარზე, მოტივაციის პროცე-

სში მოქმედების სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების სწორად გათვალისწინების უნარზე (იხ. მოტივაციის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები).

გადაწყვეტილების შესრულება ან შეცვლა შეიძლება გამოიწვიოს მოქმედების ახალი ფაქტორების წამოჭრამ, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული მოტივაციის პროცესში. თუ მოქმედების პროცესში ისეთი ფაქტორები წამოიჭრა, რომელთა გათვალისწინება მოტივაციის პროცესში სუბიექტს შეეძლო, მაგრამ არ გაახსენდა, — ეს მეხსიერების სისუსტეზე მეტყველებს და საფუძვლად ედება გადაწყვეტილების შეცვლას. თუ, მაგალითად, ადამიანმა, რომელმაც თეატრში წასვლა გადაწყვიტა, წინასწარ იცოდა, რომ მასთან მეგობარი უნდა მისულიყო, მაგრამ თეატრში წასვლის მოტივაციის პროცესში დააეიწყდა ეს და მხოლოდ სახლიდან გასვლის შემდეგ გაახსენდა, აქ მეხსიერების სისუსტე გადაწყვეტილების მერყეობას და ნებისყოფის სისუსტეს ედება საფუძვლად.

ამრიგად, გადაწყვეტილების შეცვლა ან შესრულება მოტივაციის უნართან დაკავშირებული მოვლენებია. ამასთან, ნებისყოფის სიმტკიცეზე ან სისუსტეზე მეტყველებს არა გადაწყვეტილების შეცვლა ან ძალაში დატოვება თავისთავად, არამედ ის, თუ რით იყო გამოწვეული ეს შეცვლა — სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებით. თუ ობიექტური გარემოება იგივე დარჩა, როგორც მოტივაციის პროცესში იყო წარმოდგენილი, და მხოლოდ მოთხოვნილება შეიცვალა, რაც მოტივაციას დაედო საფუძვლად, მაშინ საქმე გვაქვს არამტკიცე მოთხოვნილებასთან; თუ მოქმედების ობიექტური ფაქტორები სხვა აღმოჩნდა, ვიდრე ეს მოტივა-

ციაში იყო წარმოდგენილი, მაშინ საქმე გვაქვს არცოდნასთან.

ამრიგად, გადაწყვეტილების შეცვლა შეიძლება გამოწვეული იყოს არამტკიცე მოთხოვნილებით, საქმის არცოდნით — მოტივაციის ეტაპზე სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ნათლად წარმოდგენის უნარის უქონლობით და ობიექტური გარემოების შეცვლით.

პირველი ორი საფუძვლად ედება ნებისყოფის სისუსტეს. ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ ძლიერი ნებისყოფა შეიძლება მხოლოდ იმას ჰქონდეს, ვისაც ძლიერი ინტელექტი გააჩნია, რაც, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს სწორი. ინტელექტი — აზროვნება, ცოდნა, მეხსიერება და წარმოდგენის უნარი რომ დიდ როლს ასრულებს ნებისმიერ მოქმედებაში, ეს სადავო არ არის, მაგრამ ნებისყოფის სიძლიერე, სიმტკიცე მხოლოდ ინტელექტის სიძლიერეზე არ დაიყვანება. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველი ინტელექტუალურად განვითარებული ადამიანი მტკიცე ნებისყოფისაც უნდა იყოს, ხოლო ადამიანებს, რომელთაც დიდი ინტელექტუალური განვითარება არ მიუღიათ, სუსტი ნებისყოფა უნდა ჰქონდეთ. მაგრამ ეს ასე არ არის. ბევრ ინტელექტუალურად განვითარებულ ადამიანს შეშურდებოდა ნებისყოფის ძალა და სიმტკიცე, რომელსაც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში დასაქმებული რიგითი უბრალო ადამიანები ავლენენ.

როდესაც აზროვნებას უნარი შესწევს ნათლად წარმოიდგინოს მოტივაციის ეტაპზე მოქმედების მოტივის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, რა თქმა უნდა, ეს მიღებული გადაწყვეტილების შესრულების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. მაგრამ თუ რა მოქმედებას დაისახავს მიზნად ადამიანი, ეს მხოლოდ მის ინტელექტზე არ არის დამოკიდებული.

იგი პირველ ყოვლისა დამოკიდებულია ადამიანის მოთხოვნილებებზე, მის უნარებსა და გარემოებაზე. აზროვნება მხოლოდ ასახავს მოთხოვნილების დაკმაყოფილების ფაქტორებს.

ნებისყოფის სიმტკიცე, მიღებული გადაწყვეტილების შესრულება საბოლოოდ დამოკიდებულია მოტივის სიმტკიცეზე. მაგრამ მიღებული გადაწყვეტილების შესრულება ყოველთვის არ ნიშნავს ნებისყოფის სიმტკიცესა და თავისუფლებას.

ამრიგად, ნებისყოფის აქტი მდგომარეობს გადაწყვეტილების მიღებაში, ხოლო ნებისყოფის თავისუფლება — საქმის ცოდნით გადაწყვეტილების მიღებაში. ნებისყოფის სიმტკიცესა და თავისუფლებას განაპირობებს მოტივაციის უნარი. თუ გადაწყვეტილება საქმის ცოდნითაა მიღებული, მაშინ შესაბამის პირობებში იგი აუცილებლად სრულდება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ სრულდება და სხვა გადაწყვეტილებით იცვლება.

4. იდეური და პრაქტიკული მოქმედება

ნებისმიერი მოქმედების ორი სფერო არსებობს — იდეური და პრაქტიკული. ზოგიერთი მოქმედება მხოლოდ იდეურ სფეროში მიმდინარეობს, ზოგი კი პრაქტიკულადაც ხორციელდება. პრაქტიკულ მოქმედებას ყოველთვის წინ უსწრებს იდეური მოქმედება, მაგრამ ყოველ იდეურ მოქმედებას არ მოჰყვება პრაქტიკული მოქმედება. იდეურ მოქმედებას თავისი უშუალო აღმძვრელი ფაქტორები გააჩნია. მისი აღმძვრელი არსებითად განსხვავდება პრაქტიკული მოქმედების უშუალო აღმძვრელისაგან.

იდეური მოქმედების აღმძვრელია გარემოს ზემოქმედების შედეგად წარმოშობილი საგნობრივი მოთხოვნილება, რომელიც გაცნობიერების შემდეგ აუცილებლობით იწვევს მოტივაციის პროცესსა და მოქმედების მოტივს. მოტივის დასრულებას წარმოადგენს გადაწყვეტილება და განწყობა. ეს უკანასკნელი კი შესაბამის სიტუაციაში უშუალოდ წარმოშობს მოთხოვნილების ახალ სახეს, რომელსაც ჩვენ პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილებას ვუწოდებთ.

პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილება მოტივაციის ეტაპგავლილი, გადაწყვეტილების მიღებისა და განწყობის შემუშავების შედეგად აღმოცენებული მოთხოვნილებაა, რომლის შინაარსი მოტივირებული მოქმედებისადმი სწრაფვაში მდგომარეობს. მასში მოცემულია ადამიანის სოციალური, საზოგადოებრივ-ისტორიული განსაზღვრულობა.[1] პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილებები ადამიანს უმუშავდება მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე, ისინი ერთიმეორეს უკავშირდებიან მთლიანი შინაგანი სისტემის სახით. ეს მოთხოვნილებები წარმოქმნიან ადამიანის მოქმედების ზ ო გ ა დ მ ო ტ ი ვ ს, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს ყოველი კონკრეტული მოქმედების მოტივაციაში.

პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილებაში მოხსნილი სახით იგულისხმება საგნობრივი მოთხოვნილებაც, მაგრამ იგი იმთავითვე გაშუალებულია ადამიანის არსებობის სოციალური პირობებით (შრომის დანაწილების, წარმოების, განა-

---

1 პრაქტიკული მოქმედების მოოხოვნილება არ შეიძლება ავრიოთ ფუნქციონალურ მოთხოვნილებასთან, რომელიც ყოველ ცოცხალ არსებას გააჩნია. პირველი სოციალური მოთხოვნილებაა და მხოლოდ ადამიანისათვისაა დამახასიათებელი.

წილების, გაცვლისა და მოხმარების არსებული პირობებისა და წესის თავისებურებებით).

ზოგიერთი მკვლევარი არ ითვალისწინებს საგნობრივი და პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილებათა თავისებურებებს, რის გამოც ვერ გვაძლევს ნებისმიერი მოქმედების ახსნას მოთხოვნილების საფუძველზე. ასეთი მოქმედების ახსნისათვის ისინი იყენებენ იდეურ ფაქტორს როგორც ახსნით ცნებას, რომლის ლოგიკური დასასრული, ვფიქრობთ, სცილდება ადამიანის მოქმედების მატერიალისტურ გაგებას.

ადამიანს, როგორც სოციალურ არსებას, მრავალი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ისეთ ოპერაციების შესრულება უხდება, რომლებიც არც დროში, არც სივრცეში და არც დაკმაყოფილების თვალსაზრისით უშუალო კავშირში არ არის მოთხოვნილებასთან, მაგრამ ეს მოქმედებები სოციალურად აუცილებელია. შრომა სხვა არაფერია, თუ არა პროცესი, რომლითაც ადამიანი სოციალურად განსაზღვრულ პირობებში კონტროლს უწევს ნივთიერებათა ცვლას საკუთარ თავსა და ბუნებას შორის, რომლის დანიშნულებაა ადამიანური არსებობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ვიმეორებთ, ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება გაშუალებულია დროსა და სივრცეში მრავალი სოციალური პროცესით, რომელთა დროსაც ადამიანურად არსებობის მოთხოვნილება, როგორც დამოკიდებულება. ყოველთვის აქტუალურია.

ნებისმიერი მოქმედების განწყობა არ არსებობს მოტივის გარეშე. არის შემთხვევები, როდესაც განწყობა თავს იჩენს პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილების სახით და ეს მოთხოვნილება პირდაპირ გადადის მოქმედებაში. იქმნება მცდარი შთაბეჭდილება, თითქოს იგი იმპულსური მოქმედე-

ბაა. სინამდვილეში ასეთი მოქმედება ნებისმიერი მოქმედებაა, რადგან მას იწვევს არა საგნობრივი მოთხოვნილება, არამედ პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილება, რომელიც მოტივაციისა და განწყობის შექმნის შემდგომ წარმოიშობა.

იმპულსურ მოქმედებასთან მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც მას საგნობრივი მოთხოვნილება იწვევს უშუალოდ მოტივაციის პროცესის გარეშე.

5. მოტივი და უნარი

მოტივის გამომუშავებაში, როგორც მოტივაციის ზემოთ მოყვანილი სქემიდან დავინახეთ, მონაწილეობენ მოტივირებული მოქმედების შესრულების სუბიექტური — ფიზიკური და სულიერი — უნარები. ეს უნარები თავისებურ მიმართულებებს აძლევენ მოტივაციის პროცესს. მაგალითად, პიროვნება. რომელმაც შენიშნა წყალში ჩავარდნილი, დასახრჩობად განწირული ადამიანი, თუ ცურვა იცის, დაუფიქრებლად გადაეშვება წყალში მის გადასარჩენად, მაშინ როდესაც ის პიროვნება, რომელმაც არანაკლებ განიცადა საფრთხეში ჩავარდნილი ადამიანის მდგომარეობა, თუ ცურვა არ იცის, მისი გადარჩენისათვის მოქმედების სხვა ფორმას მიმართავს, შესაძლებელია უფრო ნაკლებად ეფექტურს.

უნარი მიმართულებას აძლევს მოტივაციის პროცესს, ამიტომ, ბუნებრივია, რომ პასუხისმგებლობა მოქმედების ან უმოქმედობისათვის ადამიანს მისი უნარების მიხედვითაც ეკისრება.

რამდენადაც ყველა ადამიანური უნარი პირდაპირ ან არა-

პირდაპირ მის საზოგადოებრივ-სასარგებლო მოქმედებას განაპირობებს, ამდენად ყველა ადამიანური უნარის ჰარმონიული განვითარება კომუნისტური აღზრდის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

მოტივის აღზრდა შეიძლება არა ერთი რომელიმე მოთხოვნილების, არამედ მოთხოვნილებათა სისტემისა და უნარების აღზრდით. ცალკეული მოთხოვნილებები და უნარები მოტივისათვის მხოლოდ ფაქტორებს წარმოადგენენ. რაც უფრო ძლიერი და მრავალი ფაქტორი მონაწილეობს საზოგადოებრივ-სასარგებლო მოქმედების მოტივაციაში, მით უფრო უზრუნველყოფილია ასეთი მოქმედების მოტივის შემუშავება. ზემოთ მოყვანილ მაგალითში მეორე პიროვნებას, რომელმაც დასახრჩობად განწირული ადამიანი შენიშნა, ცურვის უნარი რომ ჰქონოდა, მაშინ მას გაუჩნდებოდა მის გადასარჩენად უფრო ეფექტური მოქმედების — წყალში შესვლის მოტივი. მაგრამ ამ უნარის უქონლობამ შეაფერხა და სხვაგვარი მიმართულებით წარმართა მისი მოქმედება. ასეთ შემთხვევაში იგი ან სხვას მოუხმობს საშველად, ან თოკს გადაუგდებს წყალში ჩავარდნილს, ან ნავის ძებნას დაიწყებს და ა. შ.

მოტივის ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მოთხოვნილება და უნარი, მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. მიუხედავად ამისა, მათი ურთიერთდამოკიდებულება და განპირობებულობა მხოლოდ ზოგად ფორმაშია გამოკვლეული.

უნარების აღზრდისა და განვითარების კანონზომიერებანი ძირითადში ემთხვევიან მოთხოვნილებების აღზრდისა და განვითარების კანონზომიერებებს. უ ნ ა რ ე ბ ი და მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ე ბ ი ე რ თ მ ა ნ ე თ ს გ ა ნ ა პ ი რ ო ბ ე ბ ე ნ, ა მ ი-

ტომ ისინი მთლიანობაში უნდა იქნენ შეს-
წავლილი.

6. ზოგადი მოტივები

ჩვენ ზემოთ შევეხეთ ისეთ მოტივებს, რომლებიც იქმნება კონკრეტული მოთხოვნილებების გაცნობიერებით აღმოცენებული მოტივაციის პროცესის შედეგად, მაგრამ არსებობს ისეთი მოტივებიც, რომლებიც იქმნება ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე, პრაქტიკის საფუძველზე და ერთი რომელიმე კონკრეტული მოქმედების მოტივს კი არ წარმოადგენს, არამედ მრავალ გარეგნულად განსხვავებულ მოქმედებას განაპირობებს. ასეთ მოტივს ჩვენ ზ ო გ ა დ მ ო ტ ი ვ ს ვუწოდებთ. მისი სუბიექტური ფაქტორები ყალიბდება ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე კონკრეტული მოტივების გაერთიანების შედეგად.

ადამიანის ყოველი მოთხოვნილება, რომელიც მოტივაციას ედება საფუძვლად, ამავე დროს დამოკიდებულებაცაა. მართალია, დამოკიდებულება საბოლოოდ კონკრეტული მოთხოვნილებების საფუძველზე იქმნება, მაგრამ მასში კონკრეტული მოთხოვნილებების გარდა არის ზოგადი სოციალური მოთხოვნილებაც, რომელიც თითოეულზე არ დაიყვანება და არც მათ ჯამს წარმოადგენს. გარკვეულ მოთხოვნილებას სხვადასხვა ინდივიდებში სრულიად სხვადასხვა ნიუანსები გააჩნია იმისდა მიხედვით, თუ როგორია სოციალური წყობა, სუბიექტის ინტელექტუალური, მორალური, ესთეტიკური, ფიზიკური განვითარება, მოთხოვნილებათა შინაგანი სისტემა და მასზე აღმოცენებული ინტერესები, სურვილები, მისწრაფებები, საერთო მსოფლმხედველობა, შეგნება და ა. შ.

ყველა ეს მონაცემი მოტივაციის ფაქტორია. ამასთან, ცხოვრების პრაქტიკის საფუძველზე მათი ერთობლიობა ქმნის ზოგად მოტივს და დამოკიდებულებას, კონკრეტული მოთხოვნილებისა და მოქმედების საერთო ფონს.

ზოგადი მოტივი მოტივაციის ეტაპის ხელახალი გავლის გარეშე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უშუალოდ, თითქოს გადაწყვეტილების აქტის გარეშე იწვევს მოქმედებას, მაგრამ გადაწყვეტილება აქ მოხსნილი სახით არსებობს. გადაწყვეტილების მიღება რთულ პროცესს მხოლოდ მაშინ წარმოადგენს, როდესაც სუბიექტის წინაშე რაიმე ახალი ამოცანა დგება, ახალი მოთხოვნილება და სიტუაცია წარმოიშობა. ზოგადი მოტივისათვის კი ცალკეული მოქმედებები ახალი არ არის. ეს ამოცანა უკვე გადაწყვეტილია ზოგადი მოტივაციის ხანგრძლივი პროცესის შედეგად.

ამრიგად, ზოგადი მოტივის ჩამოყალიბება ხანგრძლივი პროცესია, რომელიც გარკვეულ სფეროში ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე უმუშავდება. ცალკეული მოქმედებები ხშირ შემთხვევაში ამ ზოგადი მოტივითაა განპირობებული და წარმართული.

მართალია, არსებობს კონკრეტული და ზოგადი მოტივები, რომელთაგან კონკრეტული საფუძვლად ედება მოქმედებას, ხოლო ზოგადი — ქცევას. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს მოქმედების მოტივის ჩამოყალიბებაში ქცევის მოტივები არ მონაწილეობდნენ. ყოველი კონკრეტული მოქმედების მოტივი ყალიბდება მოტივაციის პროცესში სუბიე-

ქტური და ობიექტური ფაქტორების შეპირისპირების საფუძველზე, რომელთაგან ზოგად მოტივს, ამ შემთხვევაში როგორც კონკრეტული მოქმედების ფაქტორს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ზოგადი მოტივი საფუძვლად უდევს მრავალ სხვადასხვა მოქმედებას, ქცევას, ხოლო კონკრეტული მოტივი — მხოლოდ ერთ რომელიმე მოქმედებას კონკრეტულ სიტუაციაში.

ზოგადი მოტივი კონკრეტული მოქმედებების საშუალებით ვლინდება, ამიტომ ზოგადი მოტივის გასაღებს ცალკეული მოქმედებები წარმოადგენს. ადამიანური არსების, ფსიქოლოგიის ეს მხარე ადამიანისათვის პრაქტიკულად ცნობილია. სწორედ ამიტომ ხდება, რომ ხშირად ერთი რომელიმე ეთქვათ, ამორალური მოქმედების საფუძველზე აკეთებენ დასკვნას ადამიანის შესახებ საერთოდ. მაგალითად, ანდაზა „ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი ერთიაო“, ხშირ შემთხვევაში სინამდვილეს შეეფერება, რადგან თუ ადამიანში არსებობს ქურდობის გამართლების ზოგადი მოტივი, მაშინ, ცხადია, სხვა სიტუაციაშიც მას შეუძლია იგივე მოქმედება გაიმეოროს მოთხოვნილების დაკმაყოფილების სხვა საშუალების მიმართ. ასეთი მოქმედების საფუძველზე ადამიანისა და მისი დანაშაულის შეფასებისათვის იმას კი არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუ რა ღირებულების ნივთი მოიპარა მან, არამედ იმას, რომ მას ქურდობის ზოგადი მოტივი და განწყობა აქვს, რომელიც ხელსაყრელ სიტუაციაში ყოველთვის მოქმედებაში გადავა. იგივე ვრცელდება იურიდიულად და მორალურად გაუმართლებელ სხვა მოქმედებაზეც.

არის ისეთი მოქმედებებიც, რომლებიც მორალურია თავისი გარეგნული ფორმით, მაგრამ მას საფუძვლად ამორა-

ლური მოტივი უდევს. ამ შემთხვევაში არ შეიძლება დადებითი მოქმედების განზოგადება როგორც ზოგადი დადებითი მოტივის შედეგისა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ უმართებულოა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მოქმედების ნაჩქარევი განზოგადება, რადგან ადამიანის ბუნება უფრო სრულად ქცევაში ვლინდება და არა მოქმედებაში. ხშირად უარყოფითი მოქმედების, თუ ის შემთხვევითი არ არის, განზოგადება უფრო მართებულია, ვიდრე დადებითისა. დადებითი მოქმედების უკან ხოლოდ საწინააღმდეგო მოტივი დგას, მაშინ როდესაც შეგნებული უარყოფითი მოქმედების უკან არ შეიძლება რაიმე ფარული მოტივის არსებობა. ეს მოქმედება სუბიექტისათვის გარეგნულადაც გამართლებული და შეუნიღბავია, ხოლო დადებითი მოქმედება ხშირად შენიღბული მოქმედებაა, რომლის უკან სხვა ფარული მოტივები დგას. ვხვდებით ისეთ მოქმედებასაც, რომლის შედეგი უარყოფითია, მაგრამ მისი მოტივი და მიზანი არ იყო უარყოფითი. არც ასეთი მოქმედების განზოგადება შეიძლება სუბიექტის შესაფასებლად. სუბიექტის სწორად შეფასებისათვის საჭიროა მისი მოქმედების მოტივისა და მიზნის გარკვევა. ამასთან, ადამიანის წამდვილ ბუნებას უფრო სრულად მისი ზოგადი მოტივები ვვაცნობენ და არა მხოლოდ გარეგნულად მოცემული მოქმედებები. ამიტომ ზოგადი მოტივების სწორად გარკვევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის აღზრდის თეორიასა და პრაქტიკაში.

7. ზოგადი მოტივი, ემოცია და აფექტი

ემოცია საერთოდ მოთხოვნილების თანმხლები მოვლენაა. დადებითი ან უარყოფითი ემოცია შესაბამისად დაკავშირებულია მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან და დაუკმაყოფილებლობასთან; მისი ინტენსივობა, ექსტენსივობა და ხანგრძლივობა განისაზღვრება წარმომშობი მოთხოვნილების იმავე თვისებებითა და ადამიანის ტემპერამენტით.

ემოციას, როგორც ფსიქიკურ მოვლენას, თავისი კანონზომიერებანი გააჩნია და უკუზემოქმედებას ახდენს მის წარმომშობ მიზეზზე. იგი, ერთი მხრივ, აძლიერებს ან ასუსტებს თავის წარმომშობ მოთხოვნილებას, მეორე მხრივ, წარმოშობს ახალ მოთხოვნილებას, თანაც ხშირად იმდენად ძლიერს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ადამიანი მოტივაციის სრულყოფილი პროცესის გარეშე პირდაპირ გადაჰყავს მოქმედებაში.

ვ. ი. ლენინი, დიდ როლს ანიჭებდა რა ემოციას ადამიანთა პრაქტიკულ ცხოვრებაში, წერდა: ადამიანური ემოციის გარეშე არასოდეს არ ყოფილა, არ არის და არ იქნება ადამიანისაგან ჭეშმარიტების ძიება.

ემოციის საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნილება ხშირ შემთხვევაში მოტივაციის პროცესს წარმოშობს და მისთვის დამახასიათებელი ეტაპების გავლის შემდეგ რაიმე მოქმედების განწყობითა და მოქმედების მოთხოვნილების წარმოშობით მთავრდება.

ზოგჯერ ემოციის შედეგად წარმოშობილი მოთხოვნილება თითქოს უშუალოდ, მოტივაციის პროცესის გავლის გარეშე გადადის მოქმედებაში. ასეთ ფაქტთან საქმე გვაქვს აფექტის

შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ითქვას, რომ აფექტის შედეგად გამოწვეული მოქმედება თითქოს მოტივაციის გარეშე მიმდინარეობდეს და ამიტომ მოქმედების სუბიექტი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას ან შეღავათს იმსახურებდეს თავისი მოქმედების უარყოფითი შედეგის გამო.

მართალია, აფექტის შემთხვევაში მოტივაციის პროცესი ძალიან შეზღუდულია, მაგრამ მოქმედებას მაინც გააჩნია თავისი მოტივი და, მაშასადამე, მოტივაციის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები. მხოლოდ აფექტის გამომწვევი ობიექტური პირობებით არ შეიძლება აიხსნას ადამიანის მოქმედება. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი და იგივე ობიექტური პირობები ყველა ინდივიდში ერთნაირ რეაქციასა და მოქმედებას ენდა იწვევდეს. მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს ასე არ ხდება. ერთი და იმავე ზემოქმედებაზე, ერთი და იმავე ობიექტურ პირობებში სხვადასხვა ინდივიდები განსხვავებულად მოქმედებენ. მაშასადამე, ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ მოტივაციის ისეთი სუბიექტური ფაქტორები, როგორიცაა ზოგადი მოტივი და დამოკიდებულება.

აფექტის დროს, მოცემულ სიტუაციაში, სუბიექტისათვის გამართლებული მოქმედების გადაწყვეტილება ზოგადი მოტივის საფეძველზე მიიღება, ხოლო მოტივაციის პროცესი ძასში მოხსნილი სახით მონაწილეობს. სამართლიანად მიუთითებს თ. გ. შავგულიძე,[1] რომ ნორმალური ადამიანი აფექტის

---

[1] იხ. Т. Г. Шавгулидзе, Психологическая структура поведения и уголовная ответственность. Журн. «Правоведение», изд. Ленинградского университета, 1970, № 4, гз. 51.

შემთხვევაშიც ნებისყოფის სუბიექტად რჩება, რის გამოც იგი პასუხს აგებს თავის მოქმედებაზე. მაგალითად, ობიექტით გ[illegible] [illegible]ული აღელვების დრ[illegible] პიროვნების ფიზიკურ შეუ[illegible]ოყოფის (რომელიც [illegible] [illegible] [illegible] შედეგით მთავრდება) [illegible]ლოდ ის ადამიანები მიმართავენ, რომელთაც ასეთი მოქ[illegible]ედების ზოგადი მოტივი აქვთ ჩამოყალიბებული. თუ ადამ[illegible]ს ფიზიკური ანგარიშსწორების ზოგადი მოტივი არ გააჩ[illegible]ნია, მაშინ იგი პიროვნებას, რომელმაც მისი აღელვება გამო[illegible]იწვია, იურიდიულად და მორალურად გამართლებული მოქ[illegible]ედებით გასცემს პასუხს.

8. მოტივი და მიზანი.

[illegible]ყოველდღიურ ცხოვრებაში, ხშირად მეცნიერებაშიც მოტი[illegible]ცია და მიზანს ერთნაირი მნიშვნელობით ხმაროპენ. სინამ[illegible]დვილეში მათ შორის არსებო[illegible] [illegible]განსხვავებაა. მიზანი უფრო ხშირად რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებაა (არის ისეთი მოქმედებაც, რომელიც თვითმიზანია). იგი პასუხობს კითხვას, რა უნდა გაკეთდეს? მაგალითად, თეატრში წასვლა, უცხო ენის შესწავლა, ტურისტული მოგზაურობა, ოჯახის შექმნა და სხვ. [illegible]ერკვეული მიმართებაში შეიძლება მოქმედების მიზნად იქცეს.

მოტივი მიზნის განხორციელებისათვის საჭირო მოქმედების გადაწყვეტილების საფუძველია. მოქმედების მოტივაციის პროცესში მიზანიც მონაწილეობს.

მიზანს ყოველთვის რაიმე მოთხოვნილება წარმოშობს, რომელსაც თავისი საგანი, დაკმაყოფილების შესატყვისი მოქმედება, დაკმაყოფილების იარაღები და საშუალებები გააჩ-

ნია. მაგალითად, ადამიანს გაუჩნდა მოთხოვნილება, რომ ჰეგელის ფილოსოფიური ნაშრომები ორიგინალში წაიკითხოს. ამიტომ მან მიზნად დაისახა გერმანული ენის შესწავლა. ენის შესწავლა წარმოადგენს საშუალებას ჰეგელის შრომების ორიგინალში წაკითხვისათვის. მაგრამ რატომ გახდა აუცილებელი ორიგინალში წაკითხვა? ამის შესახებ პასუხს გვაძლევს მხოლოდ მოტივი. ეს აუცილებლობა შეიძლება გამოიწვიოს მრავალმა გ ა რ ე მ ო ე ბ ა მ. მაგალითად, ადამიანი წერს მეცნიერულ შრომას მარქსიზმის რომელიმე პრობლემაზე. წყაროები, რომლებსაც იგი უნდა დაეყრდნოს, ან არ არის თარგმნილი მისთვის ხელმისაწვდომ ენაზე, ან თარგმნილია უხარისხოდ. აზრის ოდნავ გაბუნდოვანებას კი პრობლემის გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ გარემოებამ საბოლოოდ აუცილებელი გახადა გერმანული ენის შესწავლა და წაწარმოებების ორიგინალში წაკითხვა.

ამრიგად, გერმანული ენის შესწავლა, რაც მ ი ზ ნ ა დ დ ა ი ს ა ხ ა ადამიანმა, საშუალებაა გარკვეული მოთხოვნილების (ამ შემთხვევაში მეცნიერული პრობლემის გადაწყვეტისათვის საჭირო ლიტერატურის ორიგინალში წაკითხვის) დაკმაყოფილებისათვის. გერმანული ენის შესწავლის მოტივაციის პროცესში მონაწილეობას ღებულობს მრავალი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორი, რომელთა ურთიერთშეპირისპირების შედეგად ენის შესწავლა აუცილებლობად იქცევა. ეს ფაქტორები შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, სხვადასხვა მოთხოვნილებები, ინტერესები, მისწრაფებები, მიზნები, მოტივები, განწყობები და სხვა, რის გამოც ინდივიდმა პრობლემის დამუშავებას მოჰკიდა ხელი, მეორე მხრივ, სა-

ჭირო ლიტერატურის შესაბამისი თარგმანის არარსებობა ან თარგმანის უზუსტობა და ა. შ.

როგორც დავინახეთ, „ის, რაც გამოდის როგორც საშუალება, იქცევა მიზნად",[1] ხოლო მოტივი წარმოადგენს მიზნის ჰიღწევისათვის საჭირო ამა თუ იმ მოქმედების აუცილებლობად გადაქცევას მოცემულ სუბიექტურ და ობიექტურ გარემოში.

ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში იმიტომ აიგივებენ მოტივსა და მიზანს, რომ მიზანი წარმოშობს მოქმედების მოტივს ან თვით იქცევა სხვა მოქმედების მოტივად. გერმანული ენის შესწავლის მიზანმა შეიძლება წარმოშვას გერმანული სახელმძღვანელოების ყიდვის ან უცხო ენების შემსწავლელ კურსებზე სიარულის მოტივი. ამრიგად, საჭირო ლიტერატურის ორიგინალში წაკითხვის აუცილებლობამ წარმოშვა უცხო ენის შესწავლის მიზანი, როგორც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება. თავის მხრივ, ენის შესწავლის მიზანმა წარმოშვა მისი განხორციელებისათვის საჭირო სხვა მოქმედების მოთხოვნილება. ასეთი მოქმედება, როგორც საშუალება, შეიძლება იყოს წიგნის ყიდვა და დამოუკიდებლად მუშაობა, ან ენის შემსწავლელ კურსებზე სიარული. აქედან თუ რომელ მოქმედებას აირჩევს ადამიანი, ან რომელი მოქმედების მოტივი გაუჩნდება მას, დამოკიდებულია ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოტივაციის სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებზე, რომლებიც ამა თუ იმ მოქმედებას მოცემულ სუბიექტურ და ობიექტურ გარემო-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Из ранних произведений, გვ. 607.

ში, სიტუაციაში ყველაზე გამართლებულ, მიზანშეწონილ და აუცილებელ მოქმედებად აქცევენ. ამ მეორე მოქმედებასაც, როგორც ყოველ მოქმედებას, გააჩნია თავისი მოტივი და მიზანი, რამაც, თავის მხრივ, შეესაძლებელია სხვა მოქმედების მოტივი და მიზანი წარმოშვას და ასე შემდეგ, უსასრულოდ. მაგრამ ის მოტივი და მიზანი, რომელიც პირველად დაედო საფუძვლად მოქმედებათა ამ მთლიან სისტემას, განსხვავდება მასთან დაკავშირებული ყველა შემდგომი მოქმედების მოტივისა და მიზნისაგან. იგი წამყვანი მოტივი და მიზანია, ვინაიდან მასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების მოტივაციასა და მიზნის დასახვაში მონაწილეობს სხვა სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებთან ერთად და გადამწყვეტ როლს ასრულებს ამა თუ იმ მოქმედების მოტივის შემუშავებაში.

ადამიანის ცხოვრებაში ხშირია ისეთი მოქმედებები, რომელთა მოტივი და მიზანი გარეგნულად ნათლად არა ჩანს, მაგრამ მათი შეცნობა შესაძლებელია ქცევის კანონზომიერების შესწავლით, რაც სპეციალური კვლევის საგანს წარმოადგენს. ამ კვლევის პრობლემათა რიგს ეკუთვნის ზოგადი მოტივები, მიზნები, განწყობები და მათი სოციალური განსაზღვრულობა, რომელთაც ჩვენ სპეციალურად არ ვიხილავთ. ვეხებით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი უკავშირდება ამ შრომაში დასმულ ძირითად საკითხებს.

ფილოსოფიურ ლიტერატურაში ხშირად მოტივი მიზანთანაა გაიგივებული: „მიზანი — ეს უშუალო შეგნებული მოტივია, რომელიც წარმართავს და არეგულირებს მოქმედებას“,[1] — ვკითხულობთ ფილოსოფიურ ლექსიკონში. მიზნის

[1] Философский словарь, 1968, გვ. 496.

მოტივთან და სხვა კატეგორიებთან არევის ნიმუშია „ეთიკის მოკლე ლექსიკონში“ მოცემული განმარტებაც, რომლის მიხედვით „...მიზანი გამოდის განზრახვის, მოტივისა და იდეალის ფორმაში“[1].

მოტივისა და მიზნის გაიგივება ფართოდაა გავრცელებული.

სინამდვილეში მოტივი და მიზანი, როგორც აღვნიშნეთ, არსებითად განსხვავებული მოვლენებია. მარქსიზმის ფუძემდებლები მათ განიხილავენ როგორც განსხვავებულ კატეგორიებს.

„მოტივი — ეს ინდივიდის რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილების ამა თუ იმ მოქმედების სუბიექტურ აუცილებლობად ქცევაა, გადაწყვეტილების საფუძველია, რომელიც წარმოიშობა მოტივაციის პროცესში მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოქმედების სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების შეპირისპირებისა და ურთიერთზემოქმედების შედეგად.

მიზანი — ეს იდეალურად მოცემული მოქმედების შედეგია, რომელიც ადამიანის რაიმე მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. მაგალითად, დაძაბული გონებრივი მუშაობის შემდეგ ადამიანს გაუჩნდა მოთხოვნილება, რომ დაისვენოს. დასვენება შეიძლება პასიურად და აქტიურად. აქტიური დასვენებაა, მაგალითად, გაზეთის ან მხატვრული ლიტერატურის კითხვა, კინოში ან თეატრში წასვლა, ბაღში გასეირნება ან ამხანაგთან საუბარი და სხვა მრავალი მოქმედება.

---

[1] Краткий словарь по этике, 1965, გვ. 481—482.

ამ მრავალი შესაძლო მოქმედებიდან ადამიანი იმ მოქმედებას ირჩევს, რომელიც მოცემულ სიტუაციაში მისთვის ყველაზე მისაღებია, ე. ი. რომლის ბიმართაც მას მოტივი გამოუმუშავდება.

ამრიგად, თუ აქტიური დასვენების მოთხოვნილების დაკმაყოფილება მიზნად იქცა, რა მოქმედებას მიმართავს ადამიანი ამ მიზნის მისაღწევად, ეს მოტივზეა დამოკიდებული. მართალია, მიზანი მოტივაციის პროცესში მონაწილეობს და გარკვეულად წარმართავს კიდეც მას, მაგრამ ეს ფაქტი იმის უფლებას არ გვაძლევს, რომ მიზანი და მოტივი გავაიგივოთ. მიზნის გარდა მოტივის შემუშავების პროცესში ბევრი სხვა ფაქტორიც მონაწილეობს. არის შემთხვევები, როდესაც მიზანი მოთხოვნილების მსგავსად ამა თუ იმ მოქმედების მოტივის როლშიც გამოდის. მაგრამ ეს უკვე თავის დროზე მოტივირებული მოქმედებაა, რომელშიც მოტივი, როგორც ამ მიზნის მისაღწევად საჭირო მოქმედების საფუძველი, მოხსნილი სახით იგულისხმება.

მოტივი ჩვეულ მოქმედებებში მოტივაციის პროცესის გაქრობის შედეგად იმდენად ერწყმის მოქმედების მოთხოვნილებას და მიზანს, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ეს უკანასკნელნი მოტივებია. მაგრამ საჭიროა გავაანალიზოთ ახალი მოქმედება, რომელსაც თან ახლავს მოტივაციის რთული ფსიქოლოგიური პროცესი, რომ ნათელი გახდეს მოტივის არსებითი განსხვავება როგორც მოთხოვნილებისაგან, ისე მიზნისაგან.

ყოველ მოქმედებას გააჩნია აღმძვრელი, მიზანი, მიზნის მიღწევის საშუალებები. აღმძვრელის როლში ყოველთვის მოთხოვნილება გამოდის, რომელიც, გარემოს ზეგავლე-

ნით ყალიბდება და შესაბამის სიტუაციაში აქტიურდება. გაცნობიერებული მოთხოვნილება წარმოშობს მიზანს, ხოლო მიზნის მიღწევისათვის თუ რა მოქმედებას მიმართავს ადამიანი, — ეს მოტივით განისაზღვრება. მაგალითად, როდესაც მუშა აცნობიერებს თავის ექსპლუატირებულ მდგომარეობას და მიზნად ისახავს ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლას, მისი მოქმედების ფორმები დამოკიდებულია მოტივაციის სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებზე, გარემოებაზე. „ადამიანის თავში უნდა განვლოს ყველაფერმა, რაც მას ამოძრავებს, — წერს ფ. ენგელსი, — მაგრამ თუ როგორ სახეს მიიღებს ეს მის თავში, დიდად არის დამოკიდებული გარემოებაზე“.[1]

ადამიანი თავის სიცოცხლის მანძილზე მრავალ მოქმედებას ასრულებს, რომლებიც ხშირი განმეორების შედეგად ჩვევაში გადადის და მოტივაციის პროცესის გარეშე სრულდება. მაგრამ საკმარისია არსებითი ცვლილებები მოხდეს ჩვეულ სიტუაციაში, მოქმედების სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებში, რომ მოტივაციის პროცესი კვლავ განახლდეს და იმავე მოთხოვნილებისა და მიზნისათვის ადამიანმა სრულიად სხვა მოქმედებას მიმართოს.

ერთი და იგივე მიზანი შეიძლება სხვადასხვა მოქმედებით განხორციელდეს, რომელთაგან თითოეულ მოქმედებას თავისი მოტივი გააჩნია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს მიზანს რამდენიმე მოტივი ჰქონდეს, მ ო ტ ი ვ ი გ ა ა ჩ ნ ი ა მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს დ ა ა რ ა მიზანს. მიზანი მხოლოდ მონაწილეობს მოტივაციის პროცესში და სხვა ფაქტორებთან ერთად

---

1 კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 472

გარკვეულ მიმართულებას აძლევს ამ პროცესს. მოქმედების უშუალო საფუძველი მოტივია. მოტივი აუცილებლობით წარმოშობს გადაწყვეტილებას, განწყობას და მოქმედების მოთხოვნილებას.

ამრიგად, მიზანი — ეს არის მოქმედების წინასწარგანზრახული შედეგი, რომელიც მოქმედი სუბიექტის რაიმე მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. მოტივი მიზნის მიღწევისათვის საჭირო ამა თუ იმ მოქმედების გადაწყვეტილების საფუძველია, ამა თუ იმ მოქმედების სუბიექტურ აუცილებლობად ქცევაა მოცემულ სიტუაციაში. მოტივს მრავალი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორი გააჩნია, მაგრამ იგი არც ერთ მათგანზე არ დაიყვანება.

ყოველი ნებისმიერი მოქმედება მოტივირებული და მიზნობრივია. მოტივი, როგორც აღვნიშნეთ, მოცემულ სიტუაციაში მიზნის მისაღწევად სუბიექტისათვის ყველაზე მისაღები მოქმედების საფუძველია. მაგალითად, როდესაც ადამიანმა მიზნად დაისახა აქტიური დასვენება, ეს მიზანი განაპირობებს ადამიანის მოქმედებას, მაგრამ კინოში წავა იგი თუ თეატრში, მხატვრულ ლიტერატურას წაიკითხავს თუ ამხანაგთან გაისეირნებს, ეს დამოკიდებულია მოქმედების მოტივზე.

ზოგიერთი მკვლევარი, რომელსაც სურს დაამტკიცოს მოტივისა და მიზნის იგივეობა, იმოწმებს მარქსის დებულებას შრომის პროცესის შესახებ: ადამიანი „...ბუნებით მოცემულში (იგულისხმება შრომის საგანი — დ. კ.) ახორციელებს თავის შეგნებულ მიზანს, რომელიც, როგორც კანონი, მისი მოქმედების წესსა და ხასიათს განსაზღვრავს და რომელსაც მან თავისი ნებისყოფა უნდა დაუქვემდებაროს"[1]. მარქსი აქ ეხება შრომის

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 228.

პროცესს როგორც მოტივირებულ მოქმედებას და მიზანს, რო გორც უკვე მოტივირებული მოქმედების მიზანს. რა თქმა უნ-და, გადაწყვეტილება, რომელიც გარკვეული მიზნის განხორ-ციელებას ემსახურება, ამ უკანასკნელს ექვემდებარება, ხოლო მიზანი, როგორც კანონი, განსაზღვრავს მოქმედების ხასიათსა და წესს საერთოდ, რადგან მიზნის გარეშე არ წარმოიშობა არც მოტივაციის პროცესი და არც გადაწყვეტილება. მიუხედავად ამისა, ამ ფაქტიდან არ გამომდინარეობს ის დასკვნა, თითქოს მიზანი და მოტივი ერთი და იგივე იყოს. ამ დასკვნას არც თვი-თონ კ. მარქსი აკეთებს. პირიქით, სადაც კი ეხებიან კ. მარქსი და ფ. ენგელსი მიზნისა და მოტივის საკითხებს, ყველგან ნათ-ლად ჩანს, რომ წარმოშობის მხრივ მათ არსებითად განსხვავე-ბულ მოვლენებად მიიჩნევენ.

9. საგნობრივი და სოციალური მიზანი და მოტივი

ხშირად ურევენ ერთმანეთში მოქმედების საგანსა და მი-ზანს, ამიტომ საჭიროა მათი გამიჯვნა. ადამიანი თავის სიცოცხ-ლეში უმეტესად ასრულებს ისეთ მოქმედებას, რომლის საგანი და მიზანი არსებითად განსხვავებულია ერთიმეორისაგან. მაგა-ლითად, მუშისათვის, რომელიც ფოლადს ადნობს, ფოლადი მოქმედების საგანს წარმოადგენს, მაგრამ მიზანი სხვადასხვა-გვარი შეიძლება იყოს. ხელოსნისათვის, რომელიც ფეხსაც-მელს კერავს, მოქმედების საგანი ფეხსაცმელია, მაგრამ ფეხ-საცმლის შეკერვის მიზანი, თავის მხრივ, შეიძლება იყოს მისი პირადი მოხმარება, გაყიდვა, გაცვლა და სხვ. პირველს, ე. ი. მოქმედების საგანს ჩვენ ვუწოდებთ საგნობრივ მიზანს, ხოლო მეორეს, რომელიც მოქმედების საგნის დანიშნულებას გულის-

ხმობს, — სოციალურ მიზანს. ადამიანის ყოველი მოქმედება საზოგადოებრივი მოქმედებაა და მასში საგნობრივ მიზანთან ერთად მოცემულია მისი საზოგადოებრივი მიზანიც. სოციალური დანიშნულება, სულ ერთია, ესმის თუ არა იგი მოქმედ სუბიექტს.

მოქმედების სოციალური მიზანი იმდენად ახლოსაა მოქმედების მოტივთან, რომ მეცნიერულ ლიტერატურაში მათ ხშირად აიგივებენ კიდეც. სინამდვილეში, როგორც აღვნიშნეთ, ყველა მიზნისა და მოტივის გაიგივება არ შეიძლება. მოტივთან შეიძლება გაიგივებულ იქნეს მხოლოდ სოციალური მიზანი, ისიც იმ მოქმედებისა, რომელიც ერთსა და იმავე სოციალურ გარემოში მრავალგზის განმეორების შედეგად უკვე ჩვეულებად გადაქცეული. ამასთან, ამ შემთხვევაშიც მიზანი კი არ გადმოდის მოტივის როლში, არამედ მოტივი იქცევა მიზნად. მათი ერთიანება ხდება. სხვა შემთხვევაში მიზნისა და მოტივის გაიგივება, ვფიქრობთ, შეცდომაა.

სოციალური მიზანი, ისევე როგორც მოტივი, უშუალოდ არ ჩანს არც მოქმედების პროცესსა და არც შედეგში. ცალკეული მოქმედების პროცესსა და შედეგში ნათლად ჩანს მხოლოდ საგნობრივი მიზანი.

სოციალური მიზანი და მოტივი ვლინდება ადამიანის ქცევაში, რომლის საშუალებითაც შეიძლება დადგინდეს ცალკეული მოქმედების მოტივი და სოციალური მიზანი.

10. მოტივი და რწმენა

/ რწმენას ჩვენ განვიხილავთ როგორც მოტივის ერთ-ერთ არსებით თვისებას/ მოტივის წარმოშობა ნიშნავს მოცემული

სიტუაციის დროს ამა თუ იმ მოქმედების აუცილებლობაში დარწმუნებას. ამასთან, გარკვეული რწმენა ახლავს მოტივაციის თითოეულ ფაქტორს, რომლებიც მონაწილეობენ და წამყვან როლს ასრულებენ მოტივისა და ახალი რწმენის შემუშავებაში.

ადამიანის ყოველ მოქმედებას თან ახლავს რწმენა მისი მიზანშეწონილებისა და აუცილებლობის შესახებ, სულ ერთია ეს მოქმედება ობიექტურად აუცილებელი და მიზანშეწონილია, თუ არა. რწმენა იმდენად შერწყმულია მოქმედების მოტივთან, რომ ზოგჯერ მათ აიგივებენ კიდეც. მაგალითად, „ეთიკის მოკლე ლექსიკონში" ვკითხულობთ, რომ რწმენა, წინ უსწრებს რა ადამიანის ქცევას, თითქოს ღებულობს მოტივის ფორმას, რომლითაც ის ხელმძღვანელობს თავის მოღვაწეობაში.[1] სინამდვილეში, ვფიქრობთ, ნებისმიერ მოქმედებაში რწმენა კი არ ღებულობს მოტივის ფორმას, არამედ, პირიქით, პირველ რიგში მოტივი ღებულობს რწმენის ფორმას. მოტივი, კონკრეტულია იგი თუ ზოგადი, ყოველთვის წინ უსწრებს შესაბამის რწმენას და საფუძვლად ედება მას.

რწმენის შინაარსი შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი, ჭეშმარიტი ან ყალბი, საზოგადოებისათვის სასარგებლო ან საზიანო.

მიუხედავად იმისა, რომ რწმენა მოტივაციის პროცესში მონაწილე სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთზემოქმედების შედეგია, იგი, ისევე როგორც მოტივი, სუბიექტური მოვლენაა. მოტივის შემუშავების მექანიზმი ამასთანავე რწმენის შემუშავების მექანიზმიცაა.

---

[1] იხ. Краткий словарь по этике, გვ. 458.

'რწმენას გააჩნია თავისი სუბიექტი და ობიექტი. სუბიექტი შეიძლება იყოს ინდივიდი, კოლექტივი, კლასი, საზოგადოება და ა. შ., ხოლო ობიექტი — სინამდვილის ყოველი მოვლენა და ყოველი შინაარსი, რაც სუბიექტის ცნობიერებაში მოცემულია საგნების, მოვლენების, იდეოლოგიური, პოლიტიკური, იურიდიული, ფილოსოფიური, ისტორიული, პედაგოგიური და სხვა შეხედულებათა სახით.'

'რწმენა არის ხიდი შემეცნების სუბიექტსა და ობიექტს შორის, რომლის საყრდენებს მოთხოვნილებები და მოტივები წარმოადგენენ.'

რწმენა არ არსებობს ცნობიერების გარეშე. ამიტომ რწმენის არსების გარკვევისათვის აუცილებელია მისი განხილვა ცნობიერებასთან კავშირში.

ცნობიერება არის ობიექტური სინამდვილის ასახვის უმაღლესი ფორმა. მის შინაარს ქმნის სინამდვილის „ცოცხალი განჭვრეტა" და აზროვნება.

ცნობიერება მოიცავს ორ არსებითად განსხვავებულ მოვლენას—ცოდნას და დამოკიდებულებას. ცოდნა—ეს არის ცნობიერების შინაარსი, რომელშიც ასახულია საგნები და მოვლენები, ადამიანთა კავშირები და ურთიერთდამოკიდებულებანი. დამოკიდებულება ნიშნავს ცოდნის ადგილს ადამიანის მოთხოვნილებათა შინაგან სისტემაში. დამოკიდებულებაც ცნობიერების შინაარსია, მაგრამ ცოდნისაგან განსხვავებით იგი გამოხატავს ადამიანის აქტიურ ურთიერთობას, მისშინაგან

პოზიციას გარესამყაროს საგნებისადმი.

ყოველი დამოკიდებულება ამასთან ცოდნაა, ცნობიერების შინაარსია. მაგრამ ყოველი ცოდნა არ არის დამოკიდებულება. შესაძლებელია ადამიანმა იცოდეს კომუნისტური შრომის შინაარსი, მაგრამ არ ჰქონდეს გამომუშავებული კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი. ცოდნა—განათლების, ხოლო დამოკიდებულება აღზრდის შედეგია.

ცოდნა იდეების, თეორიების სახით მხოლოდ მაშინ იქცევა მატერიალურ ძალად და წარმართავს ადამიანების მოქმედებას შესატყვისი მიმართულებით, როდესაც იგი მათ დაეუფლება. მარქსიზმის ფუძემდებლები თეორიის დაუფლებაში გულისხმობენ მის გადაქცევას ცოდნიდან პრაქტიკულ მოთხოვნილებად. ადამიანის აღზრდა საბოლოოდ ნიშნავს მასში გარკვეული დამოკიდებულებების შექმნას. ცოდნის მიცემა, განათლება აღზრდის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ აღზრდას არ ნიშნავს. შეიძლება ადამიანს კომუნისტური განათლება ჰქონდეს, მაგრამ კომუნისტურად აღზრდილი არ იყოს. ჩვენ ბევრი გვყავს კომუნისტურად განათლებული ადამიანი, რომლებიც კომუნისტური ზნეობის ნორმებზე სხვებისათვის შესანიშნავ ლექციებსაც კითხულობენ, მაგრამ, სამწუხაროდ, იმავე ნორმებს პრაქტიკულ ცხოვრებაში თვითონვე არღვევენ. ადამიანი კომუნისტურად შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ პრაქტიკულ მოქმედებაში, რომლის დროსაც ყალიბდება რეალური დამოკიდებულების ფაქტორები და მოტივები. დამოკიდებულება ადამიანს წარმართავს შესატყვისი პრაქტი-

კული მოქმედებისაკენ. ცოდნა მხოლოდ მოტივაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

დამოკიდებულებას ხშირად აიგივებენ რწმენასთან, რაც, ჩვენი აზრით, არასწორია. მართალია, ზნეობის სფეროში ისინი ზოგჯერ ემთხვევიან ერთიმეორეს, მაგრამ იგივეობრივნი მაინც არ არიან. დამოკიდებულება ყოველთვის აქტიურ ურთიერთობას გულისხმობს, მაშინ როდესაც რწმენას პასიური მხარეც გააჩნია. მაგალითად, მე ვიცი, რომ ნაპოლეონი გარდაიცვალა 1821 წლის 5 მაისს და მჯერა ეს, მაგრამ ამ ფაქტის რწმენა რაიმე აქტიურობას არ მაკისრებს.

რწმენა და დამოკიდებულება ერთიმეორეს განაპირობებენ, მაგრამ წარმოშობის თვალსაზრისით ერთი და იმავე ცოდნის ნიმართ რწმენა წინ უსწრებს დამოკიდებულებას. დამოკიდებულება რწმენის შემდეგი ეტაპია.

თავის მხრივ, რწმენა ამა თუ იმ მოქმედების აუცილებლობის შესახებ, როგორც მოტივის თვისება, გადაწყვეტილების მიღებას განაპირობებს.

უნდა განვასხვაოთ რწმენა, რომელიც ახლად იქმნება მოტივაციის პროცესის შედეგად, იმ რწმენისაგან, რომელიც მონაწილეობს მოტივაციის პროცესში როგორც ფაქტორი. თავის მხრივ, მოტივაციის შედეგად ახლად შექმნილი რწმენა სხვა მოქმედების მოტივაციის პროცესში მონაწილეობს მოტივაციის ფაქტორის სახით.

ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება, როგორც კ. მარქსი გვასწავლის, არსებითად პრაქტიკულია და ყოველი თეორია თავის ახსნასა და დადასტურებას პრაქტიკაში პოულობს. ამი-

ტომ, თუ ადამიანმა თეორიისადმი რწმენა დაკარგა, ამის მიზეზი პრაქტიკაში უნდა ვეძიოთ და არა თეორიაში, იდეოლოგიაში. ცნობიერებაში არის ცოდნის ისეთი შინაარსიც, რომლის უშუალოდ შემოწმება თითოეულ ადამიანს პრაქტიკულად არ შეუძლია. ამ შემთხვევაში ცნობიერების შინაარსში დარწმუნებულობის საკითხს წყვეტს ინფორმაციის, ცოდნის წყაროს ავტორიტეტი, რაც საბოლოოდ საზოგადოებრივი პრაქტიკითაა განპირობებული.

ადამიანებს გარკვეული რწმენა და დამოკიდებულება აქვთ ბუნებისა და საზოგადოების ცალკეული საგნებისა და მოვლენების მიმართ. ისინი სუბიექტში ქმნიან რწმენისა და დამოკიდებულების ერთ მთლიან შინაგან სისტემას. ეს სისტემა, თავის მხრივ, ლოგიკური გზით, აბსტრაქციის საშუალებით, წარმოშობს რწმენის ახალ სფეროებს, რომლებიც, გაივლიან რა პრაქტიკულ შემოწმებას, რწმენის ერთი მთლიანი სისტემის შემადგენელ ნაწილებად იქცევიან. ეს პროცესი საბოლოოდ საფუძვლად ედება მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას.

რწმენა ამა თუ იმ საგნისა და მოვლენის შესახებ ყოველთვის ინდივიდის საკუთარი აბსტრაქციის შედეგია. იგი შინაგანი დამოკიდებულებაა ცნობიერებაში ასახული შინაარსისადმი, ცოდნისადმი.

ადამიანის ცნობიერებაში ცოდნის სახით მრავალი თეორიული დებულებაა, შინაარსია, რომელთა მიმართ მას ჯერ კიდევ გარკვეული პოზიცია არა აქვს. თეორიული ცოდნის მიმართ რწმენა მხოლოდ მაშინ უმუ-

შავდება ადამიანს, როდესაც ცოდნის ამ შინაარსში დამოუკიდებლად გაერკვევა და თავისთვის თვითონ ახლად აღმოაჩენს მას. „მხოლოდ მაშინ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — თუ თქვენ ისწავლით დამოუკიდებლად გაერკვეთ (ხაზგასმა ჩვენია — დ. კ.) ამ საკითხში, — მხოლოდ მაშინ შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ საკმაოდ მტკიცე ხართ თქვენს რწმენაში და შეგიძლიათ საკმაო წარმატებით დაიცვათ იგი ყველას წინაშე და ყოველთვის“[1]

ამრიგად, ცოდნის მასალის არა დაზეპირება, არამედ დამოუკიდებლად გარკვევა, გააზრება ვ. ი. ლენინს მისდამი რწმენის უცილებელ პირობად მიაჩნდა. ამისი ერთ-ერთი საფუძველია მოვლენების კანონზომიერებათა ღრმად შესწავლა მათ ურთიერთქმედებასა და განპირობებულობაში. მაგალითად, რწმენა იმის შესახებ, რომ კომუნიზმი საზოგადოების განვითარების ისტორიული აუცილებლობაა, შემუშავდება მხოლოდ საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების ღრმად შესწავლით, ისე როგორც ამას ვ. ი. ლენინი მოითხოვს, და არა ამ დებულების დაზეპირებით.

თეორიული ცოდნის რწმენად გადაქცევის საქმეში გადამწყვეტი როლი პრაქტიკას ენიჭება. პრაქტიკა ხშირად ამა თუ იმ მოვლენის კანონზომიერების თეორიული ცოდნის გარეშეც წარმოშობს რწმენას. მაგალითად, ასროლილი ქვა რომ ძირს ჩამოვარდება, ან წყალში ჩაძირული სხეული წონას რომ დაკარგავს, ამაში ის ადამიანებიც არიან დარწმუნებული, რომელთაც ნიუტონისა და არქიმედის კანონები არ შეუსწავლიათ. მაგრამ ამ კანონების შესწავლა კიდევ უფრო ნათელს ხდის აღ-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 554.

ნიშნული მოვლენების შინაარსს, იგი კანონის სახით ყალიბდება ადამიანის ცნობიერებაში და მეცხიერულ რწმენად აქცევს პრაქტიკით მიღებულ ცოდნას.

თეორია ესაჭიროება ადამიანებს პრაქტიკის ღრმად გარკვევასა და გააზრებაში. ამიტომ მასების კომუნისტურად აღზრდის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იდეოლოგიურ მუშაობას. კომუნისტური იდეოლოგიის დანიშნულება განსხვავებით ბურჟუაზიული იდეოლოგიისაგან სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დაეხმაროს ადამიანებს სინამდვილის სწორად შემეცნებაში, საზოგადოებრივი მოვლენების კანონზომიერებათა გარკვევაში.

თეორიის პრაქტიკასთან კავშირი იდეოლოგიური მუშაობის პირველესი ამოცანაა, რადგან მხოლოდ იგი განაპირობებს რწმენის ჩამოუშავებასა და ამ მუშაობის წარმატებას.

ასაბუთებს ლენინური თეორია თავის პრაქტიკულ გამოყენებას უველაზე მეტად იდეოლოგიურ მუშაობაში საჭიროებს. პროპაგანდისტს უნდა შესწევდეს ამ თეორიის შემოქმედებითად გამოყენების უნარი, რათა პოლიტიკური სწავლება ფორმალურ და მოსაწყენ საქმედ არ გადაიქცეს.

თეორიული სწავლების კავშირი პრაქტიკასთან ოთხ ძირითად მომენტს გულისხმობს:

1. თეორიის გააზრებას, გაანალიზებას მსმენელებისათვის ცნობილი და მისაწვდომი პრაქტიკული მაგალითების საშუალებით, ე. ი. თეორიის ზოგადი დებულებების დადასტურებას თვალსაჩინო ფაქტებით;

2. თეორიის ზოგადი ამოცანიდან მსმენელის გადაყვანას კონკრეტულ ამოცანებზე, ისე რომ ამოცანის განხორციელების საზოგადოებრივ ინტერესში პიროვნებამ ნათლად დაინახოს

თავისი პირადი. კონკრეტული ინტერესი, ე. ი. საზოგადოებრივი ინტერესი შეისისხლხორცოს როგორც პირადი ინტერესი;

3. თეორიით ნაგულისხმები თუ ნაკარნახევი ესა თუ ის მოქმედება შეცნობილ იქნეს როგორც ობიექტური აუცილებლობა.

4. ობიექტური აუცილებლობის ქცევა მოქმედების სუბიექტურ აუცილებლობად, მოტივად და დამოკიდებულებად.

ეს მომენტები თეორიას ხდიან დამაჯერებლად, თეორიულ მოთხოვნილებას აქცევენ მრწამსად, ხოლო მას ეანხორციელებს — პრაქტიკულ მოთხოვნილებად.

იდეოლოგიურ მუშაობაში ზემოქმედების ობიექტი — ადამიანი ჯერ კიდევ ყოველთვის არ არის გათვალისწინებული როგორც აქტიური სუბიექტი. კ. მარქსის საყვედური ძველი მატერიალისტების მიმართ (ფოიერბახის ჩათვლით), რომ ისინი ადამიანებს განიხილავდნენ მხოლოდ პასიური ობიექტის სახით, რის გამოც მოქმედ მხარეს იდეალიზმი ავითარებდა, ჯეროვნად უნდა გაითვალისწინონ იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებმა.

ადამიანს უამრავი მოთხოვნილება, ინტერესი, განწყობა და დამოკიდებულება გააჩნია თავისი შინაგანი სამყაროს სახით, რომლის პრიზმაშიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადატყდება გარეგანი ზემოქმედება, იდეოლოგიური ხასიათის იქნება იგი თუ სხვ. რა რეაგირებას მოახდენს ადამიანი ამ ზემოქმედებაზე, ეს დამოკიდებულია არა მარტო ზემოქმედების წყაროზე, შინაარსზე, არამედ იმაზეც, თუ როგორია ზემოქმედების ობიექტის, როგორც სუბიექტის, შინაგანი სამყარო.

როგორც ცნობილია, ადამიანის მოქმედების ორი მთავარი სტიმული არსებობს — მატერიალური და მორალური. ეს სტიმულები გამომდინარეობენ შესაბამისი მატერიალური და მო-

რალური. კულტურული მოთხოვნილებებიდან. კომუნიზმის საბოლოო მიზანიც სწორედ ამ მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილებაა. ყოველი მოქმედება, რა გარეგანი ფაქტორებითაც არ უნდა იყოს გამოწვეული, — იძულებით, მოვალეობით თუ სხვა, საბოლოოდ ამ ორი მთავარი მოთხოვნილების რეალიზაციაა შესატყვის სიტუაციაში. ცხადია, ადამიანს მოთხოვნილების გარეშე არაფრის გაკეთება არ შეუძლია, იდეები ყოველთვის მოთხოვნილებების საფუძველზე ხორციელდება, ყოველი მოქმედებისას ადამიანი თავისი საკუთარი თავიდან გამოდის და თავის შეგნებულად დასახულ მიზანს მისდევს. მაგრამ ამ ჭეშმარიტებას ხშირად არ ითვალისწინებენ იდეოლოგიურ მუშაობაში, რაც ხელს უშლის მასებზე მისი ზემოქმედების ეფექტურობას და კომუნისტური რწმენის განმტკიცებას. ამიტომაც მოითხოვდა ვ. ი. ლენინი პოლიტიკური მუშაკებისაგან: მათ უნდა შესწევდეთ უნარი უტყუარად გაარკვიონ ყოველ საკითხსა და ყოველ მომენტში მასის განწყობილება. მისი ნამდვილი მისწრაფებანი, მოთხოვნილებანი, აზრი...“[1].

იდეოლოგიური მუშაობის წარმატების აუცილებელი პირობაა ადამიანის მოქმედების მოტივებისა და რწმენის შემუშავების კანონზომიერებებისა და ფაქტორების დადგენა, მათი გამოყენება მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში.

ადამიანის, როგორც სოციალური არსების, დამოკიდებულებაში გარესამყაროს საგნებისა და მოვლენებისადმი გადამწყვეტ როლს ასრულებს ამ უკანასკნელთა მნიშვნელობა, ღირებულება. ადამიანს აქვს შინაგანი, თანდაყოლილი მისწრაფება, რომ ადვილად ირწმუნოს და დაიჯეროს ის, რაც მისთვის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 217.

მნიშვნელოვანი და სასარგებლოა, ღირებულია. ეს ტენდენცია იმდენად ძლიერია, რომ როდესაც ადამიანები ობიექტურ სინამდვილეში ვერ ხედავდნენ იმას, რასაც მათთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაშინ თავიანთი ფანტაზიით თვითონვე ქმნიდნენ ასეთ მოვლენებსა და საგნებს.

სოციალური ფსიქოლოგები, რომლებიც დარწმუნების პრობლემას იხილავენ, იმ საერთო დასკვნამდე მიდიან, რომ დარწმუნების საუკეთესო მეთოდია ადამიანთა წარმოდგენებში მნიშვნელობის შესახებ ცვლილებების შეტანა[1].

თავისთავად თეორიის ცოდნა არ წყვეტს რწმენისა და დამოკიდებულების საკითხს. ზოგიერთმა ბურჟუაზიულმა იდეოლოგმა, მაგალითად, ძალიან კარგად იცის მარქსისტული მოძღვრება კაპიტალისტური წყობილების დამხობის ისტორიული გარდუვალობის შესახებ, მაგრამ ამის ცოდნა არ იქცევა ამ იდეოლოგების მოქმედების მოტივებისა და რწმენის ფაქტორად.

მარქსიზმის ფუძემდებლები არაერთგზის მიუთითებენ, რომ თეორიები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს, როდესაც ადამიანებისათვის მათი განხორციელება საკუთარი მოთხოვნილებების განხორციელება იქნება, როდესაც იგი იქცევა მათ პირად საქმედ, პირად ინტერესად და რწმენად.

ჩვენში შეხვდებით ზოგიერთ პოლიტიკურად განათლებულ ინტელიგენტს, რომელმაც კარგად იცის კომუნისტური თეორია, მისი ცალკეული დებულებები, პრაქტიკაში კი ამ თეორიის განხორციელებისათვის ცოტას აკეთებს. კიდევ მეტიც, ხშირად მის საწინააღმდეგოდაც იქცევა. ეს ხდება იმის გამო, რომ თე-

---

[1] იხ. Дж. Миллер, Е. Галантер и К. Прибрам, Планы и структура поведения, გვ. 87.

ორია მისთვის ჯერ კიდევ არ ქცეულა შინაგან კუთვნილებად, რწმენად და დამოკიდებულებად.

კომუნისტური აღზრდა, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის, არ ნიშნავს მხოლოდ კომუნისტური იდეების, თეორიების ცოდნასა და დაზეპირებას. აღზრდა საბოლოდ პრაქტიკის შედეგია. ასე რომ არ იყოს, მაშინ კომუნისტური აღზრდა ძალიან იოლი საქმე იქნებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, ცოდნასა და დამოკიდებულებას შორის არსებითი განსხვავებაა. ცოდნა თეორიულ სფეროს ეკუთვნის, დამოკიდებულება — პრაქტიკულს, მათ შორის თავსდება პრაქტიკული მოქმედების მოტივაციის რთული ფსიქოლოგიური პროცესი, რომელშიც ცოდნაც ღებულობს მონაწილეობას როგორც ერთ-ერთი ფაქტორი. მაგრამ მოქმედებას საბოლოდ წარმართავს არა ცოდნა, არამედ მოქმედების მოტივის საფუძველზე წარმოშობილი რწმენა და დამოკიდებულება.

თეორიული ცოდნა ადამიანს მხოლოდ ორიენტირს, ქცევის მიმართულებას აძლევს, განსაზღვრავს ობიექტურად აუცილებელ მოქმედებას, მაგრამ თუ როგორ მოიქცევა თვით ადამიანი, ეს დამოკიდებულია მის რწმენაზე თეორიისადმი, ობიექტურ გარემოებაზე.

ამრიგად, რწმენა მოტივაციის შემდგომი ეტაპია. ზნეობის სფეროში იგი მოქმედების მოტივის დამახასიათებელი თავისებურებაა. მოტივის შემუშავების მექანიზმი რწმენის შემუშავების მექანიზმიცაა. რწმენა ედება საფუძვლად ადამიანთა აქტიურ მიმართებას — დამოკიდებულებას გარესამყაროს საგნებისა და მოვლენებისადმი. ცოდნის ზოგიერთ სფეროში რწმენა თვით არის დამოკიდებულება. რწმენის მთლიანი სისტემა მსოფლმხედველობის რეალური საფუძველია. რწმენის

აღზრდა, ჩამოყალიბება ადამიანის აღზრდისა და ფორმირების აუცილებელი პირობაა. ადამიანის ჭეშმარიტი აღზრდის გზა ასეთია: ცოდნის გადაქცევა რწმენად, რწმენისა — დამოკიდებულებად.

* *

ნებისყოფის აქტი გადაწყვეტილების მიღებაა. გადაწყვეტილების მიღება სუბიექტის იდეური მოქმედებაა. იდეური მოქმედება წინ უსწრებს პრაქტიკულ მოქმედებას. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ქმნის პრაქტიკული მოქმედების განწყობასა და მოთხოვნილებას. პირველის დასასრული მეორის საწყისია. პრაქტიკული მოქმედება არის იდეური მოქმედების იდეალიზაცია საგნობრივ სინამდვილეში.

ნებისმიერი მოქმედების მთავარ პრობლემას მოტივაციის პრობლემა წარმოადგენს. მოტივაციის პროცესში ყალიბდება მოტივი, რომელსაც ჩვენ მოქმედების შინაგან, სუბიექტურ აუცილებლობას ვუწოდებთ. მოტივი ამა თუ იმ მოქმედების გადაწყვეტილების საფუძველი და სუბიექტური გამართლებაა მოცემულ სიტუაციაში.

მოტივი თავისი წარმოშობით, შინაარსითა და როლით ადამიანის მოქმედებაში არსებითად განსხვავდება ისეთი მოვლენებისაგან, როგორიცაა: მოთხოვნილება, ინტერესი, მიზანი. ძოვალეობის შეგნება, განწყობა, რწმენა, დამოკიდებულება და სხვ. მათი გაიგივება შეცდომაა.

ადამიანის ყოველ კონკრეტულ მოქმედებას მხოლოდ ერთი მოტივი გააჩნია. მოტივაციის პროცესში, მართალია, მონაწილეობენ სხვა მოქმედებათა მოტივები, მოთხოვნილებები, ინტერესები, მიზნები, განწყობები და ა. შ., მაგრამ ისინი ამ მოქ-

ბედებისათვის მხოლოდ ფაქტორებს წარმოადგენენ. ობიექტურ ფაქტორებთან ერთად მათი ურთიერთზემოქმედების შედეგად მიიღება ახალი მოქმედების მოტივი.

ადამიანი თავისი ცხოვრების მანძილზე სხვადასხვა სუბიექტურ და ობიექტურ გარემოში მრავალ მსგავს მოქმედებას ახორციელებს, რომელთაგან თითოეულს თავისი გამართლება, კონკრეტული მოტივი გააჩნია. ადამიანის მიერ უკვე განხორციელებულ მოქმედებათა კონკრეტული მოტივები შინაგანად ერთიმეორეს უკავშირდებიან და ქმნიან ერთ მთლიან სისტემას ზოგადი მოტივის სახით.

ზოგადი მოტივი მონაწილეობს ყოველი კონკრეტული მოქმედების მოტივაციაში და მიმართულებას აძლევს მას.

ხშირად შესატყვის სიტუაციაში ზოგადი მოტივი უშუალოდ წარმოშობს კონკრეტული მოქმედების მოტივს, რის გამოც გადაწყვეტილება მიიღება მოტივაციის რთული პროცესის გარეშე. ასეთ შემთხვევაში მოქმედება მაინც მოტივირებული მოქმედებაა, რადგან მოტივაციის პროცესი მასში მონაწილეობს მოხსნილი სახით.

ზოგადი მოტივები, თავის მხრივ, ერთიანდებიან ერთ შინაგან სისტემად და ქმნიან გარკვეულ დამოკიდებულებას საგნებთან და მოვლენებთან ურთიერთობის სხვადასხვა სფეროში.

დამოკიდებულება ადამიანის ყოველ კონკრეტულ მოქმედებაში ზოგადი მოტივის მსგავსად ვლინდება. მაგალითად, თუ ადამიანს სოციალისტური საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულება აქვს, იგი სოციალისტურ საკუთრებას გაუფრთხილდება და დაიცავს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ხოლო საწინააღმდეგო დამოკიდებულების ადამიანი, პირიქით,

ყოველთვის ხელყოფს სოციალისტურ საკუთრებას, როდესაც ამის საშუალება მიეცემა, და არც სხვებისაგან დაიცავს მას.

ზოგადი მოტივები და დამოკიდებულებები საფუძვლად ედება ქცევას, ხოლო კონკრეტული მოტივები — მოქმედებებს. ადამიანის ნამდვილი ბუნება სრულყოფილად ვლინდება არა ცალკეულ მოქმედებაში, არამედ ქცევაში, რომელიც მისი ზოგადი მოტივებისა და დამოკიდებულების გასაღებს იძლევა

პიროვნების გარკვეული მიმართულებით ჩამოყალიბების, აღზრდის ჭეშმარიტი გზა ასეთია: საზოგადოებრივ-სასიცოცხლო მოქმედებათა კონკრეტული მოტივები — ზოგადი მოტივები — დამოკიდებულება. იგი გულისხმობს ადამიანის აღზრდას პრაქტიკული მოქმედების საფუძველზე, რადგან ყოველი მოტივი ყალიბდება მხოლოდ მოქმედების მოტივაციის პროცესში, ხოლო ცალკეული მოტივები ზოგადი მოტივებისა და დამოკიდებულების სახით ერთ შინაგან სისტემად ერთიანდებიან მხოლოდ პრაქტიკული მოქმედების შედეგად.

ამრიგად, ყოველი კონკრეტული მოქმედების მოტივს წარმოშობს მოტივაციის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები; კონკრეტული მოტივები, მსგავსად მოთხოვნილებებისა, შინაგანად ერთიანდებიან და მოქმედებათა გარკვეულ სფეროში ქმნიან ზოგად მოტივს; ზოგადი მოტივები აყალიბებენ დამოკიდებულებას, ხოლო დამოკიდებულებათა ერთობლიობა — პიროვნებას; პიროვნების არსება მის დამოკიდებულებებში მჟღავნდება.

ადამიანის, როგორც პიროვნების, აღზრდა ნიშნავს მასში ზოგადი მოტივებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. ყოველ საზოგადოებაში აღზრდას თავისი მიზანდასახულება აქვს. კომუნისტური აღზრდის იდეალი კომუნისტური დამოკიდებულებების აღზრდაა.

შინაარსი

რედაქტორისაგან	3
თავი I. მოქმედების აღმძვრელი და წარმმართავი ფაქტორები	5
1. ადამიანის მოქმედების ფორმალური და შინაარსობრივი მხარე	5
2. მოთხოვნილება, ინდივიდი და საზოგადოება . .	11
3. აბსტრაქტული და კონკრეტული მოთხოვნილებები. მოთხოვნილებების შეზღუდვა თვით მოთხოვნილებებით	41
4. იძულება, წოვალეობა და მოთხოვნილება	44
5. უნარი და მოთხოვნილება .	54
6. ადამიანი თავის უნარებს აკლენს და ავითარებს გარემოსთან ურთიერთობაში. საწარმოო ძალები, როგორც გასაგნობრივებელი უნარები . .	68
7. საგნობრივი მოთხოვნილება და მოქმედების მოთხოვნილება	78
8. ფსიქიკური თვისებების ერთი თვისებრიობიდან მეორეში გადასვლისა და სისტემების წარმოქმნის შესახებ	81
9. არაცნობიერი ფსიქიკურის საკითხისათვის . . .	83
10. მოთხოვნილებისა და მოთხოვნილების იდეის შესახებ	85
11. მოთხოვნილება და ინტერესი	87
თავი II. მოქმედების მოტივის პრობლემა	109
1. მოტივაცია .	109
2. მოტივი და გადაწყვეტილება . .	119
3 გადაწყვეტილების ზოგიერთი თავისებურება	132
4. იდეური და პრაქტიკული მოქმედება	137
5. მოტივი და უნარი	140
6. ზოგადი მოტივები	142
7. ზოგადი მოტივი, ემოცია და აფექტი	146
8. მოტივი და მიზანი	148
9. საგნობრივი და სოციალური მიზანი და მოტივი	156
10. მოტივი და რწმენა	157

რედაქტორი პროფ. ბ. ლუტიძე
გამომც. რედაქტორი თ. მგელაძე
მხატვარი დ. გრიგოლია
მხატვრული რედაქტორი ვ. წერეთელი
ტექრედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორი ლ. არჩუაძე
გამომშვები გ. ბენიძე

ჩაბარებულია წარმოებას 20.V-71 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/VIII-71 წ.
ქაღალდის ზომა 70X108 1/32
პირ. ნაბეჭდი თაბახი. 7.7
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი. 6.34
ფე 00349. ტირაჟი 5.000 შეკვ. № 1946.
ფასი 70 კაპ.
გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის, 5

საქ. კპ ცკ-ის გამომც. სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Димитрий Александрович Кикнадзе

К ВОПРОСУ ДЕЙСТВИЯ ЧЕЛОВЕКА

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5

1971